ეროვნული ბიბლიოთეკა

№084
(12 154)
12 აპრილი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი



## შოთა ბრემენში

დღეს, უეფას თასზე: მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები

## ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა 13 მაისს უნდა გაიმართოს

3



## ფაჩულია ორმაგი დუბლით დაბრუნდა

13



ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

# მილანი მგლების ხახაში

ნახევარფინალი

| 24 აპრილი/2 მაისი | 25 აპრილი/1 მაისი |
|---|---|
| მანჩესტერი-მილანი | ლივერპული-ჩელსი |



ლივერპული-პსვ 1:0. პიტერ კრაუჩის საგოლე დარტყმა



ბაიერნი-მილანი 0:2. ფილიპო ინძაგის მეორე გოლი

ჩემპიონთა ლიგა ფინიშის სწორს უახლოვდება. გუშინ კიდევ ორი ნახევარფინალისტი გაირკვა და ამით დასრულდა კიდეც ინგლისური ფეხბურთისთვის დაუვიწყარი კვირა, რომელმაც სამ პრემიერლიგურ გრანდს გაუხსნა გზა მთავარი ჯილდოსთვის ბრძოლაში. ეს არის მესამე შემთხვევა ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში, როცა ერთ ქვეყანას ნახევარფინალში სამი წარმომადგენელი გაჰყავს (2000 წელს "რეალი", "ვალენსია" და "ბარსელონა", 2003 წელს "მილანი", "იუვენტუსი" და "ინტერი").

ოთხშაბათის მატჩებიდან კი, რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში მიუნხენის მატჩი იყო. მილანური 2:2-ის შემდეგ, "ბაიერნის" აქციებმა ერთიორად აიწია. მაგრამ ასეთ დროს, სხვა ფაქტორებიც მოქმედებს. მთავარი სიტყვა უნდა ეთქვა სათამაშო კლასსა და საშემსრულებლო დონეს, რომელიც, დღესდღეობით, "მილანის" მხარესაა და ეს თამაშმაც აჩვენა.

ოტმარ ჰიტცფელდმა ფრთხილი ტაქტიკა აირჩია, ანუ სასურველი შედეგის მიღწევა ნელი ტემპითა და მოედნის მთელი პერიმეტრის კონტროლით. ამ ჩანაფიქრის მიზანი ისიც გახლდათ, რომ "მილანის" მთავარი იარაღი, კაკას სისწრაფესა და ინძაგის ყისმათზე აგებული კონტრშეტევა, განეიტრალებული ყოფილიყო. თუმცა ჰიტცფელდი თავისსავე მახეში გაება. სწორი იყო, რომ კაკას განსაკუთრებული მეთვალყურეობა დაუწესდა, პლუს ამას, მაქსიმალურად იზღუდებოდა პირლოს სამოქმედო არეალიც, მაგრამ "მილანის" შემადგენლობაში გამოჩნდა კაცი, რომელმაც ლამის ერთპიროვნულად გადაწყვიტა თამაშის ბედი. დიახ, ზეედორფი! 27-ე წუთზე მან დასარტყმელი სივრცე მონახა და საჯარიმოს ხაზიდან ბურთი კანისგან შორეულ, დაბალ კუთხეში გაახვია - 0:1. "ბაიერნმა" გონს მოსვლა ვერც მოასწრო, რომ მეორედ მოუხდა თამაშის ცენტრიდან განახლება. ამჯერად, ზეედორფმა ინძაგის გაატანინა. "როსონერის" ეულმა ფორვარდმა ქუსლით დიდებული პასი მიიღო (ისე, თამაშგარეს კი ჰგავდა), კანთან პირისპირ გასვლა აღარ ისურვა და მიზანიც უმალ გაასწორა - 0:2.

წინ მთელი ერთი საათი კი იყო, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ოტმარის ბიჭები პირველმა ტაიმმა წელში გადატეხა. ჰოდა, მეორე ნახევარი უკვე "მილანის" კარნახით წარიმართა. "ბაიერნს" ერთადერთი შანსი თამაშის ბოლოს მიეცა და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ისიც ვან ბუიტენს (მილანური დუბლის ავტორი) ჰქონდა, მაგრამ ახლო მანძილიდან შემოტრიალებით დარტყმული დიდამ ფეხით მოიგერია. საბოლოო ჯამში, "მილანის" გასვლა სრულიად ლოგიკურია. რაც შეეხება კახა კალაძეს, ამჯერად, ანჩელოტის ის არ დასჭირვებია. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა თამაშს სათადარიგოთა სკამიდან უყურა...

მეორე ნახევარფინალზე თავს დიდხანს არ შეგაწყენთ. "ენფილდზე" არ მოხდა სასწაული, რომელსაც თვით რონალდ კუმანიც არ ელოდა. "ლივერპულმა" ერთი კვირის წინ ჩინებულად დაწყებული საქმე მშვიდად მიიყვანა საბოლოო გამარჯვებამდე (4:0 ორი მატჩის ჯამში) და ახლა "ჩელსისთან" ორი წლის წინანდელი დუელის გახსენება მოუწევს. მეორე წყვილი კი "მილანი"-"მანჩესტერია", კიდევ ერთი დიდი დაპირისპირება. აქ, შეიძლება, იგივე ორი წლის წინანდელი ფინალი, "მილანი"-"ლივერპული" მივიღოთ, ან სულაც "ჩელსი"-"მანჩესტერი", რომელიც პრემიერლიგაში გამძაფრებული საჩემპიონო ჯახის გამო, უფრო მეტ დატვირთვას შეიძენს. მაგრამ მოდით, ნუ ვიჩქარებთ...

15



## მთავარია, ამაზე არ გავჩერდე!

ინტერვიუ ევროპის ორგზის ჩემპიონ ზაზა კედელაშვილთან

11

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი

# არგენტინამ პასუხი მიიღო



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ამჟამად შვეიცარიაშია. პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** და გენერალური მდივანი **უჩა უგულავა** დღეს, ნიონში, უეფას შტაბბინაში ევროპული ფეხბურთის მამებს შეხვდებიან. საქმე ის გახლავთ, რომ **მიშელ პლატინი** და უეფას სხვა მაღალჩინოსნები ევროპული ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციათა და საფეხბურთო ასოციაციათა პრეზიდენტებსა და გენერალურ მდივნებს შეხვდებიან. ჩვენი ინფორმაციით, საუბარი უეფას წესდებაში შესატან ცვლილებებს შეეხება.

*"დიახ, როგორც ადრე გაუწყეთ, ეს შეხვედრა უეფას წესდებაში განსახორციელებელ ცვლილებებს შეეხება, რომლის თანახმადაც, ფეხბურთში ხელისუფლების ჩაურევლობის მექანიზმი კიდევ უფრო განმტკიცდება და კანონის ძალას მიიღებს. ბუნებრივია, საწინააღმდეგო შემთხვევაში, სანქციები უფრო მაცრი იქნება. აი, ესაა ამ შეხვედრის მთავარი თემა"*, - გვითხრა გუშინ უჩა უგულავამ. ბუნებრივია, ამ საკითხზე ნაკლებად არც ის გვაინტერესებდა, რაიმე სიახლე ხომ არ იყო არგენტინასა და ბრაზილიასთან, შესაბამისად 12 სექტემბერსა და 17 ნოემბერს სავარაუდო ამხანაგურ მატჩებთან დაკავშირებით:

*"არგენტინული მხარისთვის ფაქსი 5 აპრილს უნდა გაგვეგზავნა. როგორც იცით, მოსაფიქრებლად ერთი კვირა ვითხოვეთ. ბუენოს აირესში გუშინ გავგზავნეთ პასუხი. არგენტინელებს ის პირობები გავუგზავნეთ, რომელთა შესრულებაც ამ ქვეყნის ნაკრების თბილისური ამხანაგური მატჩის ორგანიზებისთვის შეგვიძლია. იმედია, ისინი დაგვთანხმდებიან და არგენტინიდან საბოლოოდ, დადებით პასუხს მივიღებთ"*, - გვითხრა უგულავამ.

**დავით ცაბაძე**



ალექსანდრე ამისულაშვილი

ინტერვიუ ალექსი ბენაშვილთან

# ეზოში დღემდე ვთამაშობ

**სულ რაღაც ერთი წელი საკმარისი აღმოჩნდა ალექსი ბენაშვილისთვის, 19-წლამდელთა ნაკრებში დაწყებული კარიერა ეროვნულში რომ გაეგრძელებინა. ხალხმა და სპეციალისტებმა ის საკმაოდ სწრაფად გაიცნეს. "ზესტაფონის" ნახევარმცველი ჯერ მხოლოდ 17 წლისაა. 19-წლამდელებში 16 წლისამ ითამაშა, ეროვნულის მაისურა კი 17 წლისამ მოირგო, 7 თებერვალს, თურქეთის ეროვნულ გუნდთან.**

**ლექსო 35-ე სკოლის აღზრდილია, კარიერა "თბილისში" დაიწყო და "ზესტაფონში" გააგრძელა. თუ გახსოვთ, "თბილისსა" და "ზესტაფონს" შორის სამი მოთამაშის გამო კინაღამ "ფიშტო" რომ გავარდა? ერთ-ერთი ლექსო ბენაშვილი იყო და დრომ გამოაჩინა კიდეც - ეს ბიჭი ღირდა საომრად.**

**- ლექსო, 17 წლის ბიჭმა უკვე საკმაო ყურადღება მიიქციე. ასეთი რამ მხოლოდ იღბლიანების ხვედრია.**

- ტოპმიოლერის მოწვევა ჩემთვის მოულოდნელიც იყო და სასიამოვნოც. ან რას წარმოვიდგენდი, ასე რომ მოხდებოდა?! დილით თურქეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან ვითამაშე, საღამოს კი ეროვნულში. როგორც მითხრეს, ტოპმიოლერმა ახალგაზრდულში კარგი გამოსვლის გამო მიმიწვია.

**- მოედანზე უშიშარი თამაშითა და შენი ასაკისთვის შეუფერებელი სიდინჯით გამოირჩევი...**

- სხვათა შორის, ბავშვობიდან სულ სხვანაირი ვიყავი. "თბილისში" და "ზესტაფონში" გადასვლის პერიოდშიც, ძალიან ნერვული ვიყავი. როდესაც პასს არ მაძლევდნენ, ან ბურთს დავკარგავდი, უცებ ვბრაზდებოდი და თამაში აღარ გამომდიოდა.

არა, მეტოქის შიში კი არ მქონდა, საკუთარ შეცდომებზე ვლიზიანდებოდი. საერთოდ, ბავშვობიდან ემოციური ვიყავი, მერე და მერე შევიცვალე. ერთხელ კობა ჟორჟიკაშვილი დიდხანს მესაუბრა. რაღაცნაირად, კარგად ამხსნა, რომ ეს გაბრაზება ისევ ჩემთვის იყო ცუდი. მე არ ვიცი, ეს როგორ მოახერხა. უბრალოდ, მას დავუჯერე და თამაში წამივიდა. ახლაც მახსოვს ჟორჟიკაშვილის რჩევები და მიხარია, დღეს სრულიად საპირისპირო თვისებებით თუ მაფასებენ. გამოდის, თავს მოვერიე.

**- თანატოლებისგან ფიზიკური მომზადებითაც გამოირჩევი. ბუნებით მოგდგამს ჯანი თუ შრომა არ გეზარება?**

- ეს უკვე გოჩა ავსაჯანიშვილის დამსახურებაა. ბავშვობაში მიჭირდა დატვირთვების ატანა, მაგრამ ახლა მისი მადლიერი ვარ. ვხვდები, ეს კაცი ჩვენს გაზრდაზე ფიქრობდა.

**- საინტერესო ამბავი მოხდა მეორე ტურში. ჯერ რუსთავის "ოლიმპს" გაუტანე გოლი, კვირას კი "ზესტაფონის" დუბლებში ითამაშე. ასე ხშირად ხდება.**

- დიახ, თითქმის ყოველთვის. თავად მოვინდომე დუბლებში თამაში. გააჩნია, ძირითად გუნდს რამდენ ხანს დავჭირდები. თუ ძალიან დაღლილი არ ვარ, დუბლებში აუცილებლად ვთამაშობ.

**- მერე ამდენი თამაში მაინც ხომ დაგღლის?**

- რა დამღლის? პირიქით, ხშირი თამაში მსიამოვნებს. ყოველთვის ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს დიდი ხანი ბურთს არ გავკარებივარ და თამაში ძალიან მიხარია. შეიძლება, გაგეცინოთ, მაგრამ დაღლილი თამაშით უფრო ვისვენებ. საღამოს სახლში რომ მოვდივარ, ბურთს ეზოში ბიჭებთან ვაგორებ. საერთოდ, რაც გიყვარს, ის არასდროს მოგბეზრდება.

**- "ზესტაფონმა" ძვირფასი ქულები დაკარგა. შენი აზრით, ჩემპიონობის შანსი კიდევ დაგრჩათ?**

- ჩვენ ვიბრძოლებთ და დანარჩენი სეზონის ბოლოს ვნახოთ.

**- ალბათ, სერიოზული მიზნები გაქვს.**

- რა თქმა უნდა. ცხოვრებაში მთავარი მიზანია. თუ ის არ გაგაჩნია, არაფერი გამოგივა. მონდომებით უნდა ივარჯიშო და მიზანს მიაღწევ. ისეთი ფეხბურთელობა მინდა, საქართველოს რომ გამოვადგები და არა მარტო ჩემს თავს. ნაკრებში უკვე გამომიძახეს, მაგრამ მე უცხოეთში, ძლიერ ლიგაში წასვლა და ნაკრებში სტაბილურად თამაში მსურს.

**- როგორც ვიცით, "აუეში" გიწვევდნენ.**

- იყო ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. გერმანიაში არც ვყოფილვარ.

**- ბევრმა ნიჭიერმა მოთამაშემ კარიერა ვაიმენეჯერების გამოც ვერ აიწყო. ალბათ, ამაზეც იფიქრებდი.**

- კარიერას მენეჯერებით კი არა, გულიანი თამაშით და მონდომებული ვარჯიშით ავიწყობ. 19-წლამდელებმა პორტუგალიურ და გერმანულ ტურნირზე ვითამაშეთ. გვითხრეს, ბევრი სკაუტი ჩამოვიდა და თავს თუ გამოიჩენთ, თქვენით აუცილებლად დაინტერესდებიანო. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული.

ამ ტურნირებით კმაყოფილი დავრჩი. იმედი გამიჩნდა, რომ ჩვენი თაობა რაღაცას მიაღწევს. ისე კი, ჯერ ზუსტად არც ვიცი, პირადად ჩემით რომელიმე გუნდი თუ დაინტერესდა.

**მერაბ მამულაშვილი**



ბენაშვილი (17) თურქეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩში

ლეგიონერი

# ამისულაშვილი მწვრთნელმა შეაქო

**ალექსანდრე ამისულაშვილი** ნალჩიკის "სპარტაკის" ძირითად შემადგენლობაში უპრობლემოდ დამკვიდრდა, მას რუსეთის მიმდინარე პრემიერლიგის არც ერთი ტური არ გამოუტოვებია. გასულ, მეოთხე ტურში კი ყაზანის "რუბინთან" მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესოც იყო.

გუნდის მთავარი მწვრთნელი **იური კრასნოჟანი** დარწმუნებულია, რომ ამისულაშვილზე დადებითად პოზიციის შეცვლამ იმოქმედა.

*"თავიდან ეს მოთამაშე მარცხენა მცველის პოზიციაზე გამოვიყენე, თუმცა დარწმუნებული ვარ, "რუბინთან" მოგებაში დიდი როლი შეასრულა ევსიკოვისა და ამისულაშვილის "როქმა" - დაცვის მარცხენა ფლანგიდან ცენტრში გადმოწეული ქართველი ლეგიონერი შეუდარებელი იყო"*, - ამბობს კრასნოჟანი.

საინტერესო ფაქტია - ამისულაშვილი ევროპაში ერთ-ერთ უძლიერეს ლიგაში თამაშობს. ამ ლიგის ერთ-ერთ გამორჩეულ კლუბ "რუბინთან" მწვრთნელი მის გამოსვლას შეუდარებელს უწოდებს და მას ეროვნული ნაკრების მწვრთნელები ყურადღებას არ აქცევენ.

თანაც, ეს იმ დროს, როდესაც ტრავმირებულთა სიმრავლის გამო, საქართველოს მთავარ გუნდს დაცვაში სერიოზული პრობლემები შეექმნა და ამის გამო, ამპლუით ნახევარმცველ **ცქიტიშვილს** უკანა ხაზში დახევა მოუხდა. ამ დროს ამისულაშვილის ათვალწუნება, ცოტა არ იყოს, გაუგებარია.

**მერაბ მამულაშვილი**

დაესწარი უმაღლესი ლიგის თამაშებს
გამოიცანი თერთმეტი თამაში
მიიღე მონაწილეობა წამახალისებელ ლატარიაში
ჯეკპოტი გახდა 7000 ლარი!!!
ჩვენი მიზანი
თქვენი მოგებაა!
ბილეთის ფასი
2 ლარი



საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
საინფორმაციო მხარდამჭერა
ოლიმპი
სარბიელი

13..04.2007 - მე-20-ე ტურის გათამაშების ცხრილი

| | |
|---|---|
| ბორჯომი -ტორპედო | ვიტ ჯორჯია-ოლიმპი |
| ამერი-სიონი | მანცი-შალკე |
| დილა-კახეთი | მესინა-მილანო |
| დინამო თბ-ზესტაფონი | ალკმაარი-ვიტესი |
| დინამო ბთ-ლოკომოტივი | დნეპრი-ხარკოვი |
| ჩიხურა-მერანი | |

ფედერაცია

# ყრილობა და არჩევნები 13 მაისს?

## ყველაფერი 16 აპრილს გადაწყდება

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ წლეულს ფეხბურთის ფედერაციის მორიგი ყრილობა და საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. თუმცა უცნობია, როდის გაიმართება ქართული ფეხბურთის ეს უმნიშვნელოვანესი ფორუმი.

ჯერჯერობით, ამ საკითხის თაობაზე მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ წესდების თანახმად, ყრილობა ალმასკომმა უნდა დანიშნოს. ამით კი უკვე ოფიციალურად დაიწყება საარჩევნო კამპანია.

საფეხბურთო წრეებში ყრილობისა და ალმასკომის გამართვის სხვადასხვა თარილი დასახელდა. ჩვენი ინფორმაციით, ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება 13 მაისს შედგება. პრინციპში, ვერსია რეალობისგან შორს ნამდვილად არ უნდა იყოს, რადგან ალმასკომმა ყრილობა 3-5 კვირის განმავლობაში უნდა დანიშნოს. შევიტყვეთ ისიც, რომ ფედერაციის ალმასკომი 16 აპრილს გაიმართება.

ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად, გუშინ შვეიცარიაში მყოფ ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან **უჩა უგულავას** დავუკავშირდით და ამ თემაზეც დავეკითხეთ. მან ალმასკომის სხდომის თარილი დაგვიდასტურა.

*"დიახ, ფედერაციის ალმასკომის მორიგი სხდომა ორშაბათს, 16 აპრილს შედგება. ყრილობა და არჩევნები 13 მაისს ჩატარდება? არ ვიცი, ამ საკითხზე ახლა ვერაფერს გეტყვით, რადგან ამას ალმასკომი გადაწყვეტს. ასე რომ, ყველაფერი რამდენიმე დღეში გაირკვევა"*, - აღნიშნა უგულავამ.

**დავით ცაბაძე**



პრეზიდენტობისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის

უეფას თასი

# შოთას ძირითადში ელიან



შოთა და ალკმაარელები გერმანიაში კარგი განწყობით ჩავიდნენ

**შოთა არველაძე** და მისი ალკმაარელი თანაგუნდელები ბრემენში გუშინ დღისით ჩაფრინდნენ, ადგილობრივი დროით საღამოს 9 საათზე კი "ვეზერშტადიონზე" დაგეგმილი ვარჯიში ჩაატარეს.

თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ვეტერანი ქართველი ფორვარდი უეფას თასის განმეორებით მეოთხედფინალურ დაპირისპირებაში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს. მართალია, მას ბოლო რამდენიმე შეხვედრა გაუცდა და ტკივილებიც კვლავინდებურად აწუხებს, მაგრამ "ალკმაარის" ექიმები იმედოვნებენ, რომ არველაძე დღეს ძირითადში იქნება და სრული დატვირთვით შეძლებს თამაშს. ბუნებრივია, მოედანზე გასვლა და თავის გამოჩენა ყველაზე მეტად ჰოლანდიელთა ქართველ კაპიტანს სურს.

როგორც სურათიდან ხედავთ, შოთა და აზ-ის სხვა წევრები მეტად ხალისიან განწყობაზე არიან. ტრავმირებულთა სიმრავლის მიუხედავად, ჰოლანდიელთა ბანაკიდან ოპტიმისტური განცხადებები ისმის. "ალკმაარის" დამრიგებლის, **ლუი ვან გაალის** თქმით, წყვილის ფავორიტი იმთავითვე "ვერდერი" იყო, მაგრამ მხოლოდ ეს ფაქტორი და ჰოლანდიაში დაფიქსირებული 0:0 გერმანელებს ნახევარფინალში გარანტირებულად ვერ გაიყვანს. გამოცდილი სპეციალისტი დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი დღეს "ვეზერშტადიონზე" სეზონის ერთ-ერთ საუკეთესო მატჩს ჩაატარებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფუტზალი

# საქართველო რუმინეთს ესტუმრება

საქართველოს ფუტზალის ასოციაციამ რუმინულ მხარესთან მოლაპარაკება წარმატებით დაასრულა. გადაწყდა, რომ ნოემბერში ჩვენი ეროვნული ნაკრები ბუქარესტს ეწვევა და რუმინელებთან ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს.

გარდა ამისა, მომდევნო სპარინგპარტნიორიც დაზევებულია. დეკემბერში საქართველოს ნაკრები უკვე ფინეთში გაემგზავრება და მასპინძლებს ასევე ორჯერ გაეჯიბრება.

მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკება ინგლისის, შოტლანდიისა და ირანის ფუტზალის ასოციაციებთან და შესაძლოა, ჩვენი გუნდი ამხანაგურად რომელიმე ამ ქვეყნის ნაკრებსაც ეთამაშოს. ამდენი სპარინგი კი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის სათანადოდ მოსამზადებლადაა საჭირო.

ფინალური ეტაპი მომავალი წლის ზაფხულში, რიო დე ჟანეიროში გაიმართება, საკვალიფიკაციო ციკლი კი იანვარში იწყება. საქართველოს ფუტზალის ასოციაციის ხელმძღვანელთა განცხადებით, საკმაოდ დიდია იმის შანსი, რომ ერთ-ერთი შესარჩევი ჯგუფის შეხვედრებს თბილისმა უმასპინძლოს. ასეთ შემთხვევაში, მატჩები "ქარიშხალას" სპორტკომპლექსში გაიმართება.

ოფიციალური ბრძოლებისთვის აქტიურად მოემზადება საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიც, რომელიც ამხანაგურ მატჩებს ჩეხებთან და სერბებთან ჩაატარებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ირანული ლეგიონი

# გილაური პირველი, მუჯირი მეოთხე

ირანის პროლიგაში 24 ტური მიილია, ჩემპიონატის დასრულებამდე სულ ექვსი ტურილა დარჩა. ამ ქვეყნის ჩემპიონატში სულ ორი ქართველი ლეგიონერი თამაშობს. თეირანის "ესტეღლალის" ღირსებას **აქვსენტი გილაური** იცავს, ხოლო მცველი **ჯაბა მუჯირი** ისფაჰანის "სეფაჰანში" თამაშობს. "ესტეღლალი" 47 ქულით პირველია და ქულით უსწრებს "საიფას". მუჯირის "სეფაჰანი" 38 ქულით მეოთხე ადგილზეა. ბოლო ტურში "ესტეღლალი" "აბუმოსლემს" ესტუმრა და 1:1 დაუზავდა. გილაურს არ უთამაშია. ისფაჰანში "სეფაჰანმა" მანამდე ლიდერი "საიფა" დაამარცხა 1:0 და მეორე ადგილზე ჩამოაქვეითა. ჯაბა მუჯირი მოედანზე 66-ე წუთზე შევიდა, გოლი კი 86-ე წუთზე გავიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



გიორგი ვადაჭკორია

# ვადაჭკორია ევროპის ჩემპიონატზე

2-13 მაისს ბელგია 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ტურნირში მონაწილეობას კონტინენტის 8 საუკეთესო ნაკრები მიიღებს.

სასიხარულოა, რომ ევროპის პირველობა ქართველის გარეშე არ ჩაივლის. უეფას სამსაჯო კომიტეტმა **გიორგი ვადაჭკორიას** სხვადასხვა საერთაშორისო მატჩში მაღალი შეფასებები დაუწერა და ბელგიაშიც მიავლინა.

აღსანიშნავია, რომ 1977 წელს დაბადებული ვადაჭკორია ევროპის ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა არბიტრი იქნება. მის გარდა, ტურნირს ჩეხი, იტალიელი, ჩრდილოირლანდიელი, სერბი და თურქი მსაჯები მოემსახურებიან.


CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge

ეროვნული ნაკრები. ინტერვიუ გია გურულთან

# მთავარია, მოვიგეთ, მაგრამ...

## საფრანგეთი ლიტვაში დაგვზვერავს

**ამ რამდენიმე დღის წინ, ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ამჟამად კი ფიფას ლიცენზირებული აგენტი გია გურული მცირე ხნით სამშობლოში დაბრუნდა. იგი ეროვნული ჩემპიონატის რამდენიმე თამაშსაც დაესწრო და დღეს ისევ საფრანგეთს გამეგზავრა. ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ გურული ეროვნულ ნაკრებში მუშაობის შემდეგ ფეხბურთში დარჩა და მას მერე ტრანსფერებზე მუშაობს. ბოლნისის "სიონში" მოასპარეზე კამერუნელთა ტრიო და "ზესტაფონის" გაბონელი ლეგიონერი სწორედ მისი დახმარებით მოხვდნენ ქართულ კლუბებში. თუმცა გია გურული მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება და ლეგიონერთა დამატების საქმეში ქართულ კლუბებს დახმარებას ჰპირდება.**

**გარდა ამისა, საინტერესოა, თუ რას ამბობენ ჩვენს ნაკრებზე საფრანგეთში... ერთი სიტყვით, გურულს გუშინ დავუკავშირდით და რამდენიმე საინტერესო თემაზე გავესაუბრეთ.**

- რამდენიმე დღეა, რაც საქართველოში ვარ. ამჯერად სააღდგომოდ ჩამოვედი, თუმცა ეროვნული ჩემპიონატის მატჩებსაც დავესწარი.

**- "დინამო"-"სიონის" მატჩი თუ ნახეთ?**

- როგორც იცით, ბოლნისურ კლუბში ჩემ მიერ ჩამოყვანილი კამერუნელი ლეგიონერები ასპარეზობენ. თბილისის "დინამოში" თავად ვთამაშობდი, ეს გუნდი ჩემი ცხოვრების ნაწილია და კვლავაც ვქომაგობ. დაძაბული და საინტერესო მატჩი გამოვიდა. ბოლნისელებსაც შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ რამდენიმე შანსი ვერ გამოიყენეს. კამერუნელებმაც კარგად ითამაშეს, ვფიქრობ, მათი გარჯით უკმაყოფილო არავინ დარჩებოდა.

**- ბოიომო ფრიდოლინის, ერიკ რომეო ჩასემსა და გასტონ ევოჩეს "სიონთან" კონტრაქტი როდის უმთავრდებათ?**

- მათ ორ-ორწლიანი ხელშეკრულებები აქვთ გაფორმებული და მომდევნო სეზონშიც "სიონს" ეკუთვნიან.

**- თქვენი ძალისხმევით, ეროვნულ ჩემპიონატში კიდევ ერთი აფრიკელი გამოჩნდა. მასზე რას გვეტყოდით?**

- გაბონელ კესანი საყრდენი ნახევარმცველია და ისიც ერთობ კვალიფიციური ფეხბურთელია. მჯერა, ამას სულ მალე დაამტკიცებს.

**- როგორც ვიცით, კვლავაც შეგიძლიათ, ქართულ კლუბებს ლეგიონერებით გაძლიერებაში დაეხმაროთ...**

- დიახ, რატომაც არა? მართალია, საფრანგეთში ვცხოვრობ და ვმოღვაწეობ, მაგრამ კვლავაც ქართული ფეხბურთის სამსახურში ვარ. თუ რომელიმე ქართული გუნდი ლეგიონერის დამატებას მოისურვებს, მხარში მაქსიმალურად დავუდგები.

**- როგორც ჩანს, ქართულ კლუბებთან უკვე აწარმოებთ წინასწარ მოლაპარაკებებს...**

- დიახ, ასეა. გუნდებმა, რომლებიც ევროტურნირების საგზურებისთვის იბრძვიან, კარგად იციან, რომ გვერდში დავუდგები.

**- კამერუნელთა გარდა, რომელი ქვეყნის მოთამაშეებს შესთავაზებთ მათ?**

- უკვე საკმაოდ ბევრი და კარგი კონტაქტი მაქვს. ასე რომ, გააჩნია რა დონის ფეხბურთელს მოისურვებენ. თანამედროვე ფეხბურთში მთავარი სისწრაფე, გამძლეობა, ბრძოლისუნარიანობა და საერთოდ, ფიზიკური კონდიციებია. ასეთები კი აფრიკულ ქვეყნებში მრავლად არიან. თუმცა თუ ევროპელ ფეხბურთელებს მოისურვებს რომელიმე ქართული კლუბი, არც ეს იქნება პრობლემა.

**- ამ ორი წლის წინ, თბილისის "დინამოს" ფრანგ მცველ ჟულიენ ოლებეკს სთავაზობდით. ახლა სად თამაშობს ეს ფეხბურთელი?**

- ერთ ჩემს პარტნიორ აგენტს ინგლისში სურდა მისი წაყვანა და მართალი გითხრათ, ზუსტად არ ვიცი რა გამოვიდა ამ საქმიდან.

**- როგორც გავიგეთ, ევროტურნირებზე გასული ქართულ კლუბებისთვის ეკიპირების შეთავაზებას აპირებთ.**

- დიახ, კარგი ურთიერთობა მაქვს ეკიპირების მწარმოებელ ჰოლანდიურ კომპანია "მასიტასთან". სხვათა შორის, ეს ფირმა 1924 წელსაა დაარსებული და ფიფას ლიცენზიასაც ფლობს. სწორედ "მასიტას" ეკიპირება აცვია ბოლნისის "სიონს" და ამ ფირმის ამუნიცია ნებისმიერ ქართულ კლუბს შემიძლია შევთავაზო.



გია გურული საქართველოს ნაკრებში მუშაობისას

**- თქვენი ვაჟს როგორ მისდის საქმეები?**

- სანდრო საფრანგეთში, მეოთხე დივიზიონის კლუბ "ლე კანში" ასპარეზობს. მთავარი ისაა, რომ თამაში სტაბილურად უწევს. მას ხან მეორე ფორვარდად ამწესებენ და ხანაც შემტევ, განაპირა ნახევარმცველად მარჯვენა ან მარცხენა ფრთაზე.

**- მომავალ სეზონში მას უკეთეს კლუბშიც ხომ არ ვიხილავთ?**

- ვნახოთ, შესაძლოა. "ლეკანი" საკმაოდ ახალგაზრდული გუნდია. ამჯერად გათამაშების ცხრილი შუაგულშია და წელს მესამე ლიგაში ვერ ალზევდება. სანდროს ამჟამინდელ კლუბთან კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს უმთავრდება და მისი მომავალიც ზაფხულში გაირკვევა.

**- საქართველოს ნაკრების ყოფილ თავკაც ალენ ჟირესთან კვლავაც გაქვთ კონტაქტი. გაბონის ეროვნულ გუნდში წარმატებით მუშაობს?**

- გაბონის ნაკრები ნელ-ნელა ძლიერ გუნდად ყალიბდება. ამ ცოტა ხნის წინ ჩადიში აფრიკის ქვეყნების საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, რომელშიც ნაკრებები უძლიერესი შემადგენლობით გამოვიდნენ. ჟირესის გუნდი ფინალში კოტ დივუართან მინიმალურად, 0:1 დამარცხდა და მეორე ადგილი დაიკავა.

**- საინტერესოა, ჟირესი რას ამბობს ქართულ ფეხბურთზე და საერთოდ, როგორ იხსენებს საქართველოს?**

- იგი დღესაც სიამოვნებით იხსენებს საქართველოში გატარებულ პერიოდს. კარგად იცის ჩვენი ნაკრების შესაძლებლობები და ჩვენს გუნდს ქომაგობს კიდეც. უხარია, როცა საქართველოს ნაკრების წარმატების შესახებ ესმის, მის მარცხს კი განიცდის.

**- საინტერესოა, საფრანგეთში რას ამბობენ ჩვენს ნაკრებზე?**

- დარწმუნებულნი არიან, ჯგუფიდან საფრანგეთი და იტალია გავლენო. იქ მხოლოდ იმ ნაკრებზე საუბრობენ ბევრს, რომელიც იმ დროისთვისაა საფრანგეთის მეტოქე. ასე რომ, საქართველოს ჯერ არ ახსენებენ. თუმცა ივნისიც მალე მოვა და ისევ დაიწყება საუბარი ჩვენს ნაკრებზე. როგორც გავიგე, რაიმონ დომენეკის შტაბის რომელიმე წევრი საქართველოს ნაკრებს ლიტვაში დაზვერავს.

**- საინტერესოა, თავად რა აზრის ხართ ჩვენი ნაკრების ბოლო მატჩებზე.**

- შოტლანდიაში ჩვენმა გუნდმა კარგად ითამაშა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. გლაზგოში არველაძემ ანგარიში რომ გაათანაბრა, ჩვენების გოლს კიდევ ველოდი. ძალიან მინდოდა, ის თამაში მოგვეგო და მერე ამაყად შევხვედროდი ჩემს ფრანგ მეგობრებს. სამწუხაროდ, რამდენიმე უპატიებელი შეცდომა დავუშვით და ამიტომ დავმარცხდით.

**- ფარერებთან მატჩზე რა აზრისა ხართ?**

- მთავარია, სამი ქულა ავიღეთ. თავადაც ფეხბურთელი ვიყავი და ქართველი კაცის ბუნებაც კარგად ვიცი. ფეხბურთელებს ოთხი დღით ადრე გლაზგოში ჰქონდათ ნათამაშები, დაღლილები და ნამგზავრები იყვნენ, იმ მატჩიდან ორ-სამ დღეში თავიანთ კლუბებში მორიგი ტურის შეხვედრები ელოდათ. ყოველივე ამან თავისი ქნა, 2:0-ის შემდეგ ჩვენს გუნდს მობილიზება გაუჭირდა, ყურადღება მოადუნა და გოლიც იმიტომ მივიღეთ. ფარერებზე 3:1 რომ მოგვეგო და შინ 6:0 დაგვემარცხებინა მეტოქე, მაინც 6 ქულა გვექნებოდა და საყვედური არავის დასცდებოდა. მთავარია, მაქსიმალური შედეგი მივიღეთ, ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ უკვე სხვა სიტუაცია იქნებოდა. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ სხვა დროს მსავსი ალარ უნდა განმეორდეს, თორემ ოდნავ უფრო ძლიერ გუნდთან ეს ალარ გვეპატიება.

**დავით ცაბაძე**



გიორგი განუგრავა ზესტაფონში ასპარეზობისას

დაკარგულები

# განუგრავამ პანათინაიკოსთან კონტრაქტი გააფორმა?

საქართველო უკიდურესობების ქვეყანაა, ჯერ ცაში აიყვანენ მოთამაშეს, შემდეგ კი ზურგს შეაქცევენ. ასე შეემთხვათ **გაიოზ დარსაძის** მიერ პირდაპირ ეროვნულ ნაკრებში აყვანილ **გიორგი განუგრავას, ბექა გოცირიძესა** და **გიორგი ხიდეშელს**.

სწრაფ და მოულოდნელ ალზევებას სწრაფი და უსიამოვნო დაცემა მოჰყვა. ეს სამეული დღეს არათუ ეროვნულ ნაკრებში, "ზესტაფონის" ძირითადშიც ალარ თამაშობს.

განუგრავას ერთდროულად საყრდენი ნახევარმცველისა და ფლეიმეიქერის უნარი ალმოაჩნდა. მოედნის ხედვა და ბრძოლისუნარიანობა მისი გამოსარჩევი თვისებებია. თუკი შრომა არ დაეზარა, წესით, წლების შემდეგ, ხიდეშელი საიმედო მცველი უნდა იყოს. ტანმალალ უკანახაზელს პოზიციის შერჩევის ნიჭი აქვს.

გოცირიძეს კი ისეთი საგოლე ალლო აქვს, ბარე ორ ვერ შეედრება. მას დიდი შრომისუნარიანობა და სისწრაფეც გამოარჩევს. თუკი დარსაძემ ეს ყმაწვილები ნაადრევად დააწინაურა, სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი პერსპექტიულები არ არიან. პირიქით, ბრმა უნდა იყოს ადამიანი, მათში ნიჭი ვერ შენიშნოს. როგორც ჩანს, ისინი ბატონი გაიოზის გამო ისჯებიან, რაც ძალიან საწყენია.

ხიდეშელი "ზესტაფონში" ვარჯიშობს, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში კარგა ხანია, ალარ მოხვედრილა. გოცირიძე ზამთარში მეორე ბუნდესლიგის "აუეში" ისინჯებოდა და მას შემდეგ ალარ უთამაშია, მხოლოდ ახლახანს გამოჩნდა "ზესტაფონი 2-ში".

*"არ გამიმართლა. "აუეში", თითქოს, ყველაფერი კარგად მიდიოდა, საკონტროლო მატჩში გოლიც გავიტანე, მწვრთნელიც კმაყოფილი იყო და ვიცოდი, რომ მტოვებდნენ. თუმცა ფეხი ისე მატკინეს, რა კონტრაქტი და რისი დარჩენა, თვენახევარი დავისვენე. ახლახან დავიწყე ვარჯიში "ზესტაფონი 2"-ში. ბუნებრივია, ფორმის დროულად ალდგენა მსურს"* - გვითხრა ბექამ.

დაბოლოს, გიორგი განუგრავას ამბავი ისეთი ბურუსითაა მოცული, თითქოს მასონთა ლოჟის წევრი იყოს. მან სახლი შეიცვალა, მობილური გათიშული აქვს და 18 წლის ნახევარმცველზე ინფორმაციებს მის გარემოცვაში სანთლით დავეძებთ.

დანამდვილებით ვერავინ ამბობს, ამჟამად სადაა და რას აკეთებს. თითქოს თბილისში უნდა იყოს, მაგრამ ძვირი სანახავი გახდა. "ზესტაფონიდან" წამოსვლის შემდეგ, გიორგი საბერძნეთის პოპულარულ კლუბ "პანათინაიკოსში" ისინჯებოდა და მისი მეგობრები ამბობენ, თითქოს ათენელებთან კონტრაქტიც გააფორმა.

დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით. რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმა. და თუკი ასეა, თბილისში რატომღა დაბრუნდა, ან რატომ არ წერია, პასუხი კი არ გვაქვს. ცხადია, მკითხაობაც არ გვინდა დაგვბრალდეს. ეს თუ სიმართლეს შეეფერება, ძალიანაც გაგვიხარდება, რადგან ძლიერი საყრდენი ნახევარმცველი საქართველოს ნაკრებს არც ახლა აწყენს და არც პერსპექტივაში.

მთავარი ისაა, რომ ეს სამეული ისევ და ისევ ვილაცების თამაშისა და ბრძოლის საგნად არ იქცნენ. მათ დიდი პოტენციალი გააჩნიათ და დარსაძე უპატრონებს თუ სიკინჭილაშვილი, ამაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული მათი მომავალი.

**მერაბ მამულაშვილი**

ყაზბეგი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნოიბარტი ვებერის ნაცვლად



ფრანკ ნოიბარტი

"კარლ ცაისის" დამრიგებელ **ჰაიკო ვებერს** ბოლოდროინდელი წარუმატებლობები არ აპატიეს და თანამდებობიდან დაითხოვეს. *"გაწეული სამუშაოსთვის მას დიდ მადლობას ვუხდით, მაგრამ დროა, გუნდი სხვა სპეციალისტმა ჩაიბაროს. ეს გადაწყვეტილება სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მეორე ბუნდესლიგაში დარჩენის ერთადერთ გზად მიგვაჩნია"*, - ნათქვამია "კარლ ცაისის" ოფიციალურ განცხადებაში. ვებერთან ერთად, იენელებმა მისი ასისტენტი **მარკო კემპფეც** დაითხოვეს.

41 წლის ვებერი "კარლ ცაისში" 2004 წლიდან მუშაობდა. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია - ჯერ ობერლიგიდან რეგიონალლიგაში აღზევდა, შემდეგ კი მეორე ბუნდესლიგის საგზურიც მოიპოვა.

ბოლო მატჩები კი **გიორგი ლომაიასა** და **მიხეილ აშვეთიას** გუნდმა მეტად უსახურად ჩაატარა. უკვე ხუთი თამაშია, "კარლ ცაისმა" გამარჯვების გემო არ იცის, შედეგად, იენური გუნდი გასავარდნ ზონას დაუბრუნდა. დღეისთვის გუნდი 26 ქულით მე-15 ადგილზეა და ორი ქულით ჩამორჩება ამ ეტაპისთვის სამშვიდობოზე მყოფ "როტ ვაისს".

გუშინ საღამოს "კარლ ცაისის" თავკაცად **ფრანკ ნოიბარტი** დანიშნეს. აღსანიშნავია, რომ ამ ახალგაზრდა სპეციალისტს პირველ ბუნდესლიგაში მუშაობის საკმაო გამოცდილებაც აქვს, თავის დროზე, ნოიბარტი გელზენკირხენის "შალკეს" წვრთნიდა (**ლევან კობიაშვილის** მისვლამდე). ფეხბურთელობისას კი ბრემენის "ვერდერის" ღირსებას წარმატებით იცავდა და თბილისშიც უთამაშია "დინამოს" წინააღმდეგ.

იმედია, მწვრთნელის შეცვლა "კარლ ცაისის" ქართველების პერსპექტივაზე უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს და ისინი ძირითადის ფეხბურთელებად დარჩებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**



კახა ალადაშვილი

# ალადაშვილს შანსი ზაფხულამდე აქვს

კიევის "დინამოს" პრეზიდენტმა **იგორ სურკისმა** ერთ-ერთ ინტერვიუში გუნდში არსებულ პრობლემებზე ისაუბრა და სხვა ფეხბურთელებთან ერთად, ქართველ მცველ **კახა ალადაშვილსაც** შეეხო.

*"ჩვენთვის დღემდე პრობლემატურად რჩება თავდამსხმელის პოზიცია. ამას მარჯვენა ფლანგზე არსებული პრობლემებიც ემატება, რადგან ბოლო დროს აღარ მომწონს* ***მარკოვიჩის*** *თამაში.* მან ან საქმისადმი დამოკიდებულებას უნდა გადახედოს, ან ალადაშვილს დაუთმობს ძირითადში ადგილს. თუმცა არაა გამორიცხული, ახალი მარჯვენა მცველის ძებნაც დავიწყოთ. რა თქმა უნდა, ძნელია დონეცკის შახტიორელი ხორვატის, **დარიო სრნას** დარი ფეხბურთელის მოძებნა, რომელიც მთელ ფლანგს გააკონტროლებდა. გუსევს დაცვაში თამაშიც შეუძლია, მაგრამ მაშინ მას შეტევაში ველარ გამოვიყენებდით", - ამბობს პრეზიდენტი.

ასე რომ, ჩვენი თანამემამულის ამოცანა დღესავით ნათელია - ალადაშვილმა სეზონის დასრულებამდე საკუთარი შანსი უნდა გამოიყენოს და სერბ კონკურენტ მარკოვიჩს აჯობოს. სხვაგვარად, გუნდი ტრანსფერზე დააყენებს.

ეს რომ რეალურია, სურკისის სიტყვებიც ადასტურებს. *"ჩვენ ამ პოზიციას ან განვამტკიცებთ, ან ვილაცის გაშვება მოგვიწევს"*, - განაცხადა კიეველთა პრეზიდენტმა გუნდის ოფიციალურ ვებ გვერდთან საუბრისას.

**მერაბ მამულაშვილი**

# წავიდა, რათა დაბრუნდეს

31 წლის ქართველ ნახევარმცველ **მამია ჯიქიას** ერთ დროს საქართველოს ნაკრების მაისურიც მოურგია, ვეტერანი ფეხბურთელის კარიერა კი პოლონეთში გრძელდება. მამია შარშან ლოძის ლკს-სთან ერთად უმაღლეს დივიზიონში გადავიდა, თუმცა იქ ძირითად შემადგენლობაში ვერ დამკვიდრდა და პირველ წრეში მხოლოდ ოთხ მატჩში ითამაშა. ჯიქია უთამაშებლობას ვერ შეეგუა და ყოფილ კლუბ "რუხში" გადავიდა.

"რუხი" მეორე ლიგაში ასპარეზობს და უმაღლესში დაბრუნებისთვის იბრძვის. იანვარ-თებერვალში ქართველმა ფეხბურთელმა წარმატებით გაიარა ჩორჟოულ კლუბთან ერთად შეკრება და მეორე წრეში უკვე ორ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

ჯიქიას "რუხში" ძველი ნომერი, შვიდიანი დაუბრუნეს. ბოლო ტურში მისი ახალი გუნდი სტუმრად ვროცლავის "შლასკთან" 0:1 დამარცხდა (გუნდს საგულშემატკივროდ 500 ფანი გაჰყვა), თუმცა ქართველ ლეგიონერს ამ მატჩში არ უთამაშია. 14 აპრილს ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი შეხვედრა გაიმართება. ჩორჟოუს ათიათასიან სტადიონზე "რუხი" სოსნოვიეცის "ზაგლებიეს" მასპინძლობს. დღეისთვის, "რუხი" 44 ქულით პირველ ადგილზეა, ხოლო "ზაგლებიე" 43 ქულით - მეორეზე. უმაღლეს დივიზიონში ორი კლუბი გადადის, მესამე კი ფლეი ოფში იბრძოლებს.



მამია ჯიქია (მარცხნივ) ვარშავის "პოლონიასთან" მატჩში

ასე რომ, მამიას შესანიშნავი შანსი აქვს, კიდევ ერთ პოლონურ კლუბთან ერთად დაუბრუნდეს უმაღლესს. ჯიქია "რუხში" 1997-2002 წლებში თამაშობდა, საერთო ჯამში, მას ამ კლუბში 155 თამაში ჩაუტარებია და 14 გოლი გაუტანია. "რუხის" შემდეგ კი ჯიქია "ამიცაში", პლოცკის "ვისლასა" და ლკს-ში თამაშობდა. სხვათა შორის, პოლონური მასშტაბით "რუხი" საკმაოდ ტიტულოვანი კლუბია, ის ქვეყნის 14-გზის ჩემპიონი და თასის 3-გზის მფლობელია. ცნობისთვის, რუხს" ამჟამად **მიროსლავ მოსორი** წვრთნის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რუსეთის პირველი დივიზიონი

# თეთრაძემ იურანს აჯობა

რუსეთის პირველ დივიზიონში მე-4 ტურის მატჩები გაიმართა. მახაჭყალის "ანჟიმ" ლიდერ იაროსლავლის "შინიკს" უმასპინძლა და 1:0 გაიმარჯვა. შეგახსენებთ, რომ **ზურაბ მენთეშაშვილისა** და **ალექსანდრე ამისულაშვილის** ყოფილ კლუბს ახლო წარსულში ცნობილი ფეხბურთელი **სერგეი იურანი** წვრთნის. იურანის მთავარი იმედი კი შეტევებში ქუთაისის "ტორპედოს" ყოფილი ფორვარდი **ანდრეი პოროშინია**.

მასპინძელთა ნახევარმცველმა **ნარვიკ სირხაევმა** გამარჯვების გოლი მეორე დამატებულ წუთზე გაიტანა. მსაჯობით უკმაყოფილო "შინიკის" ხელმძღვანელობამ რუსეთის პფლ-ში საჩივარი შეიტანა.

"ანჟის" რიგებში **ზურაბ არზიანი** გამოჩნდა, მან შესვენებაზე **გრიდნევი** შეცვალა. გუნდში არ ჩანს **კახა მჟავანაძე**, რომელიც საჩემპიონატო განაცხადში კი შეიყვანეს, მაგრამ ფაქტია, რომ "ანჟიში" არც ვარჯიშობს და არც თამაშობს. **გოჩა ხოჯავას** ამჯერად არ უთამაშია. ომარი მიიჩნევს, რომ "ანჟის" პრემიერლიგის საგზურისთვის ბრძოლა ძალუძს.

სტუმრად მოიგო ბრიანსკის "დინამომ", **პაატა ჯინჭარაძის** კლუბმა "ზვეზდა" დაამარცხა - 1:0. ქართველმა ნახევარმცველმა შეუცვლელად ითამაშა. **ლავრენტი მიქაძეს** არ უთამაშია, მისმა "ბალტიკამ" 2:0 სძლია "მორდოვიას". არ გამოჩენილა **გედევან დარასელიაც**, რომლის "ტორპედომაც" "კამაზს" 3:1 მოუგო. ოთხი ტურის შემდეგ, ჯინჭარაძის "დინამო" 8 ქულით მესამეა, ხოლო "ანჟის" ქულით ნაკლები აქვს და მეშვიდე ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ომარ თეთრაძე

კოეფიციენტების რეიტინგი

# საქართველო 36-ეა

უეფამ კოეფიციენტების ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც საქართველოს 36-ე ადგილი უკავია. შეგახსენებთ, აღნიშნულ რეიტინგში ქვეყნებს ქულები კლუბების ევროასპარეზზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით ერიცხებათ. მიმდინარე სეზონში ჩვენი კლუბების ევროპულმა მონაგარმა 1,333 ქულა შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროთასებზე ახალ სეზონშიც ოთხი წარმომადგენელი გვეყოლება - ერთი ჩემპიონთა ლიგაზე, ორი უეფას თასზე, ერთი კი ინტერტოტოზე.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან რუსეთი, უკრაინა, ლატვია, ლიტვა და მოლდოვა გვისწრებენ.

1. ესპანეთი
2. ინგლისი
3. იტალია
4. საფრანგეთი
5. გერმანია
6. პორტუგალია
7. რუმინეთი
8. ჰოლანდია
9. რუსეთი
10. შოტლანდია

იკითხეთ "ტონუსი", იყავით ტონუსში...

ტონუსი

მსუბუქი გაზეთი ყველა თაობისათვის

ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

# რა უნდოდა რომას ჩემპიონთა ლიგაში?

## მოურინიომ ფლორესს დუელი მოუგო...

**მანჩესტერი–რომა 7:1 (1:2)**

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ო'ში (52. ევრა), ბრაუნი, ფერდინანდი, ჰაინცე, ქერიკი (73. რიჩარდსონი), ფლეტჩერი, კრისტიანო რონალდო, გიგზი (61. სოლსკიაერი), რუნი, სმიტი.

**რომა:** დონი, კასეტი, მექსე, კივუ, პანუჩი, დე როსი (86. ფატი), პისარო, ვილჰელმსონი (88. როზი), ვუჩინიჩი, მანსინი (90. ოკაკა ჩუკა), ტოტი.

**გოლები:** 1:0 ქერიკი (11), 2:0 სმიტი (17), 3:0 რუნი (19), 4:0 კრისტიანო რონალდო (44), 5:0 კრისტიანო რონალდო (49), 6:0 ქერიკი (60), 6:1 დე როსი (69), 7:1 ევრა (81)

**მაყურებელი:** 76 568

**არბიტრი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)



მანჩესტერი-რომა. კრისტიანო რონალდო და ალან სმიტი ინგლისელთა ტრიუმფს ზეიმობენ

"რომას" ევროპული გამოცდილება აკლდა და მიიღო – იმდენი და ისეთი, რომ კარგი ათი წელიწადი მაინც ეყოფა. **ალექს ფერგიუსონის** აწყვეტილმა "იუნაიტედმა" "რომას" გადაუარა და სულ ფეხქვეშ გათელა სერია A-ს რეპუტაციაო - ასე იწყებდა თამაშის მიმოხილვას ინგლისური "გარდიანი". მართალია: ეს 7:1 "რომას" დამცირებასთან ერთად იტალიური ფეხბურთის დამცირებაც იყო. ჯერ არ ყოფილა, რომ ჩემპიონთა ლიგაში რომელიმე იტალიური გუნდი ასე შერცხვენილიყო, ასეთი სხვაობით წაეგო. და ეს დაემართა "რომას", სერია A-ს მეორე გუნდს. ალბათ ღირს იმის გახსენება, რომ ზაფხულის სკანდალი რომ არა, "რომას" ჩემპიონთა ლიგაში საერთოდ არ უნდა ეთამაშა, იტალიაში შარშან ის მეხუთე იყო... მეორე დღეს "გაძეტა დელო სპორტის" პირველ გვერდზე დიდი ასოებით ეწერა: "მილან, საქმეს შენ უნდა მიხედო!", თავად თამაშს კი "გაძეტა" ასე მიმოიხილავდა:

"ვაი, დედა, რამდენი გვირტყეს?! თითქოს "რომა" რინგზე გასულიყო ახალგაზრდა ტაისონთან შესახვედრად: ბიმ-ბუმ-ბამ, "ჯალოროსი" 19 წუთში მიწაზე გაშხლართული ეგდო. მაგრამ რაკი კრივისგან განსხვავებით, ფეხბურთში ნაადრევად დანებება და გასვლა არ შეიძლება, დარჩენილი 70 წუთი სტუმრებისთვის ტანჯვა-წამებად იქცა. "ოლიმპიკოზე" პოლიციისგან მიღებული ხელჯოხების შემდეგ "მანჩესტერის" ფანებს ტრიუმფალური ღამე ჰქონდათ. არ ყოფილა შემთხვევა, რომ პირველ შეხვედრაში წაგების შემდეგ ალექს ფერგიუსონის გუნდი ჩემპიონთა ლიგის შემდგომ ეტაპზე გასულიყო. ამჯერად ეს პრეცენდენტიც შექმნა, თან ისე, რომ ნახევარფინალში ტრიუმფატორის ეტლით შეგრიალდა.

ორბიტაზე. ინგლისელებისგან მიღებული საფეხბურთო გაკვეთილი ან კიდევ რომაული კატასტროფა – ორივე თეზისი კარგი და სწორია. მართალია, მასპინძლებმა ბრწყინვალე პირველი ტაიმი ჩაატარეს, მაგრამ ისიც მართალია, რომ ორბიტაზე ისინი "რომას" მცველების ბავშვურმა შეცდომებმა გაიყვანეს. ქერიკის დარტყმა, რომელმაც გოლეადას დასაბამი მისცა, აუღებელი სულაც არ ყოფილა, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო, რომ დონი კარის ხაზზე ცოტა უფრო ფხიზლად მდგარიყო. მაგრამ ბრაზილიელი მეკარე ხუთი მეტრით წინ იდგა და ადგილზე გაქვავებული დარჩა, როცა ქერიკის მოჭრილმა ბურთმა ყურთან ჩაუქროლა.

შეცდომები. ხუთ წუთში 2:0 გახდა, რამაც რომაელების თავდაჯერებას სასიკვდილო დარტყმა მიაყენა: გზააბნეულმა კივუმ ვერაფერი გაუგო გიგზის გამჭოლ პასს, რომელმაც სმიტს ფართო კორიდორი გაუხსნა. ამ უკანასკნელის დარტყმას დონი უკვე ველარაფერს მოუხერხებდა. ორი წუთიც და აჰა, მიირთვით მესამეც: "წითლებმა" კონტრშეტევა დაიწყეს, გიგზმა მთელი მარჯვენა ფრთა ისე გადაირბინა, რომ არავინ შეხვედრია, მერე ერთი დაბალი ჩაწოდებით კივუ და მექსე "მოჭრა" და მეკარის საჯარიმოში შევარდნილ რუნისაც ისლა დარჩენოდა, რომ ერთი მარტივი შეხებით გაეტანა. ამის შემდეგ თამაში უკვე მაყურებლისთვის მიდიოდა, მაგრამ კუდაბზიკობის გარეშე: ყველაზე სპორტული გზა იმისთვის, რომ მეტოქე დააფასო და პატივი სცე, ისაა, რომ ბოლომდე მიაწვე. და ასეც იყო.

ტაქტიკა. თამაში რამდენიმე წუთის დაწყებული იყო, როცა ფერგიუსონმა საწყისი 4-4-2 სქემა ზუსტად ისეთით შეცვალა, როგორითაც მისი ვიზავი სპალეტი თამაშობდა. რაიან გიგზი გამთამაშებლად იქცა ეული ცენტრფორვარდის, სმითის ზურგსუკან (სმითი მწვრთნელმა შეგნებულად ამჯობინა სოლსკიაერს), რუნი მარცხნივ გადავიდა და მარჯვნიდან კრისტიანო რონალდომ დაიწყო თავისი ცენტრისკენული დრიბლინგები. ასეთი განლაგების პირობებში ინგლისელების მთავარი ზეწოლა უკვე პანუჩისა და კასეტიზე აღარ მოდიოდა. რონალდო, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში პირველად გაიტანა, პისაროს უშუალო მეტოქე გახდა და მოსალოდნელიც იყო, რომ ადვილად დაჯაბნიდა. თავდასხმისა და ნახევარდაცვის ხაზებს შორის მოთამაშე გიგზი დე როსის მეურვეობისგან თავის დახსნას თავისუფლად ახერხებდა. ის, რომ უელსელმა მესამე გოლს სათავე მარჯვნიდან დაუდო, იმაზე მეტყველებს, რომ რომაელებმა მას მოქმედების აბსოლუტური თავისუფლება უბოძეს, რითაც კიდევ ერთი მომაკვდინებელი ცოდვა ჩაიდინეს.

შემამსუბუქებელი გარემოებები. სიტუაციის დამძიმების შემდეგ, სპალეტის არც ალტერნატივა და არც დრო ჰქონდა თამაშის შემოტრიალებაზე რომ ეფიქრა. იტალიელი მწვრთნელის სასარგებლოდ რამდენიმე შემამსუბუქებელი გარემოების დასახელება შეიძლება. ისედაც მძიმე დანაკლისი იყო პეროტასა და ტონეტოს არყოფნა და უკანასკნელ წამს მათ რიცხვს ტადეიც დაემატა, როცა ტრავმა მოთელვისას მიიღო. მწვრთნელმა გადაწყვიტა, რომ ჩვეული სქემა არ შეეცვალა (არადა, შეიძლებოდა იმპროვიზებულად, ხუთკაციანი ნახევარდაცვის გამოყვანა) და პირველივე წუთიდან გამოიყვანა ვუჩინიჩი, რომელსაც, ბედის ირონიით, მშვენიერი შანსი ჰქონდა, რომ ახლა გაეტანა ის მესამე გოლი, რომელიც "ოლიმპიკოზე" ქარს გაატანა. მე-9 წუთი მიდიოდა: ჩერნოგორიელმა ტანის ერთი მოძრაობით დააბნია ბრაუნი და მეკარის პირისპირ დარჩენილს შეეძლო კარზე წასულიყო, მაგრამ იჩქარა, მაშინვე დაარტყა და ბურთი ლამის აუტზე გადააგდო.

ტოტი. სამი წუთით ადრე ფრანჩესკო ტოტიმ დაარტყა შორიდან და ძელს ოდნავ ააცილა. ეს ყველფერი იმის სათქმელად, რომ დასაწყისი სულაც არ მოასწავებდა ასეთ კატასტროფას. "რომას" კაპიტანმა ვერც ამჯერად შეძლო, რომ რაიმე კვალი დაეტოვებინა ფერგიუსონის მეხსიერებაში. მაგრამ არასწორი იქნება ყველაფრის ტოტიზე გადაბრალება, იმის მიუხედავად, რომ სულ ორჯერ გამოჩნდა: მისი ორი ძლიერი ჯარიმა ვან დერ სარმა ორივეჯერ გაჭირვებით მოიგერია. სამი ბურთის მიღების შემდეგ "რომა" სცენიდან საერთოდ გაქრა, ბურთი და მოედანი კი კრისტიანო რონალდოს დარჩა. მე-40 წუთზე პორტუგალიელმა სლალომით აუარა გვერდი რამდენიმე რომაელს და საჯარიმოს მიახლოებულმა დაბალი დარტყმით ახლო კუთხეში გაიტანა. ამის შემდეგ დუბლების ჯერი დადგა: ჯერ რონალდომ გაიფორმა გიგზის პასით, მერე კი ქერიკმა, ისევ ლამაზი მოჭრილი დარტყმით, რასაც ფერგიუსონი ფეხზე წამოდგომითა და ტაშით შეხვდა. 70-ე წუთზე კარისკენ ზურგით მდგომმა დე როსიმ ეფექტური ნახევარბრუნით ერთი ბურთი გაქვითა და პირჯვარი გადაიწერა. მაგრამ შეცვლაზე შესულმა ევრამ დაბალი დარტყმით ექვსბურთიანი უპირატესობა აღადგინა".

**ვალენსია–ჩელსი 1:2 (1:1)**

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, აიალა, მორეტი, დელ ორნო, ხოაკინი, ალბელდა, ალბიოლი (72. უგო ვიანა), სილვა, ვილია, მორიენტესი (65. ანგულო).

**ჩელსი:** ჩეხი, დიარა (46. ჯ. კოული), რიკარდო კარვალიო, ტერი, ე. კოული, ესიენი, ობი მიკელი, ბალაკი, ლემპარდი (90. მაკელელე), დროგბა, შევჩენკო (90. კალუ).

**გოლები:** 1:0 მორიენტესი (32), 1:1 შევჩენკო (52), 1:2 ესიენი (90)

**მაყურებელი:** 51 000

**არბიტრი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

90-ე წუთზე, **მიკაელ ესიენის** მიერ გატანილმა ბურთმა "ვალენსია" დაასამარა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ "ლამურებმა" ანგარიშით მეტისმეტად ისპეკულიანტეს. 32-ე წუთზე **ფერნანდო მორიენტესმა** გაიტანა და მასპინძლებს საქმე მნიშვნელოვნად გაუადვილა. მეორე ტაიმში მათ ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნვა დაიწყეს და სტუმრებს ინიციატივა უმტკივნეულოდ დაუთმეს. ამაზე სულელურ გადაწყვეტილებას ძნელად თუ ვინმე მიიღებდა. **ანდრეი შევჩენკომ** წონასწორობა მალევე აღადგინა. ამის შემდეგ კი ერთი გარემოება გამოაშკარავდა, **ჟოზე მოურინიომ კიკე სანჩეს ფლორესს** დუელი პირწმინდად მოუგო. ესპანელთა დამრიგებელი აშკარად ნიჭიერი სპეციალისტია, მაგრამ მოურინიოსთან ჭიდილში გამოცდილებამ უმტყუნა. ლონდონელთა თავკაცმა მოვლენები სწორად შეაფასა და ვიზავი ტაქტიკურ ბრძოლაში დაამარცხა. **ჯო კოულის** გამოსვლამ და ესიენის მარჯვენა ფლანგზე გადაწევამ "ჩელსის" თამაშს სიმწვავე შემატა. ფლორესს კონტრარგუმენტები არ აღმოაჩნდა.

მასპინძლებისთვის ჩემპიონთა ლიგა ბოლო იმედად რჩებოდა. მართალია, "ვალენსიას" პრიმერა დივიზიონში გამარჯვების თეორიული შანსი არ დაუკარგავს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, მათ "ბარსელონასა" და "რეალს" აჯობონ. ამის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, "ჩელსისთან" მატჩი "ლამურებისთვის" უბრალო მატჩზე გაცილებით მეტი იყო. ერთი შეხედვით, "სტემფორდ ბრიჯზე" დაფიქსირებული შედეგი პირენეელებს გარკვეულ უპირატესობას აძლევდა, თუმცა სენიორ ფლორესმა შეგირდებს ჯერ კიდევ შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე სთხოვა, რომ მოწინააღმდეგის მოედანზე გატანილი გოლით მოპოვებული უპირატესობა დაევიწყათ. ვალენსიელებმა დამრიგებელს თხოვნა მხოლოდ პირველ ნახევარში შეუსრულეს...

მესტალიელებმა პაექრობა საკმაოდ კარგად დაიწყეს. ბრიტანელთა ძლიერი შუახაზის გასაუვნებელყოფად ფლორესმა **ალბელდა** და **ალბიოლი** საყრდენი ნახევარმცველების პოზიციაზე გაამწესა. ფლანგები კი **ხოაკინსა** და **სილვას** ჩააბარა. რაც შეეხება თავდასხმას, იქ **დავიდ ვილია** და ფერნანდო მორიენტესი მოქმედებდნენ. **პეტერ ჩეხს** ყველაზე მეტი პრობლემა სწორედ ჩემპიონთა ლიგის ვეტერანმა მორომ შეუქმნა. 28-ე წუთზე "ვალენსიას" გოლამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა. მორიენტესის მიერ დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. ფორვარდმა წარუმატებლობა სერიოზულად განიცადა, თუმცა ცოდვის გამოსყიდვის შესაძლებლობა ძალიან მალე მიეცა. ხოაკინ სანჩესმა ფლანგზე მეურვეებს აჯობა და კარის გასწვრივ ჩააწოდა. მორიენტესმა იქ ყველას დაასწრო. ჩეხი იმ ეპიზოდში სრულიად უძლური აღმოჩნდა. მასპინძლები აზარტში შევიდნენ. მათ შეტევები განაგრძეს. ვილიას ოდნავ მეტად რომ გამართლებოდა, საკუთარ გუნდს ორი ბურთით დააწინაურებდა, მაგრამ ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს.

შესვენების შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. მოურინიოს ბიჭებმა საქმეს მთელი სერიოზულობით მოკიდეს ხელი.შედეგმაც არ დააყოვნა. 51-ე წუთზე ანდრეი შევჩენკომ მცველების შეცდომითა და თანაგუნდელების შესანიშნავი თამაშით ისარგებლა. უკვე მოგახსენეთ, რომ სტუმართა დამრიგებელმა უმნიშვნელოვანესი ცვლილებები განახორციელა. თავად განსაჯეთ, საგოლე იერიშს სწორედ ჯო კოულმა და მარჯვენა ფრთაზე გადასულმა ესიენმა ჩაუდგეს სული. "ლამურები" მორალურად წელში გატყდნენ. ისინი მზად არ აღმოჩნდნენ იმისთვის, რომ უკრაინელის გოლს ადეკვატურად გამოხმაურებოდნენ. ესპანელებმა უკან დაიხიეს. ისინი ალბათ, წარმატებულ კონტრიერიშზე ოცნებობდნენ. ამასობაში, კი "არისტოკრატები" კიდევ უფრო დიდი ძალებით უტევდნენ. დაცვა დაბნეულად გამოიყურებოდა, რასაც ვერ ვიტყვით **კანისარესზე**. სანტიაგომ პირველ ტაიმში რამდენიმე ურთულესი დარტყმა მოიგერია. ის მეორე ნახევარშიც ბრწყინავდა, მაგრამ ბედმა ისე ინება, რომ მომაკვდინებელი შეცდომა მაინცა და მაინც, ვეტერან მეკარეს დაეშვა. არადა, 84-ე წუთზე სანტიმ **მიხაელ ბალაკს** სასწაულებრივი ბურთი აუღო. სტადიონზე შეკრებილი საზოგადოება დამატებითი ტაიმების სანახავად მოემზადა, მაგრამ ბრძოლა ძალიან მალე დასრულდა. ესიენმა საჯარიმო მოედნის მარჯვენა კუთხიდან კანისარესს ახლო კუთხეში დაურტყა. ყველა კანონის მიხედვით, ბურთი მეკარის ნადავლი უნდა გამხდარიყო, თუმცა ბებერმა სანტიმ ნახტომი წამით დააგვიანა და მთელი "მესტალია" ჯოჯოხეთში გააგზავნა. ერთ წუთში საფინალო სასტვენის ხმაც გაისმა. ინგლისელებმა ნახევარფინალში გასვლით უზომოდ გაიხარეს. ზეიმს ჟოზე მოურინიოც შეუერთდა. ემოციების მოთოკვის შემდეგ კი პორტუგალიელი სპეციალისტი პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებთან სასაუბროდ მივიდა: *"ვალენსიამ" საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა. ვისაც ფეხბურთი ესმის, იოლად მიხვდება, რომ კიკე ფლორესმა დიდებული გუნდი გააკეთა. ესპანეთში ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, წელში გამართულები ჩამოვედით. ვიცოდით, რომ მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა გვეფიქრა. აქაურ წნეხს წამითაც არ შევშინებივართ. ბიჭებს ვუთხარი, რომ სტვენა, ღრიანცელი, ყვირილი და გინება ყურებიდან გამოეშვათ. ასეც მოიქცნენ და საქმე გაიადვილეს. ესიენის მარჯვნივ გადაყვანითა და კოულის მინდორზე შეშვებით ჩვენ უდიდესი უპირატესობა მოვიპოვეთ. ვფიქრობ, გარდატეხის მომენტი მეორე ტაიმის დაწყებისთანავე დადგა. თამაშის ეს ნაწილი ფანტასტიკურად ჩავატარეთ. ასეა ცხოვრება, ბოლო წამამდე უნდა იბრძოლო. ოთხი ტაიმი გავმართეთ, მაგრამ კვანძი ბოლო წუთზე გაიხსნა. ბედნიერი ვარ, რომ ბიჭებმა ნახევარფინალში გააღწიეს."*

რაც შეეხება კიკე ფლორესს, მან შეხვედრა ასე შეაფასა: *"გავვარდით, მაგრამ "ვალენსიამ" ევროპულ სარბიელზე პრესტიჟი დაიბრუნა. გულსაკლავია, რომ ბოლო წამებზე გაშვებული ბურთის გამო, ტურნირს გამოვეთიშეთ. თავს არ ვიმართლებ, მაგრამ მოდით, ობიექტურად ვიმსჯელოთ. ჩემს განკარგულებაში 14 ფეხბურთელი იყო. ძირითადად, სწორედ ამ შემადგენლობას უწევდა ორ ფრონტზე ბრძოლა. ბუნებრივია, ძალიან დაიღალნენ. გულშემატკივრებს თანადგომისთვის, მოთამაშეებს კი თავგანწირვისთვის გულწრფელ მადლობას მოვახსენებ. ახლა ყველაფერი უნდა დავივიწყოთ და პრიმერადივიზიონურ ბატალიებს დავუბრუნდეთ."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერი VS რომა. გამოხმაურება

# ფერგიუსონის ყველაზე ლამაზი ღამე ოლდ ტრაფორდზე

## სპალეტის ეს რომ სცოდნოდა, სახლში დარჩებოდა...



რომაელებს ასეთი რბევა კოშმარულ სიზმარშიც კი არ დაესიზმრებოდათ

ყველაზე სევდიანი ღამე ტოტისთვის, ყველაზე ბედნიერი **ფერგიუსონისთვის**. "ევროპულ თამაშებს თუ გავიხსენებთ, ასეთი ბედნიერი დღე "ოლდ ტრაფორდზე" ჯერ არ მქონია – თქვა სერ ალექსმა მას შემდეგ, რაც მისმა გუნდმა მსოფლიოში ნაქებ იტალიურ დაცვას შვიდჯერ გაუტანა - ჩვენი თამაშის ხარისხი იმდენად მაღალი იყო, რომ, როცა მეორე და მესამე გოლი გავიტანეთ, წარსულში ანალოგიების ძებნა დავიწყე და თან ვფიქრობდი, ეს რაღაც განსაკუთრებული იქნებამეთქი. მაგრამ ასეთ რამეს მაინც არ ველოდი... ჩვენი გოლები იმდენად ლამაზი და ოსტატური იყო, რომ ვეჭვობ, ოდესმე ამის გამეორება კიდევ შევძლოთ. ფანტასტიკურად ვითამაშეთ, სიტყვების მოძებნაც კი მიჭირს ჩვენი გამოსვლის აღსაწერად. სისწრაფე, მოძრაობა, თავდაჯერება, უნაკლო თამაში დამაგვირგვინებელ ფაზაში – ეს მართლაც გამორჩეული ღამე იყო. ახლა მოუთმენლად ველით ნახევარფინალს, იქ მონაწილეობა გუნდისთვის დიდი სტიმული იქნება. გასულ კვირაში ორი ცუდი შედეგი გვქონდა, ჩვენნაირი გუნდისთვის ზედიზედ ორი მარცხი იოლი გადასატანი არაა. მაგრამ დიდი გუნდი იმისთვის ხარ, რომ ასეთი მძიმე სიტუაციები დაძლიო. ყველა გუნდი შეიძლება აღმოჩნდეს რთულ მდგომარეობაში, მაგრამ მთავარი ისაა, როგორ გამოხვალ ამ მდგომარეობიდან. ასეთი თამაშის შემდეგ შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ სრულყოფილების ახალ საფეხურს მივაღწიეთ. ორი წლის უკან "მილანს" ვეთამაშეთ, მაშინ კრისტიანო რონალდო და რუნი პატარა ბიჭები იყვნენ და ასეთი ღამეებისთვის მზად ჯერ არ იყვნენ. გამოცდილი ოპონენტების წინააღმდეგ თამაში უჭირდათ, მაგრამ ამ საღამოს ისინი ნამდვილი კაცები იყვნენ".

**რუნი** და კრისტიანო **რონალდო** მართლაც შეუდარებლები იყვნენ, მაგრამ ფერგიუსონმა განსაკუთრებულად ისურვა **ალან სმითის** გამოყოფა - ფეხბურთელის, რომელმაც ძირითად შემადგენლობაში ამ სეზონში მეოთხედ ითამაშა: "ის ყველაზე მეტად იმსახურებს ქების სიტყვებს. მისი საქმისადმი დამოკიდებულება გასაოცარია, მაგრამ ამ ბიჭის ყველაზე დიდი ღირსება მოთმინება და ხასიათის სიმტკიცეა. რაიან გიგზი ისეთივე ჟინით თამაშობს, როგორც ათი წლის წინათ, მაიკლ ქერიკი დღითი დღე უმატებს და უკვე საოცარ თავდაჯერებას ავლენს, მაგრამ ფეხბურთელი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, სწორედ ალან სმითია, რადგან თავისი ენთუზიაზმი მთელ გუნდს გადასდო".

მწვრთნელის ქება არც პატიოსან მშრომელებს, **დარენ ფლეტჩერსა** და **ჯონ ო'შის** მოკლებია. ამ ხალხმა ისე ითამაშა, რომ **პოლ სქოულზისა** და **გარი ნევილის** არყოფნა არავის გახსენებია: "ჩვენი წარმატების მთავარი საიდუმლო ის იყო, რომ უკლებლივ ყველა ფეხბურთელმა მონახა საკუთარ თავში ძალა, რომ ამ დაპირისპირებას სრულ მზადყოფნაში შეხვედროდა. ცოტა ხნის წინათ ვთქვი, რომ წარმატების მიღწევაში ყველაზე დიდ დახმარებას ის ფეხბურთელები გვიწევდნენ, ვისაც ხშირად უწევთ თადარიგში ყოფნა და იმედია, რომ ჩემი სიტყვები გამართლდა. რაღაც უნდა მოიგო, რომ დიდ გუნდად გაღიარონ და იმედს ვიტოვებ, ამას ახლა გავაკეთებთ. იმ ფეხბურთით, რომელსაც ჩემი გუნდი აჩვენებს, ის გამარჯვებას უდავოდ იმსახურებს".

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში სამი ინგლისური გუნდია. ფერგიუსონის აზრით, დროა, პრემიერლიგა ევროპის უძლიერეს ლიგად გამოცხადდეს: "რამდენიმე წლის წინათ რომ ეკითხათ, საუკეთესოდ ესპანურ ფეხბურთს დავასახელებდი, მაგრამ წლევანდელმა სეზონმა ის გვაჩვენა, რომ "ბარსელონა" და "რეალი" სულაც არ არიან ისეთი ძლიერები, როგორებიც წინა წლებში იყვნენ. ინგლისური ფეხბურთის ხარისხმა საგრძნობლად იმატა, ამას უკვე ყველა საკუთარი თვალით ხედავს, ძალიან დიდია ალბათობა, რომ ნახევარფინალებში სამი ინგლისური გუნდი გავიდეს და იმედი მაქვს, რომ ინგლისური ფინალის მომსწრენი გავხდებით. ვფიქრობ, რომ სადღეისოდ ინგლისური ფეხბურთი ყველამ საუკეთესოდ უნდა აღიაროს".

პირველი შეხვედრის შემდეგ, როცა "რომამ" "იუნაიტედს" 2:1 მოუგო, **ლუჩანო სპალეტი** ფერგიუსონთან მივიდა და მის წინაშე ქედი მოიხარა. ამჯერად აღარ მისულა, მაგრამ სერ ალექსმა, როგორც ნამდვილმა რაინდმა, რომაელ კოლეგაზე ასე თქვა: "ამ მარცხის მიუხედავად, ის მაინც ბრწყინვალე მწვრთნელად რჩება. გარდა ამისა, საოცრად ვაჟკაცური და მამაცი ადამიანია".

დიდი მიხვედრა არ უნდა, რა განწყობაზეც იქნებოდა სპალეტი თამაშის შემდეგ. თავს ძალას ატანდა და ისე ლაპარაკობდა, თუმცა მომხდარში თვითონაც ვერ გარკვეულიყო: "ძნელი ასახსნელია, რატომ არ იყო დღეს მოედანზე ნამდვილი "რომა". პირველ ათ წუთში თითქოს კარგად დავიწყეთ, მაგრამ პირველივე შემოტევაზე გოლი გაგვიტანეს. ამ მომენტში მცირე პაუზა უნდა გაგვეკეთებინა და გვეფიქრა, როგორ გაგვეგრძელებინა. მაგრამ პირდაპირ შეტევაში გავვარდით, რითაც გამოვავლინეთ კიდეც ჩვენი გამოუცდელობა. ამისთვის მალე დავისაჯეთ, როცა კონტრშეტევებზე კიდევ ორი გოლი მივიღეთ. ზოგი მიზეზს ფსიქოლოგიაში ხედავს, ზოგი ყველაფერს პირველი გამარჯვების შემდეგ მიღებულ ქება-დიდებას აბრალებს, მაგრამ მიმაჩნია, რომ მთავრი მიზეზი სწორედ ეს სურვილი იყო, ანგარიში მაშინვე გაგვეთანაბრებინა. ეს იყო ჩვენი ყველაზე დიდი შეცდომა... ნუ მკითხავთ ტადეიზე, პეროტასა და ტონეტოზე. ისინი ძალიან გვაკლდნენ, მაგრამ თავის მართლების უფლება არ გვაქვს. ვუჩინიჩი? თავიდან კარგად დაიწყო, მეტოქეს აწუხებდა, კარგად მოძრაობდა. მაგრამ "მანჩესტერის" გოლებთან ერთად მისი თამაშიც შეიცვალა. ტოტი საუკეთესო კონდიციაში არ იყო და ვუჩინიჩიც სწორედ ამიტომ გავამწესე იმ ზონაში. ვილჰელმსონი? ტადეიზე ნაკლებად სწრაფია, მეგონა, რომ ამჯერად უკეთ ითამაშებდა, შეიძლება, შევცდი".

ბოლოს სპალეტის ჰკითხეს, უკან რომ დაგაბრუნონ, რას შეცვლიდით ამ კატასტროფის თავიდან ასაცილებლადო, რაზეც მწვრთნელმა უპასუხა, სახლში დავრჩებოდიო.

**გოგა ახალაძე**

---

სელტა

# სტოიჩკოვმა გამოწვევა მიიღო

## ბულგარელი სეზონის ბოლომდე დანიშნეს, თუმცა თუ გალისიელებს პრიმერა დივიზიონში დატოვებს, კიდევ ორი წელი იმუშავებს



ხრისტო სტოიჩკოვი

**ხრისტო სტოიჩკოვი** უკვე ვიგოშია. როგორც იცით, მან ბულგარეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა და "სელტის" ხელმძღვანელობის შეთავაზებას დათანხმდა. გალისიაში მას მოუთმენლად ელოდნენ. ცხადია, სტოიჩკოვმა მასმედიისთვის საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. ბულგარელი გვარწმუნებს, რომ ყველაფრისთვის მზადაა: "ბედნიერი გახლავართ, რომ ესპანეთში მუშაობის შესაძლებლობა მომეცა. ვიგოელების შეთავაზებაზე დიდ ხანს არ მიფიქრია. მოგეხსენებათ, ამბიცია არასოდეს მაკლდა. მინდა, პრიმერა დივიზიონში მწვრთნელის რანგშიც გავიბრწყინო. აბსოლუტურად ყველაფრისთვის მზად ვარ. მჯერა, "სელტას" კრიზისის დაძლევაში დავეხმარები. გულშემატკივრებს თანადგომისკენ მოვუწოდებ. ჩვენ ერთად უნდა გადავარჩინოთ გუნდი."

გალისიური კლუბის ხელმძღვანელობამ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ფრიად უჩვეულო მეთოდით გაავრცელა. პრესსამსახურის ხელმძღვანელმა მასმედიის საშუალებებს მობილური ტელეფონით მოკლე ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა. მან ჟურნალისტებს აცნობა, რომ სტოიჩკოვი სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელებს კლუბს. იმ შემთხვევაში, თუ "სელტა" პრიმერა დივიზიონში ადგილს შეინარჩუნებს, ბულგარელთან კონტრაქტს, სავარაუდოდ, ორი წლით გაახანგრძლივებენ.

---

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ვიდუკას გენუაში უხმეს

## ავსტრალიელს სამწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ რვა მილიონს გადაუხდიან

"ჯენოის" პრეზიდენტმა **ენრიკო პრეციოზიმ** "მიდლსბროს" თავდამსხმელ **მარკ ვიდუკას** სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა. ავსტრალიელს ინგლისური ხელშეკრულება ივნისში ეწურება. მარკი თავისუფალი აგენტი ხდება. ეს კი გენუელებს საშუალებას აძლევს, ფეხბურთელს მაღალი ხელფასი გადაუხადონ. რივერსაიდელებმა ვიდუკას თანამშრომლობის გაგრძელება უკვე შესთავაზეს, მაგრამ ის გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს. შაბათს, "უოტფორდთან" საშინაო მატჩისას (4:1), მარკმა დუბლი შეასრულა. ტრიბუნები ერთხმად სკანდირებდნენ, "sign him up", რაც დირექტორებისადმი მიმართული მოწოდება გახლდათ ფეხბურთელის შენარჩუნების თაობაზე.

"სანის" ცნობით, იტალიაში წასვლის შემთხვევაში ვიდუკას სამწლიანი გარიგება და 8 მილიონი გირვანქა ელოდება. ფორვარდის აგენტი არ მალავს, რომ მისმა კლიენტმა აპენინებიდან ძალიან კარგი შეთავაზება მიიღო და გადაწყვეტილებას აპრილის ბოლომდე მიიღებს. "ჯენოას" სერია B-ში მეორე ადგილი უკავია ("იუვენტუსს" ოთხი ქულით ჩამორჩება) და აღზევების ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატია.

---

შალკე

# ვარელა და ლინკოლნი დაბრუნდნენ!



გუსტავო ვარელა და ლინკოლნი გამოჯანმრთელდნენ

"შალკეს" გერმანიის ჩემპიონობამდე 6 მატჩი აშორებს. ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის დასრულებამდე 6 ტურით ადრე, **ლევან კობიაშვილის** გუნდი უახლოეს მდევარ "ვერდერს" 2 ქულით უსწრებს. გელზენკირხენელები თავდაუზოგავად იბრძვიან იმისთვის, რომ 1958 წლის შემდეგ პირველად გახდნენ გერმანიის ჩემპიონები და თუკი წინა შეხვედრებში "ხუმარების" თავკაც **მირკო სლომკას** არაერთი საკადრო პრობლემა ჰქონდა, ახლა შეუძლია, შვებით ამოისუნთქოს. ორთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ გამოჯანმრთელდა და მომდევნო ტურისთვის სრულ მზადყოფნაშია "შალკეს" ურუგვაელი ნახევარმცველი **გუსტავო ვარელა**, რომელიც ტრავმის მიღებამდე შესანიშნავ ფორმაში იყო და გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდრა. ვარელამ ტრავმა 10 თებერვალს, "ჰერტასთან" შეხვედრაში მიიღო და მერე სამშობლოში მენისკის ოპერაცია გაიკეთა. "შალკეს" სამედიცინო შტაბის ცნობით, თუ სასწაული არ მოხდა და ურუგვაელს ტრავმა არ გაუმიზეზდა, შაბათს, "მაინცთან" აუცილებლად ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ 28 წლის ვარელას მიმდინარე სეზონში 17 თამაში აქვს ჩატარებული (2 გოლი, 2 პასი).

ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და მაინცის "შტადიონ ამ ბრუხვეგზე" თამაში შეუძლია ბრაზილიელ ფლეიმეიქერ **ლინკოლნსაც**, რომელსაც ასეთი მძიმე განაჩენი იმის გამო გამოუტანეს, რომ დაახლოებით თვენახევრის წინათ, "ლევერკუზენთან" თამაშის შემდეგ "ფარმაცევტ" **ბერნდ შნაიდერს** სახეში უთავაზა. ლინკოლნის გარდა, დასჯილი აღარაა **ფაბიან ერნსტიც**, რომელსაც წინა ტურში დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია. სლომკასთვის განკუთვნილ სასიამოვნო ინფორმაციებში, არასასიამოვნო ცნობაც გამოერია: ახალგაზრდა მცველ **სებასტიან ბოენიშს** მყესები დაეჭიმა, რის გამოც ერთ თვეს ლაზარეთში გაატარებს. როგორც იცით, წინა ტურში გუნდს დიდი ხნის დაშავებული **ჯერალდ ასამოაც** დაუბრუნდა ("გლადბახთან" მატჩში, ანგარიში სწორედ ამ უკანასკნელმა გახსნა). ასე რომ, ბოენიშთან ერთად ლაზარეთში მხოლოდ **პეტერ ლოვენკრანდსიღა** რჩება, რომლისთვისაც მიმდინარე სეზონი დასრულებულია.

უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

# შააფი: ფრთხილად!



ბრემენელი ფრინგსი ალკმაარელი ლენსის წინააღმდეგ

| | |
|---|---|
| ვერდერი-ალკმაარი | (0:0) |
| ტოტენჰემი-სევილია | (1:2) |
| ბენფიკა-ესპანიოლი | (2:3) |
| ოსასუნა-ლევერკუზენი | (3:0) |

"ვერდერის" ფეხბურთელებმა და მწვრთნელმა იციან, რომ "ალკმაარის" დამარცხება იოლი არ არის. სტუმრად მიღწეული უგოლო ფრის შემდეგ, ამ წყვილში ისედაც ფავორიტად შერაცხული ბრემენული კლუბის შანსები კიდევ უფრო გაიზარდა და ექსპერტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ნახევარფინალში სწორედ "მუსიკოსები" გაალწევენ, მაგრამ **თომას შააფი** მაინც საგონებელშია ჩავარდნილი, რადგან იცის, რომ ერთი შეცდომაც საკმარისია იმისათვის, რომ **ლუი ვან გაალის** გუნდმა სენსაცია მოახდინოს. მით უმეტეს, რომ "ალკმაარს" მეტოქეთა შეცდომების გამოყენება საკმაოდ კარგად ეხერხება.

"ვერდერის" მდგომარეობა ცოტა არ იყოს, პრობლემურია. გუნდს, რომელსაც გერმანიის პირველობაზე 28 თამაშში 62 გოლი აქვს გატანილი, ბოლო დროს მეტოქეების დამწუხრება ძალიან უჭირს. "ვერდერმა" ბოლო სამ ოფიციალურ შეხვედრაში მხოლოდ და მხოლოდ 1 გოლის გატანა შეძლო. ეს ერთადერთი გოლი, კვირას, "ნიურნბერგთან" შეხვედრაში ბრემენელთა სათადარიგო თავდამსხმელმა **მარკუს როზენბერგმა** გაიტანა. შააფისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მთავარმეგოლე **მიროსლავ კლოზე** საშინელ ფორმაშია - მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირს აგერ უკვე რვა (!) თამაშია, გოლი აღარ გაუტანია. შააფის მდგომარეობას ის ფაქტიც ამძიმებს, რომ ზემოთ ხსენებულ მატჩში "მუსიკოსებს" მარცხენა მცველი **პიერ ვომე** და ცენტრალური მცველი **პერ მერტეზაკერი** დაუშავდნენ. სამაგიეროდ, ლაზარეთიდან დაბრუნდნენ და დღეისათვის სრულ მზადყოფნაში არიან **ტიმ ბოროვსკი, ფრანკ ბაუმანი** და **კრისტიან შულცი**. ვომეს დაცვის მარცხენა ფლანგზე სწორედ ეს უკანასკნელი შეცვლის, მერტეზაკერის ნაცვლად კი, ძირითად შემადგენლობაში ან **პეტრი პასანენს** ვიხილავთ, ანაც ბაუმანს. ამ უკანასკნელს საყრდენი ნახევარმცველის ადგილის დაკავებაც შეუძლია. თუ პასანენი ითამაშებს, გამოდის, რომ **შოთა არველაძეს** ძველ ნაცნობთან მოუწევს ჭიდილი - "აიაქსში" ისინი ერთად თამაშობდნენ.

*"ჩვენი მიზანია, ყურადღება არ მოვადუნოთ და "ალკმაარს" მომენტები არ შევაქმნევინოთ. თუ ამას შევძლებთ, აუცილებლად მივაღწევთ წარმატებას, რადგან "ვერდერი" "ალკმაარზე" უკეთესი გუნდია,"* - აცხადებს შააფი. მისმა ვიზავი ვან გაალმა, პირველი მატჩის შემდეგ თქვა, რომ 0:0 მისთვის სავსებით მისაღები ანგარიშია და რომ ამის გამო "ალკმაარი" ბრემენში გაცილებით თავისუფლად ითამაშებს. მართალიცაა: თუ რომელიმე გუნდზე ითქმის, წნეხის ქვეშაა მოქცეულიო, პირველ რიგში "ვერდერზე", რადგან ფავორიტები სწორედ ბრემენელები არიან. ვან გაალი დღეს დისკვალიფიცირებულ **გრეტარ სტეინსონს** ვერ დაიხმარს (ამ უკანასკნელმა საბედისწერო გაფრთხილება პირველ მატჩში მიიღო), **ბარი ოპდამი, დავიდ მენდეს და სილვა** და **ჯორი დიდულიცა** კი ტრავმირებულები არიან. სამაგიეროდ, ჰოლანდიელებს **სტიინ სხაარსი** გამოუჯანმრთელდათ. თუმცა ამ უკანასკნელს 19 იანვრის შემდეგ აღარ უთამაშია და შესაძლოა, ვან გაალმა სხაარსის ძირითად შემადგენლობაში გამწესება ვერც გარისკოს. თვითონ 23 წლის ნახევარმცველი ამბობს, რომ სრულ მზადყოფნაშია და მთელი მატჩის ჩატარება უპრობლემოდ შეუძლია.

"სევილიას" ძალიან უნდა, რომ მადრიდის "რეალის" შემდეგ გახდეს მეორე გუნდი, რომელიც ზედიზედ ორჯერ მოიგებს უეფას თასს. ამისათვის ანდალუსიელებმა "ტოტენჰემის" ბარიერი უნდა დაძლიონ. პირველ მატჩში ესპანელთათვის არც მთლად სახარბიელო ანგარიში დაფიქსირდა - **ხუანდე რამოსის** შეგირდებმა საკუთარ "სანჩეს პისხუანზე" უმძიმესი ბრძოლა გადაიტანეს და მას მერე, რაც 0:1-ს აგებდნენ, "ტოტენჰემს" მხოლოდ 2:1 მოუგეს. ეს ანგარიში ინგლისურ კლუბს შესანიშნავ შანსს უტოვებს.

"სევილიას" თავდამსხმელი **ლუის ფაბიანო** და მცველი **ჟულიენ ესკუდე** გამოუჯანმრთელდნენ, რაც ხუანდე რამოსისთვის დიდი შვებაა. *"კარგია, რომ წინა თამაში მოვიგეთ, მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ინგლისში უმძიმესი ბრძოლა გველის. ინგლისური კლუბები საკუთარ მოედანზე ყოველთვის ძალიან კარგად თამაშობენ და გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც "ტოტენჰემი" იქნება. მთელი 90 წუთის მანძილზე ომი იქნება და ჩვენ ეს ომი უნდა მოვიგოთ,"* - აცხადებს ესკუდე. "სევილია" ამ ომში მოგებული იმ შემთხვევაშიც დარჩება, თუკი "უაით ჰართ ლეინზე" ნულოვან ფრეს მიაღწევს, მაგრამ ნახევარმცველი **კრისტიან პოულსენი** ამაზე არ ფიქრობს: *"გოლის არგაშვებაზე ზრუნვა და ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრი "სევილიის" სტილი არ არის. ჩვენ აუცილებლად უნდა გავიტანოთ გოლი და არ უნდა გავატანინოთ მეტოქეს ჩვენზე მეტი. ეს არის ნახევარფინალში გასვლის ფორმულა,"* - ამბობს დანიელი საყრდენი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანდალუსიელებს დღეს ძირითადი გოლკიპერის, **ანდრეს პალოპისა** და თავდამსხმელ **ერნესტო ჩევანტონის** გარეშე მოუწევთ ასპარეზობა (ორივე ტრავმირებულია). სხვათა შორის, ჩევანტონი უეფას თასზე სევილიელთა საუკეთესო ბომბარდირია (4 გოლით).

"ტოტენჰემის" თავკაცმა **მარტინ იოლმა** კვირას, "ჩელსისთან" შეხვედრაში (1:0 "არისტოკრატების" სასარგებლოდ) ოთხი წამყვანი ფეხბურთელი დაასვენა - **რობი კინი, დიმიტარ ბერბატოვი, აარონ ლენონი** და **დიდიე ზოკორა**. "მამლებს" კაპიტანი **ლედლი კინგი** გამოუჯანმრთელდათ, მაგრამ ამ უკანასკნელს შობის შემდეგ აღარ უთამაშია და ცხადია, რომ საუკეთესო კონდიციაში არ არის. მიუხედავად ამისა, იოლი, ფაქტობრივად, იძულებულია, რომ კინგი სასტარტო შემადგენლობაში გაამწესოს, რადგან **ენტონი გარდნერი** და **რიკარდო როჩა** დაშავებულები არიან.

*"ეს არის სეზონის უმთავრესი მატჩი, რომელიც აუცილებლად ჩვენს სასარგებლოდ უნდა დავასრულოთ. ვიცით, რომ "სევილიის" დამარცხება საკმაოდ რთულია, მაგრამ ჩვენ ამ თამაშში უდიდეს მონდომებას ჩავაქსოვთ და მჯერა, რომ ნახევარფინალში ვითამაშებთ,"* - ეს სიტყვები "ტოტენჰემის" მცველ **მაიკლ დოუსონს** ეკუთვნის.

ერთი კვირის წინ ლისაბონის "ბენფიკა" ბარსელონაში "ესპანიოლთან" 0:3-ს აგებდა და იმ დროს, როცა პორტუგალიური გრანდის ქომაგებს ნახევარფინალში გასვლის იმედები თითქმის გადაწურული ჰქონდათ, "ბენფიკამ" ორი გოლი გაიტანა და საბოლოოდ სამშობლოში იმედიანად დაბრუნდა. **ნუნუ გომეშმა** და **სიმაო საბროსამ** "არწივებს" საპასუხო მატჩის წინ შესანიშნავი შანსი დაუტოვეს. "ესპანიოლის" ფეხბურთელებმა კარგად უწყიან, რომ "ესტადიო და ლუშზე" სასურველი შედეგის მიღწევა ძალიან გაუჭირდებათ. თუმცა 12 აპრილი კატალონიური კლუბისთვის მნიშვნელოვანი და იღბლიანი დღეა. ზუსტად ერთი წლის წინ "ესპანიოლმა" "სამეფო თასის" ფინალში "სარაგოსა" 4:1 დაამარცხა და ესპანეთის თასი მოიგო. კატალონიელები ამბობენ, რომ ეს ფაქტი მათ მოტივაციას მატებს.

"ესპანიოლის" თავკაც **ერნესტო ვალვერდეს** უმთავრესი პრობლემა ის გახლავთ, რომ ის გუნდის ლიდერ **რაულ ტამუდოს** ვერ დაიხმარს. პირველ მატჩში ანგარიში სწორედ ამ უკანასკნელმა გახსნა, მაგრამ მერე დაშავდა და შესაცვლელი გახდა. გუშინ ესპანური კლუბის სამედიცინო შტაბმა დაადასტურა, რომ ტამუდო ლისაბონში ვერ იასპარეზებს. სამაგიეროდ, ვალვერდემ შვებით ამოისუნთქა იმის გამო, რომ უეფას თასის საუკეთესო ბომბარდირ (10 გოლი მიმდინარე ტურნირზე) **ვალტერ პანდიანის** ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. პანდიანი "და ლუშზე" აუცილებლად იასპარეზებს. *"ტამუდოსთან ერთად, თუ ტამუდოს გარეშე, ჩვენ ლისაბონში სასურველი შედეგის მიღწევა შეგვიძლია,"* - ეს სიტყვები ესპანიოლის ფორვარდ **ლუის გარსიას** ეკუთვნის.

"ბენფიკამ" ორშაბათს "ბეირა მართან" 2:2 ითამაშა, რაც მწვრთნელმა **ფერნანდო სანტუშმა** იმას დააბრალა, რომ ფეხბურთელები "ესპანიოლთან" შეხვედრაზე არიან კონცენტრირებულები. ლისაბონელებს დღეს დაცვის ბურჯი **ლუიზაო** არ ეყოლებათ (ტრავმა), სამაგიეროდ, დისკვალიფიკაცია მოიხადა და აუცილებლად იასპარეზებს ბერძენი **კოსტას კაცურანისი**.

"ლევერკუზენი" "ოსასუნას" სტუმრობს და ფაქტობრივად უშანსოდაა. პირველი თამაში "ფარმაცევტებმა" 0:3 წააგეს და აქედან გამომდინარე, თითქმის წარმოუდგენელია, რომ ნახევარფინალში მაინც გაალწიონ. თანაც, **მიხაელ სკიბეს** გუნდმა ბუნდესლიგაშიც უდიდესი სირცხვილი ჭამა - 1:4 "ბოხუმთან", ასევე საკუთარ მოედანზე. შეგახსენებთ, რომ ევროთასების ფლეი ოფებში პირველი თამაში, საკუთარ კედლებში, ანგარიშით 0:3 სულ 115-მა გუნდმა წააგო და ტურნირს 115-ივე გამოეთიშა...



კრის კოულმენი

ფულჰემი. ახალი მწვრთნელი

# კოულმენი სანჩესმა შეცვალა

## ჩრდილო ირლანდიელთა თავკაცი სეზონის ბოლომდე ქრევენ კოტიჯზეც იმუშავებს...

"ფულჰემმა" მთავარი მწვრთნელი **კრის კოულმენი** დაითხოვა. კარისკენ მიუთითეს მის ასისტენტ **სტივ კინსაც**. ლონდონური კლუბი ჩრდილოეთი ირლანდიის ნაკრების თავკაც **ლორი სანჩესს** ჩააბარეს. ის "ფულჰემს" დროებით, სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელებს. ორშაბათს კოულმენის შეგირდებმა შინ, "მანჩესტერ სიტისთან" 1:3 წააგეს. ეს მარცხი მეხუთე იყო დედაქალაქელების რვამატჩიან მოუგებელ სერიაში. "ფულჰემს" გასავარდნი ზონისაგან ოთხი ქულალა ჰყოფს. ჩემპიონატის დასრულებამდე კი ექვსი ტურია დარჩენილი. "სიტისთან" ნამატჩევს ფანებმა თავიანთ ფეხბურთელებს სტვენა აუტეხეს. დირექტორების მოთმინების ფიალაც ავსებული იყო. და აი, ორდღიანი განსჯის შემდეგ, ახალგაზრდა სპეციალისტი უმუშევარი დარჩა. "ფულჰემის" ოფიციალურ განცხადებაში ვკითხულობთ: *"კლუბში ათწლიანი მოღვაწეობისას კრის კოულმენმა ფასდაუდებელი სამუშაო გასწია. ამიტომ ვწუხვართ, რომ მასთან განშორების გარდა, სხვა გამოსავალი არ დაგვრჩა. "ფულჰემს", როგორც საფეხბურთო კლუბსა და ორგანიზაციას, გადასაწყვეტი აქვს ურთულესი ამოცანები და კომპრომისზე წასვლა შეუძლებლად მიგვაჩნია."*

36 წლის კოულმენი "ქრევენ კოტიჯზე" 1997 წელს, ფეხბურთელის რანგში მივიდა. 2001 წელს ის ავტოავარიაში მოყვა, რა დროსაც უმძიმესი ტრავმა მიიღო. კრისს კარიერის ნაადრევად დასრულება მოუხდა. 2003 წელს კოულმენმა მთავარი მწვრთნელის პოსტზე ფრანგი **ჟან ტიგანა** შეცვალა. ახლა კი მის ადგილზე ლორი სანჩესი იმუშავებს. სამი წელია, სანჩესი ჩრდილოირლანდიელებს ხელმძღვანელობს. ამ ხნის განმავლობაში მისმა შეგირდებმა საკვალიფიკაციო მატჩებში ესპანეთი, შვედეთი და ინგლისი დაამარცხეს. უცნაურია, მაგრამ ეს არაფრით გამორჩეული ნაკრები თავისი შესარჩევი ჯგუფის ლიდერია. მას ექვს თამაშში 13 ქულა აქვს დაგროვებული და შვედეთს ერთი ქულით აღემატება. ამავე ჯგუფში არიან ესპანეთისა და დანიის ეროვნული გუნდები. სანჩესის დებიუტი კვირას, "რედინგთან" გასვლით მატჩში შედგება. მომდევნო ტურებში "ფულჰემს" "არსენალსა" და "ლივერპულთან" დაპირისპირებებიც ელის.

ვარსკვლავი

# მარადონა შინ გაუშვეს

**დიეგო მარადონა** საავადმყოფოდან გაწერეს. კერძო კლინიკაში გატარებული 13 დღის შემდეგ ის სახლში გაემგზავრა, ვკითხულობთ კლინიკის ოფიციალურ განცხადებაში. 46 წლის ლეგენდამ საავადმყოფო ოთხშაბათს, შუადღემეზე დატოვა. მას თან ახლდნენ ოჯახის წევრები. ექიმების თქმით, დიეგო სრულიად გამოჯანმრთელებული არ არის, მაგრამ მდგომარეობა სტაბილურია. სახლში გადაყვანის შემდეგ პაციენტს დასჭირდება ექიმის მუდმივი მეთვალყურეობა, აგრეთვე უმკაცრესი დიეტის დაცვა, რათა სარეაბილიტაციო პროცედურა შედეგიანად დასრულდეს. ოფიციალური ვერსიით, მარადონა კლინიკაში იმიტომ მოათავსეს, რომ ბოლო დროს გადამეტებულად მოიხმარდა ალკოჰოლს და განუწყვეტლივ არღვევდა დიეტას, რასაც წონაში მომატება მოჰყვა. გუშინვე დიეგოს პირადმა ექიმმა **ალფრედო კაემ** პირველად ახსენა ჰეპატიტი, რომელიც მისი თქმით, ზედმეტმა ალკოჰოლმა გამოიწვია.

ვარსკვლავთან დაახლოებული წყაროს ცნობით, ის გერლფრენდ **ვერონიკა ოხედას** სახლში გადაიყვანეს, რომელიც ბუენოს აირესის სამხრეთში მდებარეობს. კაემ დაადასტურა, რომ უახლოეს მომავალში ის და მარადონა შვეიცარიაში გაემგზავრებიან, რათა მკურნალობის მეორე ეტაპი დაიწყონ: *"თავდაპირველად, ჩვენს გაფრთხილებებსა და რჩევებს ყურადღებასაც კი არ აქცევდა, მაგრამ ამჯერად ყურს გვიგდებს და გვიჯერებს. დიეგომ გააცნობიერა, რომ მის ჯანმრთელობას გაფრთხილება და ხელის შეწყობა სჭირდება."* საავადმყოფოში ყოფნისას, მარადონას გვერდით იყვნენ მისი შვილები, **დალმა** და **ჯანინა**. მას ხშირად ნახულობდა ყოფილი მეუღლე **კლაუდიო ვილიაფანეც**.



დიეგო მარადონა

სკანდალი

# გრემ პოლს ბრალს სდებენ

ორშაბათს "ჩარლტონმა" "რედინგს" უმასპინძლა. ტურის ყველაზე უინტერესო მატჩი 0:0 დასრულდა. მასზე ბევრი არც არაფერია სალაპარაკო, მაგრამ ტაბლოიდებმა სწორედაც რომ ეს შეხვედრა ამოიღეს მიზანში და მათი მტკიცებით, შეთქმულებას ახადეს ფარდა. "სანი" ირწმუნება, რომ თამაშამდე მთავარი მსაჯი **გრემ პოლი** "ჩარლტონის" ბოს **ალან პერდიუს** შეუთანხმდა, რომ



გრემ პოლი

**ალექსანდრ სონგ ბილონგს** არ გააძევებდა. ის ლონდონური კლუბის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა. "ჩარლტონი" პრემიერლიგაში დასარჩენად იბრძვის. პერდიუს მისი დახმარება ჰაერივით სჭირდება. ამიტომ, როცა 68-ე წუთზე "არსენალის" ყოფილმა ნახევარმცველმა მეტოქე უხეშად მოცელა და ულაპარაკოდ იმსახურებდა ყვითელ ბარათს, პოლმა "ჩარლტონის" სათადარიგოთა სკამს რალაც ანიშნა და ფეხბურთელი დაუყოვნებლივ შეცვალეს. სონგს მე-15 წუთზე ერთი გაფრთხილება უკვე მიღებული ჰქონდა. მეორე ყვითელი ფეხბურთელის გაძევებასა და დისკვალიფიკაციას გამოიწვევდა. მსაჯი კი, როგორც "სანი" ამტკიცებს, "ჩარლტონის" ბოსებთან იყო მორიგებული. ტაბლოიდმა ინფორმაციის გადამოწმება მისტერ გრემთან სცადა, მაგრამ მან აბეზარი მიმომხილველები უწმაწური გინებით მოიშორა, ისეთი გინებით, როგორითაც პრემიერლიგის მატჩებისას, მსაჯები არა, მაგრამ ფეხბურთელები კი ხშირად იგინებიან ხოლმე. ყოფილმა არბიტრმა **ჯეფ ვინტერმა** კოლეგის საქციელი დაგმო და თქვა, რომ პოლი თავისსავე ანკესს წამოედო. საფეხბურთო ასოციაციას ინციდენტთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

## ოუენის პირველი 75 წუთი

**მაიკლ ოუენი** დაბრუნდა. სამშაბათ საღამოს, "ნიუკასლის" საწვრთნელ ბაზაზე, რომელიც ჟურნალისტებისათვის დროებით დაიხურა, ჯორდებმა სამოყვარულო "გრეტნასთან" ამხანაგური მატჩი გამართეს. ის სამი 30-წუთიანი ტაიმისაგან შედგებოდა. ოუენმა მინდორზე 75 წუთი გაატარა, ერთი გოლი შეაგდო, ერთი საგოლე გადაცემა მიითვალა, მისმა გუნდმა კი 4:1 გაიმარჯვა. ათ დღეში "ნიუკასლი" "ჩელსის" შეხვდება. ოუენი სწორედ იმ საღამოს გეგმავს მინდორზე გასვლას. "გრეტნასთან" მატჩში მთავარმა მწვრთნელმა ძირითადი გუნდის რამდენიმე ფეხბურთელი ათამაშა, მათ შორის, **შოლა ამეობი**, რომელმაც, ოუენის მსგავსად, ახლახან მოიშუშა ტრავმა, **ტიტუს ბრემბლი, ალბერტ ლუკე** და **შარლ ნზოგბია**.

## რა იღონოს ანრიმ?

**ტიერი ანრის** სპეკულაციები "არსენალიდან" მისი მოსალოდნელი აბარგების შესახებ ყელში ამოუვიდა. ფრანგ თავდამსხმელს "ბარსელონა" ეპატიჟება. რამდენიმე დღის წინ ინგლისურმა სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია **არსენ ვენგერთან** მისი შეხვედრის შესახებ. ტაბლოიდების მტკიცებით, საუბარი საზაფხულო ტრანსფერებს შეეხებოდა. ანრი უკმაყოფილო დარჩა იმ ფეხბურთელების სიით, რომელთა შეძენას "მეთოფეები" აპირებენ და ისევ ლონდონიდან აბარგებაზე დაიწყო ფიქრი. *"აღარ ვიცი, რა ვქნა, რომ ამ სპეკულაციებს ერთხელ და სამუდამოდ დავუსვა წერტილი და საზოგადოებამდე მივიტანო ის, რასაც ვფიქრობ. იქნებ საგანგებო მაისურა დავამზადებინო, რომელზეც დიდი ასოებით დავაწერ, რომ "არსენალში" ვრჩები? რამდენჯერ უნდა გავიმეორო, რომ ლონდონიდან წასვლას არ ვაპირებ? ეს ყველაფერი ძალიან მოსაბეზრებელი გახდა,"* - განუცხადა ვარსკვლავმა "მირორს". შეგახსენებთ, მუხლის ტრავმის გამო ტიერიმ სეზონი ნაადრევად დაასრულა. მის არყოფნაში "მეთოფეებმა" წარუმატებელი სერია გამოაცხვეს.



ერნან კრესპო

ტრანსფერის მოლოდინში

# ჟოზე: კრესპოს დაბრუნება მოუწევს

## მოურინიო მომავალ სეზონზე უკვე ფიქრობს

**ჟოზე მოურინიომ** უარყო იტალიურ პრესაში გავრცელებული ცნობა იმის თაობაზე, რომ "ჩელსი" მზადაა, **ერნან კრესპო** კონტრაქტისგან გაათავისუფლოს. ხელშეკრულების მიხედვით, არგენტინელი ფორვარდი 2008 წლის ივნისამდე "არისტოკრატების" საკუთრებას წარმოადგენს და გასული ზაფხულიდან "ინტერში" იჯარის წესით თამაშობს. კრესპო დიდი ხანია, ღიად აცხადებს, რომ მილანში დარჩენა უნდა. "გაძეტა დელო სპორტი" ორი დღის წინ წერდა, **რომან აბრამოვიჩი** მზადაა, ფეხბურთელის ეს სურვილი დააკმაყოფილოს და კონტრაქტი ერთი წლით ადრე გაუწყვიტოს, რასაც "ინტერთან" სრულფასოვანი ხელშეკრულების გაფორმება მოჰყვებაო.

მაგრამ მომავალი სეზონის პირველ ნახევრაში "ჩელსის" შემტევი ძალის ნაკლებობა ექნება, რადგან **დიდიე დროგბა** და **სალომონ კალუ** სანაკრებო შეხვედრებით იქნებიან დაკავებულები აფრიკის თასზე. *"სწორედ ამ მიზეზის გამო მოუწევს ერნანს "ჩელსიში" დაბრუნება"* – განაცხადა ჟოზე მოურინიომ სამშაბათს, მას შემდეგ, რაც მისმა გუნდმა ვალენსიაში გაიმარჯვა და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა. *"შეუძლებელია, რომ სეზონის ასეთ დელიკატურ ფაზაში ჩვენ მხოლოდ ორი ფორვარდი ვიყოლიოთ* – განაგრძო პორტუგალიელმა მაესტრომ – *ადამიანური თვალსაზრისით, გული მწყდება, რადგან ვიცი, რომ კრესპოს მილანში დარჩენა სურს, მაგრამ ის "ჩელსის" საკუთრებაა და უკან დაბრუნება მოუწევს".*

მოსალოდნელი გარიგება

# დეკუ და მილიონები ლემპარდის სანაცვლოდ

## ბეგირისტაინი მოლაპარაკებების დასაწყებად ლონდონში მიემგზავრება...

"ბარსელონის" სპორტული დირექტორი **ჩიკი ბეგირისტაინი** ლონდონში მიემგზავრება. ის **რომან აბრამოვიჩთან** შეხვედრას აპირებს. "დიარიო სპორტის" ცნობით, საუბარი **ფრენკ ლემპარდს** შეეხება. კატალონიელები მზად არიან, ინგლისელი ნახევარმცველი **დეკუ სოუზაში** გაცვალონ და ზედ კიდევ რამდენიმე მილიონი გირვანქა დაუმატონ.



ფრენკ ლემპარდი

ლემპარდის საკითხი ჰაერშია გამოკიდებული. მისი კონტრაქტი 2009 წელს იწურება. ზაფხულში ფეხბურთელს ხელშეკრულების გამოსყიდვა სულ რაღაც 8 მილიონ გირვანქად შეეძლება. ეს თანხა ფრენკის საბაზრო ღირებულებაზე რამდენჯერმე ნაკლებია. გაუთავებლად საუბრობენ ლემპარდით "ბარსელონის" დაინტერესების შესახებ. ვარსკვლავის მეგობარი გოგონა კატალონიელია. ფრენკს არაერთხელ უთქვამს, რომ "ჩელსის" შემდეგ ყველაზე მეტად "ბარსას" ქომაგობს.

"არისტოკრატებმა" ლემპარდს კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზეს, მაგრამ მხარეები პირობებზე ვერ თანხმდებიან. მათ უკვე რამდენიმე შეხვედრა გამართეს, მაგრამ უშედეგოდ. "ჩელსის" აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ კენიონი** ირწმუნება, რომ ნახევარმცველი "სტემფორდ ბრიჯზე" დარჩება. ფეხბურთელის აგენტი **სტივ კუტნერი** კი "არისტოკრატებს" ურჩევს, გადაწყვეტილება უმოკლეს დროში მიიღონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი კლიენტი დაინტერესებული კლუბების წარმომადგენლებს შეხვდება. ინგლისური ტაბლოიდები იმასაც ამბობენ, რომ თუ **ჟოზე მოურინიოს** მოხსნიან, ლემპარდი და კიდევ რამდენიმე ვარსკვლავი ტრანსფერებზე იზრუნებენ.

რაც შეეხება დეკუს, პორტუგალიელ ნახევარმცველს ოფიციალურად "ბარსელონიდან" აბარგების სურვილი არ გამოუთქვამს, თუმცა ამ საკითხზეც გაუთავებელი სპეკულაციები მიმდინარეობს. გუშინ გავრცელდა დეკუს კომენტარი, სადაც მან მხარი დაუჭირა კატალონიელების განზრახვას, "დეპორტივოს" პორტუგალიელ მცველ **ჟორჟე ანდრადეს** გაუფორმონ კონტრაქტი: *"ის შესანიშნავი მცველია, ერთ-ერთი საუკეთესო მცველი მთელ პრიმერა დივიზიონში. დარწმუნებული ვარ, "ბარსელონას" ძალიან წაადგება."*



დიტერ ჰიონესი

ჰერტა

# უღირსი ბერლინელები

## ჰიონესის ოცნებას ახდენა არ უწერია...

**ესპანეთში მადრიდის "რეალი" და "ატლეტიკო", ინგლისში ლონდონის "ჩელსი" და "არსენალი", იტალიაში რომის "ლაციო" და "რომა"... გერმანიაში? მიხვდით ალბათ, დედაქალაქურ გრანდებზე გვაქვს საუბარი, გერმანიაში კი, ამ მხრივ საქმე ძალიან ცუდადაა. ბერლინის ერთადერთი სერიოზული კლუბი "ჰერტაა" (თუ შეიძლება, რომ ამ გუნდზე ითქვას, სერიოზულიაო). მიმდინარე სეზონში ბერლინული კლუბი ლამის ყველაზე არასერიოზული და ქაოტურია მთელ ბუნდესლიგაში.**

ზედიზედ რვა თამაშის ვერმოგების შემდეგ (6 წაგება, 2 ფრე), "ჰერტას" ხელმძღვანელებმა მთავარ მწვრთნელ **ფალკო გიოტცს** კარისკენ მიუთითეს. ბევრს ეგონა, რომ გენერალური მენეჯერი **დიტერ ჰიონესი** გიოტცის ნაცვლად მწვრთნელად ლეგენდარულ ბერლინელს, "ჰერტას" ექსფორვარდ **მიხაელ პრეეტცს** დანიშნავდა, მაგრამ ჰიონესმა, ყველასათვის მოულოდნელად, გუნდი მოყვარულთა დამრიგებელ **კარსტენ ჰაინეს** ჩააბარა. კითხვაზე, თუ რატომ მიიჩნევს ჰიონესი, რომ ჰაინე "ჰერტასთვის" (თუნდაც სეზონის ბოლომდე) ღირსეული მწვრთნელი იქნება, დიტერი ასე პასუხობს: *"თუ გახსოვთ, თავიდან მირკო სლომკაც ყველასათვის უცნობი სპეციალისტი იყო, მაგრამ ის "შალკეს" თავკაცად მაინც დანიშნეს. შეგახსენებთ, რომ დღეს სლომკას "შალკე" გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძვის."*

"ბილდმა" ბერლინელთა ბოსს ასეთი კითხვა დაუსვა: *"ნუთუ "ჰერტა" ვერასდროს გახდება ბუნდესლიგის გრანდი?"* აი, პასუხიც: *"დღესდღეობით არ გვაქვს იმის სახსრები, რომ "ბაიერნს", "ვერდერსა" და "შალკეს" გავეჯიბროთ. ჩვენ ინვესტიციების უდიდესი ნაწილი ინფრასტრუქტურასა და ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაში ჩავდეთ. სხვათა შორის, ამის გამო უამრავი კომპლიმენტიც დავიმსახურეთ. მინიმუმ ორი წელი მაინც გვჭირდება იმისთვის, რომ გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლა დავიწყოთ. თუმცა, შესაძლოა, ამას 3, 4 ან სულაც 5 წელი დასჭირდეს."*

როცა დიტერ ჰიონესი იმაზე ლაპარაკობს, რაც "ჰერტამ" მისი ბოსობის ხანაში მოიმკო, ყოველთვის იხსენებს 1997 წელს, როცა ის ბერლინული გუნდის შეფად დააყენეს. მაშინ "ჰერტას" ოფისში ჯერ კიდევ საბეჭდი მანქანები იდგა, გუნდის თანამშრომლებს კომპიუტერები თვალითაც არ ენახათ, ოფისის ოთახები კი ნესტიანი და ურემონტო იყო. ჰო, სწორედ დიტერის დამსახურებაა ის, რომ ბერლინში ფეხბურთი დაბრუნდა - ჰიონესმა UFA-ს სახით სერიოზული სპონსორი მოიზიდა, გერმანიის დედაქალაქში ფეხბურთი გააცოცხლა, "ჰერტა" ელიტაში დააბრუნა და პირველსავე სეზონში ჩემპიონთა ლიგის საგზური მოაპოვებინა, მერე კი ექვსჯერ გაიყვანა უეფას თასზე. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ჰიონესი, რომელსაც "ჰერტას" ფანები ნათლიმამას ეძახიან, 2010 წლამდე (ანუ, კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე) ვერ აისრულებს ოცნებას. მისი ოცნება კი ესაა: *"მინდა, ერთ მშვენიერ დღეს, ბრანდენბურგის კარიბჭესთან "ვერცხლის სინით" ხელდამშვენებულმა ვიარო!"* ამის ნაცვლად, ჰიონესმა იმ პრობლემებს უნდა მოუაროს, თავისივე მოყვანილი ფეხბურთელები რომ უქმნიან.

"ჰერტა", ეს არის ექსცენტრული და მოუწესრიგებელი ფეხბურთელების კრებული, რომელთა აზრზე მოყვანა ბოსმა ვერა და ვერ შეძლო. ახალგაზრდა ფეხბურთელები, **კევინ პრინს ბოატენგის** მეთაურობით, იმას აკეთებენ, რაც თვითონ უნდათ და სიამოვნებთ. ცნობილი გახდა, რომ ცოტა ხნის წინ ბოატენგმა **ფალკო გიოტცზე** გაიწია და რომ არა მცველი **დირკ ვან ბურიკი**, რომელმაც ფეხბურთელი დააშოშმინა, კევინი მწვრთნელს ფიზიკურ შეურაცხყოფას მიაყენებდა. თავდამსხმელი **მარკო პანტელიჩი** და კიდევ ერთი მცველი **იოზიპ შიმუნიჩი** აბსოლუტურად ყველაფერზე ფიქრობენ, გარდა ფეხბურთისა, ხოლო თურქ ფლეიმეიქერ **ილდირაი ბაშთურქს** კი ბერლინიდან აბარგება აქვს გადაწყვეტილი - ჯოჯოხეთში დარჩენა არ მსურსო.

დიტერმა ფეხბურთელების დასაშოშმინებლად ბევრი რამ სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მაგალითად, მან რამდენიმე მოთამაშე მაგრად დასაჯა იმის გამო, რომ ერთ-ერთი თამაშის წინ, როცა მწვრთნელი ტაქტიკასტრატეგიის ახსნით იყო დაკავებული, ისინი ტექსტურ შეტყობინებებს აგზავნიდნენ.

დღეს "ჰერტას" 46.2 მილიონი ევროს ოდენობის ვალი აქვს, რის გამოც ჰიონესს სერიოზულ ტრანსფერებზე ოცნებასაც კი ეკრძალება. თუმცა ჩვენი გერმანელი კოლეგები, მიუხედავად ჰიონესის არაერგზის უარყოფისა, მაინც დღენიადაგ იმეორებენ, რომ ბერლინული კლუბი **იენს ლემანის** გადაბირებას ცდილობს. "ბილდი" ამტკიცებს, ლემანი გაურკვევლობაშია და არ იცის, ღირს თუ არა ინგლისის დედაქალაქიდან გერმანიის დედაქალაქში გადასვლაო...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ხორხე ვალდანოსთან

# ლიონელ მესი თანამედროვეობის მარადონაა

## რეალის ყოფილი ბოსი წუხს, რომ ფეხბურთი თანამედროვეობას დაემსგავსა. ის სამსახურის დაკარგვის შიშით შეპყრობილ მწვრთნელებს ადანაშაულებს...

**ხორხე ვალდანო ესპანური ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო ექსპერტად მიიჩნევა. ის წარმატებით თანამშრომლობს სხვადასხვა სატელევიზიო არხთან და საზოგადოებას საფეხბურთო რეპორტაჟებს სთავაზობს. ყველა გამოკითხვის თანახმად, ვალდანოს კომენტარები გულშემატკივრებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. ერთი სიტყვით, სამეფო კლუბის ყოფილი გენერალური დირექტორი შესანიშნავი კომენტატორია. უშუალოდ მატჩების გაძღოლის გარდა, მას ინტერვიუების მიცემაც ხშირად უწევს. სენიორ ხორხეს ამჯერად "დიარიო ასის" კორესპონდენტი გაესაუბრა.**

**- ვალდანო, პრიმერა დივიზიონში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. "სარაგოსასთან" წაგების შემდეგ "ბარსელონას" "სევილია" და "რეალი" მიუახლოვდნენ. როგორ ფიქრობთ, სეზონის დასკვნითი ნაწილი კიდევ უფრო დაძაბული იქნება?**

- რა თქმა უნდა. ყველა ვხედავთ, რომ უკან დახევას არავინ აპირებს. ყველა მოტივირებულია. საჩემპიონო მარათონში სამი ფავორიტი გამოიკვეთა. აბსოლუტურად ყველაფერი მათზეა დამოკიდებული. შესაძლებლობის მაქსიმუმს ვინც გამოამჟღავნებს, ჩემპიონიც ის გახდება.

**- მაინც, რომელი გუნდის გამარჯვებას ელით?**

- ძნელი სათქმელია. ნება მიბოძეთ, პროგნოზებისგან თავი შევიკავო. კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ, რომ წარმატების შანსი სამივე გუნდს თანაბრად აქვს. შესაძლოა, "სევილიას" ორ ფრონტზე ბრძოლამ პრობლემები შეუქმნას. არ ვიცი, ესეც ვარაუდია. ერთი რამ კი უდავოა, გულშემატკივრები საოცარ თამაშებს იხილავენ. ჰაერში დაძაბულობა იგრძნობა (იცინის).

**- ზოგადად ფეხბურთში მიმდინარე მოვლენებს როგორ აფასებთ? საით მიდის ჩვენი თამაში?**

- წარმოდგენა არ მაქვს. თითქმის ყველაფერი შეცვალეს. საბრალო ფეხბურთელებს კვირაში რამდენიმე მატჩის გამართვა უწევთ. შესაძლოა, შვიდ დღეში მოედანზე ოთხჯერაც მოუწიოთ გასვლა. სამი ორთაბრძოლა კი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. საფეხბურთო სამყარო ორ ნაწილად გაიყო, მოთამაშეების მყიდველ და გამყიდველ ქვეყნებად. ბაზრის კონიუქტურა ბევრ სასიცოცხლო გარემოებას განსაზღვრავს. ამ ყველაფრის შემხედვარე ადამიანი ხვდება, რომ ფეხბურთი შეიცვალა. ის აღარ ჰგავს ძველ თამაშს.

**- კონკრეტულ მაგალითს ხომ არ შემოგვთავაზებთ?**

- ესპანეთი ავილოთ. ადრე ამ ქვეყნის ნაკრების თამაშები ხალხს საშუალებას აძლევდა, რომ საუკეთესოთა შორის საუკეთესო ფეხბურთელები ეხილა. ბიჭები თავს იკლავდნენ, მოედანზე ძვლებს ტოვებდნენ. ახლა კი რა ხდება? ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ნაკრების შეხვედრები პრიმერა დივიზიონის ერთგვარი დანამატია, რომლებიც განტვირთვისთვისაა მოგონილი. ინჩასებს "სელექსიონის" ბიჭები, რა თქმა უნდა, მაინც უყვართ, მაგრამ ამავდროულად ყველა ხვდება, რომ კლუბის ინტერესები უფრო მაღლა დგას.

**- ესე იგი, ყველაზე მეტად ნაკრებები ზარალდებიან?**

- ამასწინათ ალფიო ბასილეს შევხვდი. დიდ ხანს ვისაუბრეთ. ის დამეთანხმა, რომ ეროვნული გუნდის თავკაცი ფეხბურთელების შემკრები, ე.წ შემრჩევი უფროა, ვიდრე მწვრთნელი. "ალბისელესტეს" დამრიგებელს კანდიდატებზე დაკვირვება, მათი საგულდაგულოდ შესწავლა სულ უფრო და უფრო გაუჭირდება. საკმარისია, რომელიმე ნიჭიერი მოთამაშე გამოჩნდეს, რომ ის უმალ უცხოეთში მიჰყავთ. მაგალითად, სერხიო აგუერო ავილოთ. კი ბატონო, შესანიშნავია, როცა "ატლეტიკო" გიწვევს და სოლიდურ ხელფასს გინიშნავს, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ აგუერო 18 წლისაა. ჩემი აზრით, მისთვის უკეთესი იქნებოდა, არგენტინაში კიდევ რამდენიმე წელი დარჩენილიყო. ასე უფრო გაიზრდებოდა. საშინელებაა, როცა ახალგაზრდა, ჯერაც ჩამოუყალიბებელ ფეხბურთელს პრიმერა დივიზიონის, ან რომელიმე სხვა ევროპული ლიგის პრაგმატიზმი გასაქანს არ აძლევს. აგუეროს არგენტინის ჩემპიონატში მეტი თავისუფლება ექნებოდა. ესპანეთში კი ის ვერასოდეს მისცემს თავს იმის უფლებას, რომ კალენდარული თამაშების მსვლელობისას საკუთარი ეგო დაიკმაყოფილოს. ელემენტარულად, ფინტები დახვეწოს და ინდივიდუალიზმი გამოამჟღავნოს. "ატლეტიკოში" ასე რომ მოიქცეს, გუნდიდან გააგდებენ. ეს კი დიდ ხელფასს შეჩვეულ აგუეროს, რა თქმა უნდა, არ სურს.

**- ამ ყველაფრის გამო, ფეხბურთი არასანახაობრივი გახდა?**

- ფეხბურთი თანამედროვეობას დაემსგავსა. თავად ეპოქა შეიცვალა. ათწლეულების წინათ ადამიანები უფრო რომანტიკულები იყვნენ. შესაბამისად, მათ უფრო ლაღი, უკომპლექსო ფეხბურთი უყვარდათ. ახლა კი თავად სამყარო გაუხეშდა. სხვა ღირებულებები გამეფდა. რა თქმა უნდა, რომანტიზმი არ გამქრალა. რომანტიკოსები დღესაც ცოცხლობენ, მაგრამ ისინი ძალიან ცოტანი არიან. ფეხბურთშიც ასეა. სხვათა შორის, ამ თამაშს საოცარი უნარი აქვს იმისა, რომ ცხოვრებას დაემსგავსოს. შესაძლოა, გული გვწყდებოდეს, მაგრამ ალიაქოთი არ უნდა შევქმნათ. მთავარია, რომ ვარსკვლავები დღესაც არიან.

**- თავად ფეხბურთელები როგორ აღიქვამენ მიმდინარე მოვლენებს?**

- ისინი საკუთარ საქმეს აკეთებენ. თავს არ ზოგავენ და ვერაფერს ვუსაყვედურებთ. ალბათ, უმჯობესია ისევ ჩვენ ვილაპარაკოთ. ფეხბურთში პაუზის ფენომენი გაფერმკრთალდა. უდავოა, თანამედროვე მოთამაშეები ნაკლებს ფიქრობენ. მწვრთნელები სამსახურის დაკარგვის შიშს ვერ უმკლავდებიან და საკუთარი ტყავის გადასარჩენად ათასგვარ ტაქტიკას იგონებენ. თითქოს ნაჭუჭში იკეტებიან და იმპროვიზაციის აუცილებლობაზე არც ფიქრობენ.

**- არადა, ერთი შეხედვით ბევრი არც არაფერი შეცვლილა. გუნდების უმეტესობა ისევ 4-4-2 ტაქტიკას იყენებს...**

- მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ მწვრთნელებმა განლაგება შეცვალეს. კი ბატონო, ისინი 4-4-2 ტაქტიკას იყენებენ, თუმცა არ გაინტერესებთ, როგორ განალაგებენ მოთამაშეებს? მოედნის ცენტრში ორი საყრდენი ნახევარმცველი გაჩნდა. თავდაპირველად, ერთი მხოლოდ დაცვაზე ზრუნავდა, მეორე კი შეტევებს უყრიდა საფუძველს. დროთა განმავლობაში, არც ეს იკმარეს და ორივე საყრდენს მხოლოდ დაცვითი ფუნქციები დააკისრეს. დანარჩენი ორი შუახაზელი ფლანგებზე მოქმედებენ. ამასობაში კი, გამთამაშებლის ინსტიტუტი გაქრა. აი, ეს არის ყველაზე მეტად გულდასაწყვეტი. ვისაც კარგი გამთამაშებელი ჰყავდა, ლამაზადაც ის თამაშობდა. მას თავდამსხმელების საგოლე პოზიციაზე გაყვანა ევალებოდა. მოძრაობით, ტექნიკის დემონსტრირებითა და საოცარი პასებით გამთამაშებლები გულშემატკივრებს ულამაზესი ფეხბურთით ახარებდნენ. ახლა კი მოწინააღმდეგის საჯარიმოში შეღწევის ყველაზე მოდურ და მისაღებ გზად გრძელი პასები იქცა. ვინმე ბურთს 30-40 მეტრით წინ გადააგდებს, იქ საყრდენი ნახევარმცველები ომს იწყებენ. როგორც კი ბურთს მოიგდებენ დაუყოვნებლივ წინ 30-40 მეტრზე აგდებენ და იგივე თავგადასავალი საპირისპირო კართან იწყება. არ ვიცი, შესაძლოა, ვინმეს ძალიან მოსწონს, მაგრამ მე გაცილებით საინტერესო ფეხბურთი მინახავს და მითამაშია.

**- როგორ გავიგოთ, პრესინგის მოწინააღმდეგე ხართ?**

- როგორ გეკადრებათ. ფორვარდი ვიყავი, მაგრამ უკან ჩასვლას არასოდეს ვთაკილობდი. მოწინააღმდეგის შევიწროებას მათივე საჯარიმოდან ვიწყებდი. როცა ბურთს მოწინააღმდეგე ფლობს, ის აუცილებლად უნდა შეზღუდო. აქ არაფერია სადავო. უბრალოდ, მე სულ სხვა საკითხზე მოგახსენებდით.

**- როგორ ფიქრობთ, ესპანეთის ჩემპიონატი სხვა ჩემპიონატებზე უფრო სანახაობრივია?**

- კარგი კითხვაა. ესთეტიზმის მქონე საფეხბურთო მოღვაწეებისთვის ბოლო წლების მთავარი საზრუნავი შემოქმედებითი მწვრთნელების დაცვაა. ამ თვალსაზრისით, ესპანეთში შედარებით უკეთესი სიტუაციაა. რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ, "ბარსელონა" ლამაზი თამაშის სამსახურში დგას. კატალონიელები მინიმალურ კომპრომისზე მიდიან, მაშინ, როცა სხვა გრანდები შედეგის გამო ყველაფერს ივიწყებენ. ზოგჯერ მათი თამაშების შემხედვარეს მეჩვენება, რომ არა ფეხბურთს, არამედ რაღაც გაურკვეველ სპორტს ვუყურებ, რომელიც წვალებას უფრო ჰგავს. "ბარსა" აშკარად გამორჩეულია.

**- კი მაგრამ, რატომ არ ითვალისწინებთ, რომ ნებისმიერი მწვრთნელი იმ ფეხბურთელებს იყენებს, რომლებიც გუნდში ირიცხებიან...**

- სწორედ იმას მოგახსენებდით, რომ წინა ეპოქაში, სხვა თაობებში ბევრად უფრო შემოქმედი ფეხბურთელები იზრდებოდნენ. მათ უბრალოდ, სულ სხვა ღირებულებებით ზრდიდნენ. დღესდღეობით კი წინა პლანზე სხვა მოთხოვნებმა გადაინაცვლა.

**- თქვენ რომ მწვრთნელი იყოთ, გუნდს როგორ ათამაშებდით?**

- კარგ გამთამაშებელს, თავდამსხმელებსა და მცველებს მოვნახავდი. რაღა დარჩა (იცინის)... ყველაფერს ვიღონებდი იმისთვის, რომ ჩემს გუნდში ლეო მესის ეთამაშა. სასწაულებრივი უნარები აქვს. ნამდვილი გენიოსია. ამ სიტყვების წარმოთქმა არასოდეს შემაშინებს. ჩემი აზრით, მესი თანამედროვეობის მარადონაა. ისე კი, თვითონ ლეო გულწრფელად ამბობს, დიეგოს ფრჩხილადაც არ ვღირვარო. ზოგჯერ, თვალებს ვერ ვუჯერებ, როცა ბარსელონელის თამაშს ვუყურებ. გასაოცარი ის არის, რომ ჯერ მხოლოდ 19 წლისაა. მის ასაკში ნორმალურად არც კი ვიცოდი შხაპი მატჩამდე უნდა მიმეღო, თუ მატჩის შემდეგ (იცინის). ეს-ესაა პაუზის ფენომენზე ვისაუბრე. სწორედ ჩემს თანამემამულეს შეუძლია, პაუზა დაიჭიროს და მოწინააღმდეგე მთლიანად გამოთიშოს სათამაშო ეპიზოდიდან.

**- მესის გარდა, კიდევ ვის მიიწვევდით თქვენს გუნდში, რიკელმეს?**

- მოდით, მეტისმეტად შოვინისტად ნუ წარმომაჩენთ (იცინის). მხოლოდ არგენტინელებზე ვისაუბრო?

**- არგენტინელებზეც და სხვებზეც...**

- თანამემამულეთაგან, რა თქმა უნდა, მესის, გახოსა და დიეგო მილიტოს ავირჩევდი. უცხოელთაგან კი რუნის, ტიერი ანრისა და ტოტის მივანიჭებდი უპირატესობას.

**ილია ნიკოლაიშვილი**



ხორხე ვალდანო



რომარიო

ვასკო და გამა

# რომარიო, კონფლიქტის მიზეზი

## მე-1000 გოლის გულისთვის კლუბმა სათამაშო სქემაც კი ვეტერან თავდამსხმელს მოარგო

"ვასკო და გამამ" ფეხბურთელებს ჟურნალისტებთან საუბარი აუკრძალა. მთავარმა მწვრთნელმა **რენატო პორტალუპიმ** ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც **რომარიომ** თანაგუნდელი **ლეანდრო ამარალი** საჯაროდ გააკრიტიკა. აკრძალვა წუხელ, გვიან ღამით, "ბოტაფოგოსთან" მატჩის შემდეგ უნდა გაუქმებულიყო. ეს შეხვედრა "მარაკანაზე" იყო დანიშნული. ახლა, როცა ამ ინფორმაციას ეცნობით, რომარიო, შეიძლება, კარიერის მე-1000 გოლს ზეიმობდეს.

ამარალის უკმაყოფილება სწორედ ამ მე-1000 გოლმა და მასთან დაკავშირებულმა ვნებათაღელვამ გამოიწვია. "ბოტაფოგოსთან" თამაშამდე, "ვასკომ" ზედიზედ სამი მატჩი წააგო. ამარალმა წარუმატებელი სერია რომარიოს პირად ამბიციებს დაუკავშირა, მისი მე-1000 გოლი განუზომელი წნეხის ქვეშ გვაქცევს და პასუხისმგებლობას გვიორმაგებსო. რომარიო ამ განცხადებას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა: *"ზოგიერთი ფეხბურთელისთვის პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი პრობლემაა. თუ რომელიმე მათგანს მიაჩნია, რომ პასუხისმგებლობა ზედმეტი ტვირთია, მან "ვასკო" უნდა დატოვოს და სამოყვარულო კლუბში გააგრძელოს კარიერა."*

საინტერესოა, რომ რომარიოს მე-1000 გოლს არა მხოლოდ ფეხბურთელი, არამედ მთელი "ვასკო და გამა" სულმოუთმენლად ელის. მთავარმა მწვრთნელმა საამისოდ სათამაშო სქემაც კი შეცვალა და ის მთლიანად 41 წლის თავდამსხმელზე ააგო. გუშინდლამდე რომარიოს (მისივე გამოთვლით) 999 გოლი ჰქონდა დაგროვებული. ეს მონაცემი მოიცავს გოლებს, რომელიც ფორვარდს არა მხოლოდ ოფიციალურ სანაკრებო თუ საკლუბო მატჩებში, არამედ სამოყვარულო თუ ახალგაზრდულ გუნდებში, აგრეთვე ამხანაგურ მატჩებში ასპარეზობისას გაუტანია.

# მატურანა არგენტინაში ბრუნდება

კოლუმბიის ნაკრების ყოფილი თავკაცი **ფრანსისკო მატურანა** კარიერას არგენტინაში გააგრძელებს. ის ლა პლატის "ხიმნასიის" მთავარ მწვრთნელად ინიშნება. მატურანამ კოლუმბიელები 1990 და 1994 წლების მუნდიალებზე გაიყვანა. შემდეგ დაბრუნდა გუნდში და 2001 წელს "კოპა ამერიკაც" მოაგებინა. *"მწვრთნელობა ჩემი ვნებაა. მხოლოდ ჩემს საყვარელ საქმიანობას შეუძლია, ბედნიერება მომანიჭოს. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი დანიშვნა 100 პროცენტით გადაწყვეტილია, მაგრამ კონტრაქტთან ძალიან ახლოს ვართ,"* - განუცხადა მან პოპულარულ არგენტინულ გამოცემა "კლარინს".

58 წლის სპეციალისტი "ხიმნასიაში" არგენტინის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელ **პედრო ტროლიოს** შეცვლის, რომელიც ორწლიანი მოღვაწეობის შემდეგ გასული კვირის მიწურულს გადადგა. თავის დროზე მატურანას ევროპაშიც უმუშავია. ის "ვალიადოლიდისა" და მადრიდის "ატლეტიკოს" თავკაცი იყო. არგენტინაში კი მცირე ხნით "კოლონს" წვრთნიდა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძიუდო

ინტერვიუ ზაზა კედელაშვილთან

# ნაღდი იყოს და კოკა იყოს... მთავარია, ამაზე არ გავჩერდე!



ბრაზილიის მსოფლიო ჩემპიონატისთვის თადარიგი დაჭერილია

**დედოფლისწყაროელი** ზაზა კედელაშვილი (66) ზედიზედ მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონი ძიუდოში. პირველად ანალოგიური წარმატება მან შარშან ტამპერეში მოიპოვა, შაბათს - ბელგრადში. ამით მან პირველი სერიოზული ნაბიჯი გადადგა პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიისკენ, თუმცა იქამდე სექტემბერში ბრაზილიაში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატია. ზაზას უმთავრესი საზრუნავი ახლა სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებისთვის მზადებაა. ამ მიზანს ემსახურება სალიცენზიო მსოფლიო თასებზე გამოსვლაც, თუმცა იგი ყველა ტურნირში ჭიდაობას არ აპირებს. ამასთან, არც წონას დაიკლებს და 73-ში იჭიდავებს. ცხადია, მისთვის სადებიუტო მსოფლიო ჩემპიონატზე იგი თავისი წონის გამოკვეთილი ლიდერი იქნება, რაც მოდუნების საშუალებას არ აძლევს. უკვე ჩავლილი ევროპირველობისა და სამომავლო გეგმების შესახებ კედელაშვილი თავად გვესაუბრება.

**- ამბობენ, ტიტულის შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე მისი მოპოვებაო. მართლა ასე ყოფილა?**

- ზუსტად ვერ გეტყვით, მაგაზე არც მიფიქრია. ადვილად მოსაპოვებელი არც ერთი არ ყოფილა. მე უფრო იმაზე ვფიქრობდი, რომ მაქსიმუმი გამელო და ჩემპიონი გამხდარიყავი. ხშირად სპორტსმენები ერთი მოგებით ამთავრებენ ყველაფერს. მე ძალიან არ მინდოდა, ასე მომსვლოდა და ევროპაზე მიმავალმა მთავარ ამოცანად ახალი წარმატება დავისახე. მიმაჩნია, რომ ადამიანი მიღწეულზე არასოდეს უნდა შეჩერდეს.

**- ბელგრადში ჩატარებული შეხვედრებიდან რომელს გამოარჩევთ?**

- ყველა შეხვედრა ძნელი იყო და დასამახსოვრებელი, მაგრამ დაძაბულობით მაინც მეორე ორთაბრძოლას გამოვარჩევ საბერძნეთის სახელით მოასპარეზე ტარიელ სონიშვილთან, რომელიც ახლა ზიდირიდისის გვარით გამოდის. ჭიდაობის ქართული სტილიდან გამომდინარე, უხერხული მეტოქეა. ის საკმაოდ ძლიერიცაა, ქართული სკოლის აღზრდილია და ერთმანეთსაც კარგად ვიცნობთ - რამდენჯერმე შევხვედრივართ.

გამორჩეული იყო მეოთხედფინალიც პორტუგალიელ პედრო დიასთან, რომელმაც მარტში პოლონეთის ტურნირზე მომიგო. დამაჯერებლად, იპონით დავამარცხე და დავუმტკიცე, რომ პოლონეთში შემთხვევით მაჯობა. კი ეგონა, ახლაც მომიგებდა, მაგრამ სუფთად დავაგდე.

**- საერთაშორისო ტურნირებში სტაბილურად გამოსვლისა და აქა-იქ მოპოვებული წარმატებების მიუხედავად, ალბათ, მიალკოვიჩს უმთავრეს კონკურენტებში არც თვლიდით - ის წონის ლიდერებს არასოდეს მიეკუთვნებოდა.**

- სერბი ცუდი მოჭიდავე არაა - ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე ხუთეულშიც შესულა, მაგრამ ლიდერებს მართლა არ მიეკუთვნებოდა. თუმცა ჭიდაობა უკვე ყველამ ისწავლა, სულ ახალ-ახალი ფალავნები ჩნდებიან და დღეს მარტო გვარ-სახელით ვერავინ იჭიდავებს, ყველასთან უნდა იბრძოლო. სერბმა საკმაოდ ძლიერი ქვეჯგუფი გაიარა და ნახევარფინალში ფრანგ ევროპის ჩემპიონ ბენჟამენ დარბელეს მოუგო, ვისაც მე შარშანდელ ფინალში ვაჯობე. ამის მიუხედავად, სერიოზულად მაინც არ შევაფასე და იოლად მოგებას ვიმედოვნებდი. ვფიქრობდი, იპონზე დავაგდებ-მეთქი. კოკათი მოგებაზე და მსგავს მოკრძალებულ შედეგზე არ ვჭიდაობდი, მაინდამაინც წმინდა მოგება მინდოდა, მაგრამ შეხვედრის მიმდინარეობისას დავრწმუნდი, მთლად ხელწამოსაკრავიც არ ყოფილა. ბოლოს დავილალე კიდეც და კოკაზეც თანახმა გავხდი. კაცმა რომ თქვას, ოღონდ წარმატება მოიპოვო და რითი მოიგებ, რა მნიშვნელობა აქვს?

**- ერთ მომენტში კინაღამ თავად დაგაგდოთ იპონზე, მაგრამ სასწაულებრივად დაუძვერით. ალბათ, მაშინ ძალიან შეგეშინდათ...**

- ოოო, მაშინ მართლა გადავრჩი, მაგრამ შიში არ მიგრძვნია, რადგან ჭიდაობისას მაგაზე ფიქრს ვერ ასწრებ.

**- ფინალი ისედაც ძნელია, მაგრამ ეს გამორჩეული იქნებოდა, რადგან მასპინძელს ხვდებოდით...**

- ჩემზე მასპინძლების, ტრიბუნების ფაქტორი არ მოქმედებს. ჩემი საქმეა ჭიდაობა და მაგაზე ფიქრისთვის არ მცალია. ვინ რას ყვირის, ნესიერად არც მესმის. ერთადერთი, მწვრთნელის ხმას ვაქცევ ყურადღებას. მართალია, დარბაზი ჩემს მეტოქეს ქომაგობდა, მაგრამ იმათ ხმაურშიც კი მესმოდა ჩვენი ქომაგების ათკაციანი ჯგუფის შეძახილები. მათ შორის, ჩემი პირადი მწვრთნელის - გურამ მოდებაძის ხმაც, თუმცა, ვინაიდან ტატამთან შოთა ხაბარელი მეჯდა, გურამი მითითებებს იშვიათად მაძლევდა. მოდებაძის იქ ყოფნაც დიდი სტიმული იყო.

**- პოლონეთში პედრო დიასთან წაგება ახსენეთ... ამბობენ, რომ იქ რაღაც თქვენეული გათვლილი მოქმედებით - ძალებს ზოგავდით, მაგრამ შეცდით. მაინც რა მოხდა იქ, რატომ წააგეთ?**

- არავითარი გათვლა და ძალების დაზოგვა არ ყოფილა. იქ ჭიდაობა საერთოდ არ მინდოდა, რადგან ერთ თვეში ევროპა უნდა მეჭიდავა და წონის დაკლება არ მინდოდა. ბოლო მომენტამდე ვიმედოვნებდი, რომ არ მაჭიდავებდნენ, მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელობამ არ დამითმო და წონის დაკლება ვერ მოვასწარი. ტურნირის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე 6 კილოგრამი უნდა დამეკლო. მიზეზიც ეს იყო, თუმცა ის მარცხი საგანგაშოდ არ მიმიჩნევია.

**- ზოგადად ნაკრების გამოსვლას როგორ შეაფასებთ? მზადების პროცესში სიახლეები იყო, თუ რის ხარჯზე მოემზადა გუნდი ასე კარგად?**

- ნაკრები ძალიან კარგად გამოვიდა. ხაბარელს იქვე ეუბნებოდნენ უცხოელი მწვრთნელები, მაგარი გუნდი გყავსო. მზადების პროცესში ხაბარელმა გარკვეული ექსპერიმენტები ჩაატარა - ახალი ვარჯიშები დაგვიმატა.

**- ახლა მთავარი მსოფლიო ჩემპიონატია. როდიდან შეუდგებით მზადებას, რომელ ტურნირებში გამოხვალთ მანამ? მით უფრო, უკვე ეს სალიცენზიო შეჯიბრებებია.**

- ვარჯიშს უკვე ხუთშაბათს სალამოსვე განვაახლებ, უშუალოდ მსოფლიოსთვის მზადებას კი ივლისიდან ვიწყებთ შეკრებით. მანამ სალიცენზიო ტურნირებია, რომელთაგანაც პირველში, აპრილის ბოლოს რომში კი გამოვალ, მაგრამ ზედა წონაში და მერე დანარჩენებში აღარ ვიჭიდავებ. ამ ჩემპიონობით ლიცენზია თითქმის გავინაღდე - რა უნდა მოხდეს, რომ უსაგზუროდ დავრჩე. მით უფრო, მსოფლიოზე ხუთეულში მოხვედრა პირდაპირ გაძლევს ლიცენზიას. ვიმედოვნებ, იმათში მეც მოვხვდები. თუ არადა, მომდევნო შეჯიბრებებში მაინც მოვიპოვებ ლიცენზიას. ამიტომ, ერთის გარდა, სალიცენზიო ტურნირებში არ გამოვალ და მსოფლიოსთვის საგანგებოდ მოვემზადები.

**- ალბათ, რომისთვის წონას ზედმეტი დატვირთვების ასაცილებლად არ იკლებთ...**

- არც იქ ჭიდაობა მინდა, მაგრამ საჭიროა. რაკი გუნდმა ტემპი აკრიფა, აჯობებს, ახლავე გავაგრძელოთ საქმე, ამ ენთუზიაზმით.

**- მსოფლიოსთვის სიურპრიზებიც საჭიროა, თორემ თქვენს ჭიდაობას საგულდაგულოდ გაშიფრავენ.**

- რადიკალური სიურპრიზების შეთავაზება ცოტა ძნელია, მაგრამ რაღაცებს ნამდვილად დავამატებ.

**- თქვენ რას ფიქრობთ, მომატება რა კომპონენტში გჭირდებათ?**

- ფიზიკურად ამ წონაში ყველაზე კარგად ვარ მომზადებული. გამორიცხულია, ძალით ვინმემ დამჩაგროს. პირიქით - მე ვჩაგრავ სხვებს, მაგრამ წონის ხშირი კლების გამო შედარებით მალე ვიღლები. მთავარი პრობლემა სწორედ ზედმეტი წონაა.

**- წონის შეცვლაზეც ხომ არ ფიქრობთ?**

- ოლიმპიადამდე - არა. ჯერ ჩამთავრდეს ეს თამაშები და მერე ვნახოთ.

**- მსოფლიოზე ვინ მიგაჩნიათ მთავარ კონკურენტებად?**

- ალბათ, იაპონელი ჰიროიუკი აკიმოტო. ჯერ არაა გადაწყვეტილი, ისინი აკიმოტოს დააყენებენ თუ ოლიმპიურ ჩემპიონ მასატო უჩიშიბას, მაგრამ აკიმოტო უხერხული მეტოქეა, რამდენჯერმე მომიგო. უჩიშიბას არ შევხვედრივარ, მაგრამ მისი ჭიდაობის სტილიდან გამომდინარე, მგონი, მასთან უფრო იოლად ვეჭიდავები, აკიმოტოსთან კი არ გამომდის. ძლიერია და ანგარიშგასაწევი ბრაზილიელი მსოფლიო ჩემპიონი ჟოაო ჟუნიორიც, რომელიც ამჯერად მასპინძელი იქნება. მას ერთხელ შევხვდი - თურქეთში და გაფრთხილებით მომიგო, მაგრამ დაუმარცხებელი ნამდვილად არაა. ასევე ძლიერია კუბელი მსოფლიო და ოლიმპიური პრიზიორი იორდანის არენსიბია, ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, კონკურენტი ბევრია. გამოკვეთილი ლიდერი, ვინმეს რომ ერთი თავით სჯობდეს, ჩვენს წონაში არავინაა...

**ირაკლი თავაძე**

## ჭადრაკი



ნადეჟდა და ტატიანა კოსინცევები

ევროპის ჩემპიონატი

# დები სათავეში

**ერთდღიანი** შესვენების შემდეგ დრეზდენში განახლდა ევროპის ჩემპიონატი. 7 ტურის შემდეგ ლიდერებთან ახლოს ქართველებიც იყვნენ - უფრო ქალთა შორის, აქ რუს **ტატიანა კოსინცევას** ისეთი უპირატესობა ჰქონდა, მინიმუმ ორი ტური ვერავინ დაეწეოდა - შვიდიდან 7 ქულა! ქართველთაგან საუკეთესოს, **ლელა ჯავახიშვილის** 5.5 ქულა ჰქონდა და მეორე-მერვე ადგილებს იყოფდა. მერვე ტურში ჯავახიშვილს ტურნირის მთავარი ფავორიტი, მსოფლიოს ექსჩემპიონი, ბულგარელი **ანტუანეტა სტეფანოვა** შეხვდა.

დებიუტი ქართველმა პირწმინდად მოიგო და პაიკით დაწინაურდა. ანტუანეტამ კონტრშეტევა სცადა, მაგრამ ლელამ არ დაანება და მცირე ხანში პოზიცია კიდევ უფრო გააძლიერა, მერე მეორე პაიკიც მოიგო და როცა დაფაზე ეტლის, კუსა და მხედრის ენდშპილი დადგა, ქართველის უპირატესობა გამოკვეთილი იყო, მაგრამ ლელამ უყურადღებოდ ითამაშა, რაც საკმარისი აღმოჩნდა ინიციატივის დასაკარგად. ამ დროს იტყვიან - ტაქტიკური მანევრი გამოეპარაო, რაც მატერიალურ ზარალად დაუჯდა - პაიკთან ერთად ხარისხიც წააგო, თუმცა ორი პაიკით მეტი მაინც დაურჩა - ბულგარელს ეტლი და ორი პაიკი, ქართველს კუ და ოთხი პაიკი, აქედან მეფის ფრთაზე პაიკი გაორებული იყო, რაც მალე ერთ-ერთის დაღუპვას მოასწავებდა. ამის შემდეგ კი მოგებას ლელა ვერაფრით შეძლებდა. ასეც მოხდა - მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ნახევარი ქულის დაკარგვა, შესაძლოა, პირველობისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი გახდეს, თუმცა თუ მედალს ვერ შეწვდები, მეორე მიზანი პირველ ცამეტ ადგილზე გასვლაა, რაც მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს იძლევა. ვაჟებში 30 გამსვლელი ადგილია, თუმცა მათი მსოფლიო ჩემპიონატი ახალი ფორმატით ტარდება და საგზურები მხოლოდ მსოფლიო თასისთვის ნაწილდება.

ლიდერებთან 5 ქულით **სალომე მელია** და **მაია ლომინეიშვილიც** იყვნენ. მელია თეთრებით **ნატაშა ბოიკოვიჩს** დაუზავდა და ვერც ლომინეიშვილმა მოახერხა მეტოქის ჯობნა - ის შავებით ხვდებოდა **იოლანტა ზავადსკას**. აქ ქართველს თავის გადარჩენა მოუხდა - ენდშპილში უფიგუროდ დარჩა, მაგრამ ყაიმი მოახერხა. მეცხრე ტურში სწორედ ლომინეიშვილი და მელია შეხვდებიან ერთმანეთს, თეთრებით ლომინეიშვილია. მოიგო **ნინო ხურციძემ** და ლიდერთა რბოლაში ჩაერთო - 5.5 ქულა გაუხდა. ასევე იმარჯვა **ქეთევან არახამიამ**, თუმცა მას 5 ქულა აქვს.

კვლავ წააგო და მედლებისთვის ვეღარ იბრძოლებს **ნანა ძაგნიძე**. მართალია, წინ კიდევ სამი ტურია და თუკი ყველას მოიგებს სერიოზულად წაიწევს წინ, მაგრამ 7.5 ქულა სამეულისთვის ვერანაირად ვერ გახდება საკმარისი, მხოლოდ საგზურს თუ მოიპოვებს.

სამწუხაროდ, გული დაგვწყვიტა **ბაადურ ჯობავამ** - თეთრებით რუმინელ **კონსტანტინ ლუპულესკუსთან** დამარცხდა. ბაადურმა, იმის სურვილით, რომ უნდა მოეგო, სიფრთხილის გრძნობა დაკარგა და უკეთესი პოზიციიდან უარესი სწრაფად მიიღო, შემდეგ კი დაშამათდა.

თეთრებით წააგო **დავით შენგელიამაც**, რომელსაც მეტოქე ძლიერი კი ჰყავდა, მაგრამ ამ ტურნირზე დავითმა უკვე მოახერხა უფრო ძლიერთა დამარცხება და წარმატების გუშინაც გვჯეროდა, თუმცა **ვიქტორ ლაჟნიჩკასთან** ვერაფერს გახდა - 0:1. თეთრები არაფრად გამოადგა **კონსტანტინე შანავას** - მას მრისხანე მეტოქე ჰყავდა - ესპანელი **ფრანსისკო ვალიეხო**.

წარმატებულებიც გვყავდნენ ვაჟებში: **დავით არუთინაინმა**, რომელსაც 5 ქულა ჰქონდა და ლიდერებთან ახლოს იმყოფებოდა, მსოფლიოს ექსჩემპიონს, რუს **ალექსანდრ ხალიფმანს** არაფერი დაუთმო და შავი ფერით შეძლო ნახევარი ქულის მოპოვება. არუთინიანი საკმაოდ კარგ შანსს ინარჩუნებს ათეულში მოსახვედრად. კიდევ უკეთესად გაირჯა **მიხეილ მჭედლიშვილი** - შავებით ბერძენი დიდოსტატი **ათანასიოს მასტრობასილისი** დაამარცხა, თუმცა გვარიანი ბრძოლა კი გადახდა...

საერთო შედეგი მერვე ტურში ქართველთათვის დამაკმაყოფილებელი იყო, თუმცა მეტი გვეწადა. დანარჩენი ბოლო სამ ტურში გაირკვევა. დღეს ქალთა შორის ძალიან საინტერესო პარტიაა. ერთმანეთს ლიდერი და მისი უახლოესი მდევარი ეთამაშებიან - დები **ტატიანა** და **ნადეჟდა კოსინცევები**.

**ზვიად შათირიშვილი**

### ქალები

მერვე ტური: **ლელა ჯავახიშვილი** - ანტუანეტა სტეფანოვა 0.5:0.5, **სალომე მელია** - ნატაშა ბოიკოვიჩი 0.5:0.5, იოლანტა ზავადსკა - **მაია ლომინეიშვილი** 0.5:0.5, **ნინო ხურციძე** - ოქსანა ვოზოვიჩი 1:0, ევგენია ოვოდი - **ნანა ძაგნიძე** 1:0, სიდონია ვაიდა - **სოფიკო ხუხაშვილი** 0.5:0.5, **ქეთევან არახამია** - მარია მუზიჩუკი 1:0, **სოფიო გვეტაძე** - მეჰრიბან შუქუროვა 0:1, სვეტლანა ვასილკოვა - **მარიამ დანელია** 1:0; ხაიალა ისგარდანოვა - **სოფიკო გურამიშვილი** 0:1

მეცხრე ტურში: ნადეჟდა კოსინცევა (6.5) - ტატიანა კოსინცევა (7.5), ეკატერინა კორბუტი (6) - **ლელა ჯავახიშვილი** (6), ტატიანა სტეპოვაია (5.5) - **ნინო ხურციძე** (5.5), **მაია ლომინეიშვილი** (5.5) - **სალომე მელია** (5.5), **სოფიკო ხუხაშვილი** (5) - კორინა პეპტანი (5), ფრანჩესკა ფოიშორი (5) - **ქეთევან არახამია** (5), **ნანა ძაგნიძე** (4.5), **სოფიკო გურამიშვილი** (4) - ირინა სუდაკოვა (4), ნატალია ვოვინკინა (3.5) - **სოფიო გვეტაძე** (3.5), **მარიამ დანელია** (3.5) - ზეჰრა ტოპელი (3.5)

### ვაჟები

მერვე ტური: **გიგა ყაჭეიშვილი** - ალექსანდრ მოტილევი 0.5:0.5, **დავით შენგელია** - ვიქტორ ლაჟნიცკა 0:1, ალექსანდრ ხალიფმანი - **დავით არუთინიანი** 0.5:0.5; **ბაადურ ჯობავა** - კონსტანტინ ლუპულესკუ 0:1, დიმიტრიოს მასტრობასილისი - **მიხეილ მჭედლიშვილი** 0:1, **კონსტანტინე შანავა** - ფრანსისკო ვალიეხო 0:1, თომას ლუთერი - **დავით ლობჟანიძე** 0:1, **ზურაბ აზმაიფარაშვილი** - მიჰაი-ლუჩან გრიუნბერგი 0.5:0.5, მიქელე გოდენა - **თორნიკე სანიკიძე** 1:0

მეცხრე ტურში: ანდრეი ვოლოკიტინი (6.5) - ვლადიმირ მალახოვი (6), **მიხეილ მჭედლიშვილი** (5.5) - არტემ ილინი (5), მაქსიმ როდშტაინი (5.5) - **გიგა ყაჭეიშვილი** (5.5), **დავით არუთინიანი** (5.5) - ალექსეი დრეევი (5.5), ალექსანდერ ჰუცმანი (5) - **დავით შენგელია** (5), შარუნას სულსკისი (4.5) - **ბაადურ ჯობავა** (4.5), **დავით ლობჟანიძე** (4.5) - ბართოლომეი ჰებერლა (4.5), ალესქსანდრ ვულემიე (4.5) - **კონსტანტინე შანავა** (4.5), კლაუდიუშ ურბანი (4) - **ზურაბ აზმაიფარაშვილი** (4), **თორნიკე სანიკიძე** (3.5) - მარტინ ბეკერი (3.5)

## ლადომ ტრავმა მიიღო

**ჩოგბურთი.** შვედური ნორჩოპინგიდან უსიამოვნო ამბავი შევიტყვეთ. იქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში ტრავმა მიიღო და შეჯიბრებას გამოეთიშა ჩვენი მეორე ჩოგანი **ლადო ჩიხლაძე**. ტურნირი 10-ათასიანია, ლადო კი მე-4 ნომრად იყო განთესილი. მეორე წრეში ჩიხლაძის მეტოქე გამოუცდელი ბრიტანელი **ედვარდ ქორი** იყო, რომელმაც აქამდე საკვალიფიკაციო ტურნირიდან მიაღწია. ჩიხლაძემ პირველი სეტი 4:6 წააგო, მეორეში კი ტრავმის გამო საერთოდ გეიმის მოგებაც ვერ შეძლო, 0:3-ზე ლადომ ბრძოლის გაგრძელებაზე უარი თქვა. მეოთხედფინალში ქორი ფრანგ **პიერიკ ისერნს** (553) ხვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბატუტზე ხტომა

პრესკონფერენცია

# ორ ლიცენზიას ველოდებით



რუსუდან ხოფერია



ლუბა გოლოვინა

**რ**ოგორც უკვე გაცნობეთ, კანადის ქალაქ კვებეკში დასრულებულ მსოფლიო თასზე, წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა ბატუტზე მხტომელებმა. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ქართველებმა ტოლი არაფერში დაუდეს უფროსებს და ბევრი გაცილებით გამოცდილი, ტიტულოვანი კონკურენტი ჩამოიტოვეს უკან. შეგახსენებთ, რომ კანადაში, ლუბა გოლოვინამ მეხუთე ადგილი დაიკავა 40 მონაწილეს შორის, ხოლო 60 ვაჟში თენგიზ კოშკაძე და ზურაბ ჭყონია, შესაბამისად, მე-18 და 38-ე იყვნენ. კვებეკიდან დაბრუნების შემდეგ, მათ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში პრესკონფერენცია გამართეს.

**დავით ნამგალაური, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე:** - მსოფლიო თასზე ჩვენმა ახალგაზრდა ბატუტისტებმა საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენეს, რაც გვაიმედებს, რომ ისინი პეკინის ოლიმპიადაზე მოხვდებიან. ამ სახეობაში გვაქვს საკმაოდ კარგი ტრადიციები, რომელიც ახალმა თაობამ ღირსეულად უნდა გააგრძელოს. საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია მიზანმიმართულად მუშაობს და ჩვენც მაქსიმალურად ვუდგავართ მხარში. ამჟამად, ყველაზე დიდი პერსპექტივები გვაქვს ბატუტზე ხტომაში, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება.

ლუბა გოლოვინას მეხუთე ადგილი ემ ეტაპზე, მშვენიერი შედეგია. იმავეს ვიტყოდი თენგიზ კოშკაძეზე, რომელმაც კვებეკში ოლიმპიური ნორმატივს შესწვდა. პერსპექტიული ახალგაზრდაა ზურაბ ჭყონიაც. ვიმედოვნებ, პეკინის ოლიმპიადზე ბატუტზე ხტომაში, მინიმუმ, ორი ლიცენზია გვექნება.

**რუსუდან ხოფერია, საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი:** - კვებეკის შედეგებით, რა თქმა უნდა, კმაყოფილები ვართ. გოლოვინას ჩინებული გამოსვლა ალბათ ცალკე სალაპარაკო თემაა. ლუბა ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი კი არის, მაგრამ უფროსებში წლეულს დებიუტი აქვს. ამას გარდა, მიუხედავად იმისა, რომ ლუბა მსოფლიო თასის ეტაპზე მონაწილეთაგან ყველაზე პატარა იყო (16 წლისაა), მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ-პრიზიორებს სულ არ შეუშინდა და მათ თანაბრად ებრძოლა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრებისა და მისი პირადი მწვრთნელი ზაურ სულაშვილი კანადაში ვერ წავიდა, კარგად გამოვიდა თენგიზ კოშკაძეც.

**ლუბა გოლოვინა:** - ამერიკისა და კანადის მსოფლიო თასის ეტაპებზე ჩემი დებიუტი შედგა უფროსებში. ამერიკაზე რა გითხრათ, მაგრამ კანადაში ჩემი გამოსვლით კმაყოფილი ვარ. ყველაფერს გავაკეთებ, რომ კიდევ მოვუმატო და ჩემი გულშემატკივრები გავახარო.

დასასრულ, იმასაც შეგახსენებთ, რომ ამერიკის საკონსულოსთან პრობლემების გამო, ამერიკასა და კანადაში ვერ წავიდა რუსუდან ხოფერია, რომელიც საერთაშორისო კატეგორიის არბიტრია. ტანვარჯიშის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციის წესდებით კი, ასეთი დონის შეჯიბრებებზე, ქვეყანას კატეგორიულად ეკრძალებათ თავისი მსაჯის გარეშე წასვლა. როგორც გუშინ ხოფერიამ და სულაშვილმა გვითხრეს, საერთაშორისო ფედერაციას უკვე გაუგზავნეს წერილი, სადაც შექმნილი მდგომარეობა გააცნეს და ახლა პასუხს ელიან. წესით არ უნდა დავისაჯოთ, მაგრამ თუკი საერთაშორისო ფედერაციამ მაინც გაგვამტყუნა, მაშინ 2000 შვეიცარიული ფრანკის გადახდა მოგვიწევს ჯარიმის სახით.

**კობა ხატისაშვილი**

## პროფესიული კრივი



დავით გეგეშიძისა და ვლადიმერ ჭანტურიას (მარჯვნივ) ორთაბრძოლა

ინტერვიუ ვლადიმერ ჭანტურიასთან

# რემატჩი ჩაგაევთან?

## ამისათვის ათეულში შესვლა დამჭირდება

**საქართველოს პროფესიული კრივის ისტორიაში პირველი ქამარი სიდნეის ოლიმპიადის პრიზიორმა ვლადიმერ ჭანტურიამ მოიგო. იგი ბათუმს ხშირად სტუმრობს და ჩვენი ინტერვიუც ერთ-ერთი შეხვედრის დროს ჩავწერეთ.**

- ქამრის მოპოვებაზე მეტად, მისი დაცვაა ძნელი. ტიტულის დაცვისათვის ყოველ ოთხ თვეში გაიმართება ბრძოლები. ზედიზედ ხუთი გამარჯვების შემთხვევაში, ქამარი ჩემი საკუთრება გახდება.

**- ორი სიტყვა უშუალოდ ბრძოლასა და მეტოქეზეც გვითხარით...**

- თბილისელ დავით გეგეშიძეს მოვუგე. იგი საკმაოდ ძლიერი მოკრივეა. ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი და მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული. მას ცხრა შეხვედრა აქვს ჩატარებული პროფესიულ რინგზე და 6 მათგანი ნოკაუტით მოგებული, წვრთნას კი იმ კლუბში გადიოდა, სადაც რუსი ვალუევი და ძმები კლიჩკოები ვარჯიშობდნენ. ამას დაუმატეთ ისიც, რომ სიმაღლით ორი მეტრია და წარმოიდგინეთ, როგორი ბრძოლა იქნებოდა. თანაც, უნდა გადაწყვეტილიყო, თუ ვინ იქნებოდა საქართველოს პირველი მოკრივე და ვინ დაიცავდა ქვეყნის ღირსებას საერთაშორისო სარბიელზე.

**- მარცხის შემთხვევაში კრივიდან წახვიდოდით?**

- არავითარ შემთხვევაში, უბრალოდ, ნაკლები სტიმული მექნებოდა.

**- ადრე თქვით, რომ თქვენით რამდენიმე უცხოური კლუბი იყო დაინტერესებული...**

- ჩემი ბრძოლის ჩანაწერები სხვადასხვა ქვეყანაშია გაგზავნილი და წინადადებებიც ბლომად მაქვს. ვნახოთ, რა მოხდება, მაგრამ ახლა სულ სხვაზე ვფიქრობ. მსოფლიო რეიტინგში ნომერი პირველი მოკრივე, რუსი ვალუევია, იგი მალე უზბეკ რუსლან ჩაგაევს შეხვდება, მისთვის კი მე სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მოგებული მაქვს, მეოთხედფინალში დავამარცხე. მეორე რაუნდში ისეთი ნოკდაუნი მიიღო, რომ ახლაც ემახსოვრება. არადა, მისგან ყველა ოქროს მედალს ელოდა. ძალიან მინდა, კვლავ შევხვდე ჩაგაევს, დარწმუნებული ვარ, არც მას ექნება რევანშის აღების ნაკლები სურვილი.

**- მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო ჯერ ბრძოლაზე ფიქრი ნაადრევია...**

- მართალია. მე დიდი ხნის უვარჯიშებელი ვარ და ფორმაში თანდათან შევდივარ, მას კი სპორტული კარიერა არ შეუწყვეტია. გარდა ამისა, სავარჯიშოდ უკეთესი პირობები აქვს და რეიტინგშიც ჩემზე მაღლა დგას.

**- თქვენი სარეიტინგო მდგომარეობა როგორია?**

- ევროპულ რეიტინგში ათასზე მეტი მოკრივეა და 28-ე ადგილზე ვიმყოფები. მსოფლიოს მასშტაბით კი 1 200 კაცში 101-ე ვარ. სავარაუდოდ, წელიწადნახევარი დამჭირდება სათანადო ფორმაში შესასვლელად, გარდა ამისა, რეიტინგითაც ხომ უნდა მივუახლოვდე? ათეულში აუცილებლად უნდა მოვხვდე.

**- უახლოეს ბრძოლას როდის გამართავთ?**

- მოლაპარაკებები მიმდინარეობს რუსებთან, უკრაინელებთან და აზერბაიჯანელებთან. ვინ იქნება ჩემი მეტოქე, ჯერჯერობით უცნობია. მხოლოდ ერთი ვიცი, რომ ორთაბრძოლა ფოთში გაიმართება. ივლისის შუა რიცხვებისთვის კი ბათუმში ვაპირებ ბრძოლის ჩატარებას. მოლაპარაკებები ამერიკელებთან, რუსებთან და გერმანელებთან გაიმართება.

**- მოკრივის კარიერას სამწვრთნელოსაც უთავსებთ...**

- ჩვენი კლუბის წევრი გიორგი უნგიაძე (69 კგ.) საფრანგეთში იბრძოლებს ინტერკონტინენტალის ჩემპიონის ტიტულისთვის. მის გარდა, დავით მაკარაძე (63 კგ.) გვყავს, რომელიც ევროპის რეიტინგში მერვე ადგილზეა. ამ ბიჭების დიდად გვეიმედება მე და პროფესიული კრივის ასოციაციის პრეზიდენტს გიორგი კანდელაკს...

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

## ბავშვთა სპორტი



# მხიარული სტარტების სტარტი

ამ შაბათს, საზეიმოდ გაიხსნება "მხიარული სტარტები", რომელსაც ახლახან ჩაეყარა საფუძველი ტელეკომპანია "რუსთავი-2-ის", საქართველოს ბავშვთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ფედერაციისა და თბილისის მერიის ხელმძღვანელობით. აღნიშნული შეჯიბრების წინაპარია ჯერ კიდევ პოსტსაბჭოეთის დროს არსებული "მხიარული თამაშები", რომელშიც მოკავშირე რესპუბლიკების მოსწავლეები ეპაექრებოდნენ ერთმანეთს. თუმცა "მხიარული სტარტები" თავის წინამორბედზე გაცილებით თანამედროვე და საინტერესო იქნება.

გუშინ, შეჯიბრების ორგანიზატორებმა პრესკონფერენცია გამართეს.

**კობა დავარაშვილი, "რუსთავი-2"-ის გენერალური დირექტორი:** - საწყის ეტაპზე, "მხიარულ სტარტებში" მონაწილეობას მიიღებს თბილისის 32 სკოლის 6 ათასამდე მოზარდი. შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით გაიმართება. ყოველ შაბათს, ორი სკოლის წარმომადგენლები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს და ნაგებული ბრძოლას ეთიშება. ყველა შეხვედრას ჩვენი ტელეკომპანია აჩვენებს. ამ გადაცემების მუდმივი წამყვანი იქნება დიმიტრი ობოლაძე, ხოლო ჟიურიში ცნობილი სპორტსმენების და სხვა გამოჩენილი ადამიანების მოწვევას ვაპირებთ. წლის ბოლოს, გამოვლინდება გამარჯვებული ერთი სკოლის გუნდი. მომავალში "მხიარული სტარტები" გაცილებით მასშტაბური გახდება და სხვადასხვა რაიონებსაც მოვიცავთ. ტანადგომისა და ტანამშრომლობისთვის მადლობას ვუხდი ბავშვთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ფედერაციას, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს, თბილისის მერიას და იმ უამრავ სპონსორს, რომლებმაც ამ ჩინებული საქმის დაფინანსება ითავეს.

**გიგი უგულავა, თბილისის მერი:** - მადლობას ვუხდი ტურნირის ორგანიზატორებს, მივესალმები შეჯიბრებაში მონაწილეებს და წარმატებებს ვუსურვებ მათ. მოხარული ვარ, რომ ასეთი მშვენიერი პროექტი განხორციელდება. ამით მივაღწევთ იმას, რომ ბავშვებს ქუჩას მოვწყვეტთ, ჯანსაღი ცხოვრების წესით ვაცხოვრებთ და ერთმანეთს მუშტი-კრივში კი არა, სპორტში გავაჯიბრებთ.

**კობა ხატისაშვილი**

# ორი კვირით გადაიდო

საქართველოს პროფესიული კრივის ასოციაციამ დღეს და მომავალ ხუთშაბათს დაგეგმილი სარეიტინგო ბრძოლები და საქართველოს ქამრების გათამაშება გადადო. როგორც კრივის ასოციაციიდან გვაცნობეს, დღევანდელი შეხვედრების გადადების მიზეზი სააღდგომო უქმეები ყოფილა, რის გამოც მოკრივეებს დასვენება გაუგრძელდათ. მომავალი ხუთშაბათისთვის კი 4 ქართველი მოკრივე უკრაინაში ჩაატარებს სარეიტინგო ბრძოლას. შესაბამისად, სარეიტინგო ბრძოლები და საქართველოს ქამრის მორიგი გათამაშება 26 აპრილამდე გადაიდო.



## თარიღი

**არსენ მეკოკიშვილი.** 12.04.1912, გიორგიწმინდა, საგარეჯო - 07.03.1972, იქვე. თავისუფალი ჭიდაობა (+100 კგ). ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1952), მსოფლიო ჩემპიონი (1954), სსრკ ცხრაგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში (1945, 46, 48-53, 56) და შვიდგზის ჩემპიონი სამბოში (1940, 47-52). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. 1945 წლიდან გამოდიოდა მოსკოვის (რუსეთი) სახელით. უკანასკნელად 44 წლისამ იასპარეზა და სსრკ ხალხთა I სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა (1956). ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ქართველები NBA-ში

# ორმაგი

მიკროტრავმის გამო, ზედიზედ ორი შეხვედრის გამოტოვების მერე **ზაზა ფაჩულია** კვლავ "ჰოქსის" სასტარტოში იყო, მისმა გუნდმა კი კიდევ ერთ აუტსაიდერთან რიგითი გამარჯვება მოიპოვა. საქართველოს ნაკრების ლიდერმა კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. ფაჩულიას ხშირად დაცვაში არადამაჯერებელი გამოსვლისა და უყურადღებობისთვის აკრიტიკებენ, ამ თამაშში კი ზაზას არაფერი დაეწუნებოდა - აფარებდა სამნამიანში შევარდნილ ოპონენტს, რამდენიმე ჩაჭრით ლამის მეორე შემადგენლობით მოთამაშე გუნდს ფსიქოლოგიური ენერგია შემატა და საბოლოოდ, მატჩის ერთ-ერთ მთავარ გმირად იქცა.

მასპინძლებმა პირველი ნახევარი სუსტად ჩაატარეს, მაგრამ მესამე მეოთხედში ძალები მოიკრიბეს და მაგრადაც ათამაშდნენ. 28:14 გაქცევა ფაჩულიამ მორიგი ზუსტი საშუალო გდებით დაასრულა და თავისი გუნდი 64:63 გაიყვანა წინ.

მოგება მოგებაა, მაგრამ მაინც გადახედეთ იმ ხალხს, ვინც "სელტიქსს" ტრავმების გამო დააკლდა – **პოლ პირსი, უოლი შჩერბიაკი, მაიკლ ოლოვოკანდი, თეო რეტლიფი, დელონტე უესტი, ტონი ალენი, ბრაიან სკალაბრინი** და ზემოთ ნახსენები ელ ჯეფერსონი. რაც შეეხება "ჰოქსს", გუნდმა ლიგის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის წინააღმდეგ ვერ ათამაშა **ჯო ჯონსონი, ჯოშ სმიტი, ლორენცენ რაიტი, სპიდი კლექსტონი, ჯოშ ჩილდრესი, ამარე სტაუდმაიერი** და ესტებან ბატისტა.

**ზურაბ თალაკვაძე**

**ატლანტა-ბოსტონი 104:96**

24:28, 27:31, 25:19, 28:18

**ატლანტა:** ლოუ (40 წთ. 26 ქ. 10 პ. 2 მ), **ზაზა ფაჩულია (38 წუთი, 22 ქულა, 12 მოხსნა, 4 პასი, 2 ჩაჭრა, 2 დაფარება, 3 შეცდომა, 4 ფოლი)**, მერვინ უილიამსი (45 წთ. 21 ქ. 5 მ. 2 ჩ. 1 პ. 1 დ), ე. ჯონსონი (37 წთ. 5 ქ. 5 პ. 2 მ), ს. ჯოუნსი (18 წთ. 4 ქ. 5 მ. 1 პ) – შელდენ უილიამსი (26 წთ. 14 ქ. 8 მ. 1 ჩ. 1 დ), აივი (21 წთ. 11 ქ. 1 მ. 1 ჩ), მედვედენკო (12 წთ. 1 ქ. 4 მ. 1 დ).

**ბოსტონი:** ჯ. გრინი (45 წთ. 33 ქ. 4 მ. 3 პ), რონდო (35 წთ. 16 ქ. 8 პ. 5 მ. 2 ჩ), რეი (37 წთ. 8 ქ. 3 მ. 2 პ. 2 ჩ), გომესი (27 წთ. 7 ქ. 3 მ. 1 პ. 1 ჩ), პერკინსი (15 წთ. 2 ქ. 1 მ. 1 პ. 1 დ) – პოუ (30 წთ. 19 ქ. 7 მ), პინკნი (24 წთ. 7 ქ. 3 მ. 1 პ. 1 ჩ), ტელფეირი (25 წთ. 4 ქ. 2 პ. 1 მ. 1 ჩ. 1 დ).

**I მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 10:53 | მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1) |
| 09:32 | ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (6:6) |
| 07:44 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 07:42 | მოხსნა: 2 (შეტ: 1, დაც: 1) |
| 07:30 | მოხსნა: 3 (შეტ: 1, დაც: 2) |
| 06:35 | ჩაჭრა: 1 (პერკინსს ჩაუჭრა) |
| 05:29 | ორქულიანი ტყორცნა: 4 ქ (14:15) |
| 05:11 | ფოლი: 1 (ჯ. გრინზე დაჯარიმდა) |
| 04:55 | პასი: 1 (ე. ჯონსონი, 2 ქ. 16:17) |
| 04:34 | მოხსნა: 4 (შეტ: 1, დაც: 3) |
| 03:36 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 03:33 | მოხსნა: 5 (შეტ: 2, დაც: 3) |
| 01:57 | დაფარება: 1 (გომესს დაუფარა) |
| 01:21 | შეცდომა: 1 (არაზუსტი პასი) |
| 01:19 | ფაჩულია მედვედენკომ შეცვალა |

**II მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 07:26 | ფაჩულიამ შ. უილიამსი შეცვალა |
| 07:12 | ორქულიანი ტყორცნა: 6 ქ (33:42) |
| 06:03 | დაფარება: 2 (პოუს დაუფარა) |
| 05:02 | ფოლი: 2 |
| 03:39 | ორქულიანი ტყორცნა: 8 ქ (42:51) |
| 03:38 | მოხსნა: 6 (შეტ: 3, დაც: 3) |
| 02:22 | ფაჩულიაზე პერკინსი დაჯარიმდა |
| 02:22 | საჯარიმოები: 2/2 (10 ქ. 46:52) |
| 01:04 | მოხსნა: 7 (შეტ: 3, დაც: 4) |
| 00:11 | ფაჩულიაზე ჯ. გრინი დაჯარიმდა |
| 00:11 | საჯარიმოები: 2/2 (12 ქ. 51:57) |

**III მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 11:10 | პასი: 3 (ს. ჯოუნსი. 2 ქ. 55:59) |
| 10:40 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 09:38 | ორქულიანი ტყორცნა: 14 ქ (60:63) |
| 08:16 | მოხსნა: 8 (შეტ: 3, დაც: 5) |
| 08:07 | ორქულიანი ტყორცნა: 16 ქ (64:63) |
| 06:27 | ორქულიანი: პერკინსმა დაუფარა |
| 06:26 | მოხსნა: 9 (შეტ: 4, დაც: 5) |
| 06:24 | ორქულიანი ტყორცნა: 18 ქ (66:66) |
| 06:23 | მოხსნა: 10 (შეტ: 5, დაც: 5) |
| 03:43 | ორქულიანი ტყორცნა: 20 ქ (70:73) |
| 01:54 | ორქულიანი ტყორცნა: 22 ქ (72:77) |
| 01:39 | ფოლი: 2 (პოუზე დაჯარიმდა) |
| 00:37 | მოხსნა: 11 (შეტ: 5, დაც: 6) |
| 00:32 | ფაჩულია მედვედენკომ შეცვალა |

**IV მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 08:46 | ფაჩულიამ მედვედენკო შეცვალა |
| 07:51 | პასი: 4 (აივი, 3 ქ. 87:86) |
| 07:30 | ჩაჭრა: 2 (პოუს ჩაუჭრა) |
| 06:51 | შეცდომა: 2 (ბურთი გადაუშვა) |
| 03:10 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 03:09 | მოხსნა: 12 (შეტ: 6, დაც: 6) |
| 00:25 | შეცდომა: 3 (გარბენი) |
| 00:17 | ფოლი: 4 (პოუზე დაჯარიმდა) |

**ატლანტა ჯამში: 78 მატჩი, 29 მოგება, 49 წაგება, ბოლო ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, XIII ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში.**

მომდევნო მატჩი: **ატლანტა-ვაშინგტონი (13 აპრილი)**



ზაზას მორიგი ორი ქულა

ლეგიონერები. მიმოხილვა

# დაბრუნება

### ესპანეთი

ესპანეთის ჩემპიონატის 28-ე ტურში **ვიქტორ სანიკიძემ** 2 წუთი და 38 წამი ითამაშა და ერთადერთი, რითაც ქომაგს თავი დაამახსოვრა, 1 პასი იყო. მაგრამ აქ მთავარი არა მონაგარი იყო, არამედ ვიქტორის მოედანზე გამოჩენის ფაქტი. მან 13 მარტს აპენდიციტის ოპერაცია გაიკეთა და ექიმები ვარაუდობდნენ, რომ გამოსაჯანმრთელებლად თვეზე მეტი დრო დასჭირდებოდა. მაგრამ სანიკიძემ ექიმებს ვარაუდი არ გაუმართლა და სამ კვირაში ვარჯიში განაახლა. 9 აპრილს კი თანაგუნდელებს "ბრუესას" ძლევაში დაეხმარა. ამ მოგების შემდეგ "ესტუდიანტესი" კიდევ უფრო დაუახლოვდა ფლეი ოფის ზონას. შეგახსენებთ, რომ მეოთხედფინალში 8 საუკეთესო გუნდი გადის.

საპირისპიროდ, საქმე გაირთულა **ნიკა ცქიტიშვილის** "კახა სან ფერნანდომ", რომელმაც შინ ვერაფერი გააწყო მეოთხეადგილოსან "ხუვენტუდთან" - 74:87. სევილიელები უკვე ორი მოგებით ჩამორჩებიან მერვეადგილოსან "ვალენსიას". სკიტამ, წინა მატჩის მსგავსად, 20 წუთი ითამაშა, თუმცა ამჯერად 10-ქულიან ზღვარს ვერ აცდა - 2-2 ორქულიანი და საჯარიმო ჩააგდო და 6 ქულას დასჯერდა.

ესპანეთის ჩემპიონატი. 28-ე ტური. 1. ტაუ -21, 2. რეალი - 21 მოგება, 3. ბარსელონა-19, 4. ხირონა -18, 5. ხუვენტუდი-18, 6. გრან კანარია-16, 7. უნიკახა-15, 8. ვალენსია-15, 9. **ესტუდიანტესი-15, 10. კახა-13,** 11. ფუენლაბრადა-12, 12. გრანადა-11, 13. ბილბაო-11, 14. ალიკანტე-10, 15. მურსია-10, 16. ვალიადოლიდი -10, 17. ბრუესა - 8, 18. მენორკა - 8.

### საფრანგეთი

დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ **ვახტანგ ნაცვლიშვილმა** ჩვეული ფორმა დაიბრუნა. როგორც სამი წლის წინათ, იგი ამჯერადაც "დიჟონის" ლიდერია (როგორც მოედანზე, ისე მის მიღმა) - ვატო ტულონში გამართული მატჩის სნაიპერი გახდა, 12-დან 9 ორქულიანი ჩააგდო და 18 ქულას მოუყარა თავი. მის მონაგარს ლირებულება "დიჟონის" მიერ "ტულონის" ძლევამაც შესძინა.

ვიდრე საფრანგეთის პირველობის სატურნირო ცხრილს გადახედავდეთ, შეგახსენებთ, რომ ფლეი ოფში 12 გუნდი გადის.

საფრანგეთის ჩემპიონატი. 28-ე ტური. 1. ნანსი - 20 მოგება, 2. შალონი-19, 3. როანი-19, 4. სტრასბური-18, 5. ლე მანი-16, 6. პო ორტეზი-16, 7. ვილერბანი-16, 8. ორლეანი-15, 9. შოლე-15, 10. **დიჟონი-15,** 11. ლე ავრი-15, 12. გრაველინი-14 / 13. პარიზი-12, 14. კლერმონი-11, 15. ტულონი -10, 16. ბეზანსონი - 10, 17. ბურჟი - 7, 18. რეიმსი-5.

### სლოვენია

მანუჩარ მარკოიშვილი სლოვენიის ჩემპიონატში ისევე წარმატებით ჩაერთო, როგორც მისი "ოლიმპია". გუნდი ჯერჯერობით, წაუგებლად ასპარეზობს და ძნელი სავარაუდოა, რომ ფლეი ოფამდე პირველი პოზიცია სხვა რომელიმე კლუბს დაუთმოს.

მანუჩარი კი ტურგამოშვებით 20-20 ქულას აგროვებს. მეოთხე მატჩში მან 33 წუთი ითამაშა და შესაშური სიზუსტით ისროლა: 8-დან 5 ორქულიანი, 4-დან 3 სამიანი, 1 საჯარიმო ჩააგდო და 20 ქულას 3 მოხსნა და 2 პასი მიამატა.

სლოვენიის ჩემპიონატი. 4 ტურის შემდეგ. **1. ოლიმპია - 4 მოგება,** 2. ელექტრა - 3, 3. ჰელიოსი - 3, 4. სლოვანი -2, 5. ზლატოროგი - 2, 6. კრკა -2, 7. ლოკა - 0, 8. ალპოსი -0



ვიქტორ სანიკიძე

### იტალია

აქ კი სასიხარულოს ბევრს ვერაფერს გეტყვით. "მონტეპასკის" მწვრთნელმა **სიმონე პიანიჯანიმ** ჩვენთვის არასახარბიელო ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი - **ვლადიმერ ბოისას** ზედიზედ მეორე მატჩში 7 წუთი გამოუყო. შეზღუდულ დროში კი ჩვენიანმა ვერაფერი მოასწრო. საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი **ტაირონ ელისი** სტაბილურად თამაშობს, 10-ქულიან ბარიერს არც ამჯერად ჩამოსცდა - 22 წუთში 11 ქულა ჩააგდო.

იტალიის ჩემპიონატი. 27 ტურის შემდეგ. **1. მონტეპასკი - 23 მოგება,** 2. რომა -18, 3. მილანი -18, 4. ვიდივიჩი - 17, 5. ბენეტონი - 17, **6. ნაპოლი -15,** 7. კანტუ-14, 8. ვარეზე -14, 9. პრემიატა -13, 10. სკაფატი-13, 11. ბიელა - 13, 12. კლიმამიო -12, 13. უპეა-11, 14. უდინე - 11, 15. სივილია - 10, 16. აველინო - 9, 17. რეჯო ემილია - 8, 18. ლივორნო - 7.

### ლიტვა

ამ ქვეყნის ჩემპიონატში ორი წარმომადგენელი გვყავს - **ტატო ვაშაკიძე** და **სერგო ათუაშვილი**. ისინი ამ სეზონში ძალიან ცოტას თამაშობენ, უმაღლეს ლიგას ეჩვევიან. იმედია, გაისად ტატოსა და სერგოს საკუთარ კლუბებში მეტი სიმძიმე დააწვეთ.

ამ ორ მოთამაშეზე ერთად საუბარი იმიტომაცაა აქტუალური, რომ ბოლო ტურში ერთნაირად ითამაშეს - მოედანზე 3-3 წუთი გაატარეს და ქულათა გრაფაში ნულიანს ვერ ასცდნენ.

ლიტვის ჩემპიონატი. 16-ე ტური. 1. ჟალგირისი-15 მოგება, 2. რიტასი -14, 3. ნეპტუნასი - 10, 4. შიაულიაი - 9, 5. პანევეჟისი -8, 6. ნევეჟისი -7, 7. საკალაი - 6, 8. სუდოვა - 2, 9. ატლეტასი -1.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| მოთამაშე | ტურნირი | თარ. | მატჩი | წ. | მ | პ | ჩ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | NBA | 4.04 | ნიუ ჯერსი-ატლანტა 101:86 | 31 | 4 | 4 | 3 | 18 |
| | | 6.04 | ატლანტა-მილუოკი 115:102 | არ უთამაშია | | | | |
| | | 8.04 | ფილადელფია-ატლანტა 109:104 | არ უთამაშია | | | | |
| | | 10.04 | ატლანტა-ბოსტონი 104:96 | 38 | 12 | 4 | 2 | 22 |
| ვიქტორ სანიკიძე | ესპანეთი (ჩ.) | 9.04 | ესტუდიანტესი-ბრუესა 95:81 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ნიკა ცქიტიშვილი | ესპანეთი (ჩ.) | 8.04 | კახა-ხუვენტუდი 74:87 | 20 | 1 | 1 | 1 | 6 |
| ვატო ნაცვლიშვილი | საფრანგეთი (ჩ.) | 7.04 | ტულონი-დიჟონი 73:92 | 32 | 6 | 2 | 2 | 18 |
| ვლადიმერ ბოისა | იტალია (ჩ.) | 7.04 | მონტეპასკი-ბიელა 100:92 | 7 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ტაირონ ელისი | იტალია (ჩ.) | 7.04 | ნაპოლი-უპეა 79:77 | 22 | 3 | 0 | 1 | 11 |
| მანუ მარკოიშვილი | სლოვენია (ჩ.) | 7.04 | ოლიმპია-ზლატოროგი 91:81 | 33 | 3 | 2 | 2 | 20 |
| სერგო ათუაშვილი | ლიტვა (ჩ.) | 7.04 | ნეპტუნასი-შიაულიაი 84:80 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ტატო ვაშაკიძე | ლიტვა (ჩ.) | 7.04 | ნევეჟისი-საკალაი 79:82 | 3 | 0 | 1 | 1 | 0 |

ქართული ოლ სტარი

# აქტიურობენ რუსთაველები და სტუდენტები

კალათბურთის ფედერაციის ვებ-საიტზე გამოქვეყნდა "ყველა ვარსკვლავის" მატჩის საინტერნეტო გამოკითხვის მეორე საშუალედო შედეგები. 28 აპრილს დანიშნული შეხვედრა, რომელშიც ერთმანეთს **დავით უსტიაშვილისა** და **ლევან მოსეშვილის** გუნდები შეხვდებიან, 15 საათის ნაცვლად 16 საათსა და 45 წუთზე დაიწყება, ხოლო საინტერნეტო გამოკითხვა 17 აპრილს 17 საათზე დასრულდება. ახლა კი შედეგები:

**დავით უსტიაშვილის გუნდი**

(აზოტი, დინამო, მაკაბი)

უკანახაზი: 1. კოტე ტულუში (აზოტი) - 1294, 2. ლაშა გამყრელიძე (აზოტი) - 1100, 3. რამაზ გოგობერიშვილი (აზოტი) - 707, 4. გიორგი გულისაბედაშვილი (დინამო) - 670, 5. ზურაბ ბადრიძე (დინამო) - 506, 6. გიორგი დოლიძე (მაკაბი) - 498.

ფორვარდები: 1. გიორგი მარკოიშვილი (აზოტი) - 1 105, 2. ანატოლი ბოისა (აზოტი) - 994, 3. ლექსო ლაფანაშვილი (აზოტი) - 417, 7. ჟულიეტ ტუჯანი (აზოტი) - 401.

ცენტრები: 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) - 970, 2. დავით უგრეხელიძე (აზოტი) - 898, 3. ვიქტორ კოლუაშვილი (დინამო) - 519.

**ლევან მოსეშვილის გუნდი**

(თბილავიამშენი, თსუ, სტუ)

უკანა ხაზი: 1. ბესიკ ლეჟავა (თსუ) - 1 101, 2. ბუბა ბერიშვილი (თსუ) - 813, 3. ნოდარ ბერაია (სტუ) - 730, 4. ირაკლი ხოშტარია (თბილავიამშენი) - 650, 5. ირაკლი ბერიშვილი (თბილავიამშენი) - 592, 6. გიორგი ნიკოლაძე (თბილავიამშენი) - 459, 7. დავით ბერიშვილი (თბილავიამშენი) - 429.

ფორვარდები: 1. შიო ხეცურიანი (თსუ) - 1 072, 2. ზვიად ბაბიაშვილი (თბილავიამშენი) - 798, 3. ლუკა შანიძე (თსუ) - 750, 5. ირაკლი კეიდია (თბილავიამშენი) - 720, 5. მიხეილ ბერიშვილი (თსუ) - 592, 6. გიგი ბარბაქაძე (სტუ) - 469, 7. დავით იმნაძე (თსუ) - 373.

ცენტრები: 1. რიჩარდ მათიაშვილი (თსუ) - 1042, 2. პლასიდე როდუმტა (თბილავიამშენი) - 691, 3. ლუკა ნოზაძე (სტუ) - 654.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ატლანტა–ბოსტონი 104:96**

24:28, 27:31, 25:19, 28:18

**ატლანტა:** ლოუ (26 ქ. 10 პ), ფაჩულია (22 ქ. 12 მ. 4 პ. 2 ჩ. 2 დ), მერვინ უილიამსი (21 ქ. 5 მ), შელდენ უილიამსი (14 ქ. 8 მ), აივი (11 ქ).

**ბოსტონი:** ჯ. გრინი (33 ქ. 4 მ), რონდო (16 ქ. 8 პ. 5 მ. 2 ჩ), პოუ (19 ქ. 7 მ).

**ვაშინგტონი–ნიუ ჯერსი 92:96**

24:16, 16:24, 27:25, 25:31

**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (26 ქ. 11 მ. 3 პ), სონგაილა (19 ქ), ა. დენიელსი (16 ქ. 7 მ. 6 პ), ე. ტომასი (11 ქ).

**ნიუ ჯერსი:** რ. ჯეფერსონი (35 ქ. 3 მ), ვ. კარტერი (31 ქ. 6 პ. 2 ჩ), მური (13 ქ), ნახბარი (10 ქ. 2 დ), კიდი (4 ქ. 14 მ. 11 პ).

**შარლოტი–მაიამი 92:82**

26:20, 22:16, 26:19, 18:27

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (24 ქ. 10 მ. 3 ჩ), ერმანი (20 ქ. 6 მ. 2 ჩ), დ. ანდერსონი (17 ქ), ოკაფორი (11 ქ. 10 მ).

**მაიამი:** ქ. უოკერი (17 ქ. 9 მ), უეიდი (14 ქ. 5 მ. 2 ჩ), ქუინი (12 ქ. 2 ჩ).

**ფილადელფია–ინდიანა 90:86**

26:17, 19:22, 24:19, 21:28

**ფილადელფია:** ა. მილერი (19 ქ. 11 პ. 5 მ. 2 ჩ), ლ. უილიამსი (18 ქ. 5 მ), ჯო სმიტი (17 ქ. 11 მ), დალემბერი (15 ქ. 12 მ. 3 დ).

**ინდიანა:** ჯ. ონილი (21 ქ. 10 მ. 3 პ), ფოსტერი (15 ქ. 9 მ), მერფი (11 ქ. 4 მ), შ. უილიამსი (11 ქ. 6 მ).

**მემფისი–საკრამენტო 100:112**

15:39, 33:14, 22:28, 30:31

**მემფისი:** დ. ჯოუნსი (20 ქ. 4 მ), გასოლი (17 ქ. 9 მ. 2 ჩ), სვიფტი (14 ქ. 2 ჩ. 2 დ), კინსი (14 ქ), უორიკი (12 ქ. 4 მ), ეტკინსი (11 ქ. 10 პ).

**საკრამენტო:** ბიბი (25 ქ. 7 პ. 3 ჩ), გარსია (19 ქ. 8 მ. 4 პ. 2 დ), ბ. მილერი (17 ქ. 11 პ. 10 მ. 2 ჩ), ჯასტინ უილიამსი (16 ქ. 11 მ. 3 დ), აბდურ-რაჰიმი (14 ქ. 6 მ. 2 ჩ), სალმონსი (10 ქ. 6 პ).

**ნ. ორლეან–კლიპერს 103:100 (ო)**

26:25, 15:27, 29:14, 19:23, 14:11

**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (33 ქ. 7 მ), დევინ ბრაუნი (25 ქ. 9 მ. 3 ჩ), პოლი (17 ქ. 10 პ. 7 მ), ბ. ჯექსონი (10 ქ. 2 ჩ).

**კლიპერსი:** ბრენდი (37 ქ. 10 მ. 3 პ. 2 ჩ), მაგეტი (24 ქ. 8 მ. 3 პ), კამანი (10 ქ. 13 მ. 3 პ).

**ჩიკაგო–ნიუ იორკი 98:69**

21:10, 24:17, 33:23, 20:19

**ჩიკაგო:** გორდონი (23 ქ. 7 პ), დენგი (15 ქ. 4 პ. 2 ჩ), ჰაინრიხი (13 ქ. 5 მ. 5 პ), სეფოლოშა (10 ქ), ბ. უოლასი (4 ქ. 10 მ. 5 პ).

**ნიუ იორკი:** ნ. რობინსონი (24 ქ), ფრაი (16 ქ. 11 მ), მ. კოლინზი (15 ქ. 5 პ. 4 მ).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. x-დეტროიტი | 77 | 50 | 27 | 64.9 |
| 2. x-ჩიკაგო | 79 | 47 | 32 | 59.5 |
| 3. y-ტორონტო | 78 | 45 | 33 | 57.7 |
| 4. x-მაიამი | 78 | 42 | 36 | 53.8 |
| 5. x-კლივლენდი | 78 | 46 | 32 | 59.0 |
| 6. ვაშინგტონი | 77 | 39 | 38 | 50.6 |
| 7. ნიუ ჯერსი | 77 | 37 | 40 | 48.1 |
| 8. ორლანდო | 77 | 36 | 41 | 46.8 |
| 9. ინდიანა | 77 | 34 | 43 | 44.2 |
| 10. ფილადელფია | 77 | 32 | 45 | 41.6 |
| 11. ნიუ იორკი | 78 | 32 | 46 | 41.0 |
| 12. შარლოტი | 79 | 32 | 47 | 40.5 |
| 13. ატლანტა | 78 | 29 | 49 | 37.2 |
| 14. მილუოკი | 77 | 26 | 51 | 33.8 |
| 15. ბოსტონი | 77 | 23 | 54 | 29.9 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. z-დალასი | 77 | 64 | 13 | 83.1 |
| 2. y-ფინიქსი | 77 | 58 | 19 | 75.3 |
| 3. x-სან ანტონიო | 77 | 56 | 21 | 72.7 |
| 4. y-იუტა | 77 | 48 | 29 | 62.3 |
| 5. x-ჰიუსტონი | 78 | 49 | 29 | 62.8 |
| 6. დენვერი | 77 | 41 | 36 | 53.2 |
| 7. ლეიკერსი | 78 | 40 | 38 | 51.3 |
| 8. გ. სტეიტი | 78 | 38 | 40 | 48.7 |
| 9. კლიპერსი | 77 | 37 | 40 | 48.1 |
| 10. ნიუ ორლეანი | 78 | 37 | 41 | 47.4 |
| 11. მინესოტა | 77 | 32 | 45 | 41.6 |
| 12. საკრამენტო | 77 | 32 | 45 | 41.6 |
| 13. პორტლენდი | 77 | 31 | 46 | 40.3 |
| 14. სიეტლი | 78 | 31 | 47 | 39.7 |
| 15. მემფისი | 79 | 19 | 60 | 24.1 |

*შენიშვნა: z - კონფერენციის ჩემპიონი; y - დივიზიონის ჩემპიონი; x - გაინაღდა ფლეი ოფის საგზური*

**ქულები**

| | |
|---|---|
| ბრაიანტი (ლეი) | 31.2 |
| ენტონი (დენ) | 29.0 |
| არენასი (ვაშ) | 28.5 |
| უეიდი (მაი) | 28.1 |
| ლ. ჯეიმსი (კლივ) | 27.5 |
| რედი (მილ) | 26.7 |
| აივერსონი (ფილ) | 26.6 |
| რ. ალენი (სიე) | 26.4 |
| კარტერი (ნ-ჯერ) | 25.1 |
| ჯ. ჯონსონი (ატლ) | 25.0 |

**მოხსნები**

| | |
|---|---|
| გარნეტი (მინ) | 12.8 |
| ჩენდლერი (ნ-ორლ) | 12.4 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 12.2 |
| ბუზერი (იუტ) | 11.8 |
| კემბი (დენ) | 11.7 |
| ჯეფერსონი (ბოს) | 10.9 |
| ბ. უოლასი (ჩიკ) | 10.7 |
| დანკანი (ს-ანტ) | 10.6 |
| რენდოლფი (პორ) | 10.1 |
| მერიონი (ფინ) | 10.0 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ნეში (ფინ) | 11.5 |
| დერ. უილიამსი (იუტ) | 9.4 |
| კიდი (ნ-ჯერ) | 9.2 |
| პოლი (ნ-ორლ) | 8.7 |
| ბ. დევისი (გ-სტე) | 8.1 |
| ტ-ჯ. ფორდი (ტორ) | 8.0 |
| ა. მილერი (დენ) | 8.0 |
| ბილაპსი (დეტ) | 7.2 |
| აივერსონი (დენ) | 7.2 |
| ფელტონი (შარ) | 7.1 |

**ჩაჭრები**

| | |
|---|---|
| არტესტი (საკ) | 2.2 |
| ჯ. უოლასი (შარ) | 2.0 |
| მერიონი (ფინ) | 2.0 |
| იგუოდალა (ფილ) | 2.0 |
| არენასი (ვაშ) | 2.0 |
| კიდი (ნ-ჯერ) | 1.7 |
| ელისი (გ-სტეი) | 1.6 |
| ალსტონი (ჰიუ) | 1.6 |
| ტინსლი (ინდ) | 1.6 |
| ლ. ჯეიმსი (კლივ) | 1.6 |
| რონდო (ბოს) | 1.6 |

**დაფარებები**

| | |
|---|---|
| კემბი (დენ) | 3.2 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.9 |
| ოკაფორი (შარ) | 2.7 |
| ჯ. ონილი (ინდ) | 2.7 |
| დანკანი (ს-ანტ) | 2.4 |
| მოურნინგი (მაი) | 2.3 |
| ბრენდი (კლი) | 2.2 |
| ბ. უოლასი (ჩიკ) | 2.1 |
| გასოლი (მემ) | 2.1 |
| დალემბერი (ფილ) | 2.0 |



რეალი ჩემპიონია

ULEB-ის თასი. ფინალი

# სამეფო

## რეალი ევროლიგას უბრუნდება

შარლერუაში გამართული ფინალი ერთი გუნდის ზეობად იქცა. ევროპული საკლუბო კალათბურთის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა - სამეფო "რეალმა" მებრძოლი "ლიეტუვოს რიტასი" 87:75 დაამარცხა და ბოლო დეკადის განმავლობაში პირველი ევროტიტული მოიპოვა.

ამ სეზონში, ლიტვური კლუბის მონინაალმდეგეებს მხოლოდ იმ შემთხვევაში უმართლებდათ, თუ სათქმელად მარტივ, მაგრამ შესასრულებლად რთულ ამოცანას გადაჭრიდნენ - თუ ისინი მაქსიმალურად შებოჭავდნენ ბალტიისპირელთა ამერიკელ მსროლელ **ქარიმ რაშს,** გამარჯვება 80 პროცენტით ხელში ეჭირათ.

როგორ დაასრულა მატჩი რაშმა? 30 წუთში, "ლოს ანჯელეს ლეიკერსისა" და "შარლოტ ბობქეთსის" ყოფილმა ნევრმა, 7-7-ჯერ ისროლა ორქულიანები და სამქულიანები და მხოლოდ 2-2-ჯერ მიაღწია მიზანს. საბოლოოდ, მან მხოლოდ 10 ქულა დააგროვა და თავის საშუალო მონაგრამდე მთელი 6 ქულა დააკლდა. ამერიკელს დაცვაში ტრადიციულად თავი არ მოუკლავს და მესამე მეოთხედში "რეალის" გადამწყვეტი გაქცევა სწორედ მის სინდისზეა.

პირველ ნახევარში უფრო გამართულ თამაშს "რიტასი" აჩვენებდა, "რეალს" კი, სასურველი ანგარიშის შენარჩუნებაში უბერებელი **ფელიპე რეიესი** შეეშველა. დიდი შესვენების მერე კი, დარბაზში ცეცხლი **ჩარლზ სმიტმა** დაანთო.

თითქოს, სმიტის 19 ქულა ნორმალური, მაგრამ გადასარევი შედეგი არ ყოფილა, თუმცა ამ ბიჭმა თავი სხვა მხრივ გამოიჩინა - ჩარლიმ 6 სამქულიანი გამოიყენა და ამით ტურნირის ფინალების რეკორდი გაიმეორა. გარდა ამისა, სმიტი ამიერიდან დაფარებების რაოდენობითაც იქნება მოხსენიებული ULEB-ის რეკორდების ჩამონათვალში - "რიტასთან" თამაში მან 3 ბლოკით ჩაამთავრა და რაღა გასაკვირი იყო, რომ ნამატჩევს უძვირფასესის პრიზი (MVP) სწორედ ამ მშრომელ უნივერსალს გადასცეს.

სამი წლის წინათ "რეალმა" ამავე ტურნირის ფინალი წააგო, ამჯერად კი ესპანურ გრანდს ყველა სხვა მონაწილეზე გაცილებით შეკრული, ჯანმრთელი და გამოცდილი შემადგენლობა ჰყავდა. პირენეელებმა 10 ზუსტი სამქულიანითა და 6 დაფარებით, ამ ტურნირზე გუნდური პირადი რეკორდი დაამყარეს და "რიტასის" ძლევის შემდეგ, თავიანთი საკლუბო მუზეუმი მე-14 ევროტიტულით შეავსეს. ამ 14-დან 8 (!) ევროპის ჩემპიონთა თასია. რაც მთავარია, სმიტმა და კომპანიამ, ამ გამარჯვებით მომდევნო სეზონში ევროლიგაზე გამოსვლის უფლებაც დაიბევეს.

სმიტის გარდა კი, ტრადიციულად, ძლიერად ითამაშეს **ლუის ბალოკმა** (16 ქულა და 31 წუთში ერთადერთი შეცდომა), რეიესმა (8 "ცოცხალი" ტყორცნიდან 6 გამოიყენა) და **ალექს მუმბრუმ,** რომელმაც 22 წუთში, შეტევაში ერთბაშად 4 მოხსნა მოიმკო.

გადარეული იყო სიხარულისგან მადრიდელთა მთავარი მწვრთნელი **ხუან პლასა,** რომელმაც, პირველ რიგში, მადლობა "რეალის" ფანებს გადაუხადა, მერე კი თასი სამეფო კლუბის ბოსებს, ყოფილ ვარსკვლავ **ანტონიო ერეროსსა** და კიდევ ერთ ბობოლა **ალბერტო მარტინს** მიუძღვნა. ამ ხალხმა რომ ნდობა გამომიცხადა, ბევრს ეცინებოდა, ახლა კი ყველამ ერთად გავიცინებთო.

**რეალი–ლიეტუვოს რიტასი 87:75**

22:18, 18:23, 29:17, 18:17

**რეალი:** ჩარლზ სმიტი (19+3 დ), რეიესი (16+8 ქ), ბალოკი (16), ერველი (10+4 პ+3 ჩ), მუმბრუ (9+7 მ), სეკულიჩი (7), თუნჩერი (5), ლოპესი (5).

**ლიეტუვოს რიტასი:** ნილსენი (11+8 მ+4 პ), ქარიმ რაში (10), დელინინკაიტისი (9), კოლიევიჩი (9), ბატისტა (9+6 მ), პეტრავიჩუსი (8), იომანტასი (7), ე. ჟუკაუსკასი (5), შტელმაჰერსი (4+2 ჩ), შლეჟასი (3).

**ზურაბ თალაკვაძე**



კევინ დიურანტი

დრაფტი 2007

# კობის შევარცხვენ, ტიმს გავანითლებ

## NBA-ს მარტორქა ემატება, ოდენი კი მილიონებს სწავლას ამჯობინებს

ჩვენს ამერიკელ კოლეგებს თუ ვენდობით, დამდეგ სეზონში გრანდიოზული დრაფტი გველოდება - წინა წლების დებიუტანტები ამ ახალ თაობასთან გვერდით დასაყენებელიც კი არ არიან. **კევინ დიურანტი, გრეგ ოდენი** - ამ ორი ახალგაზრდას გარშემო უკვე მილიონები ტრიალებს, მაგრამ დილემას ისევ და ისევ ეს ორი ბიჭუნა ქმნიდა. მათ ვერა და ვერ გადაეწყვიტათ - მილიონებისთვის შეეშვირათ ხელები, თუ სწავლა განეგრძოთ და მომავალი თაობისთვის უფრო ჯანსაღი მაგალითი მიეცათ.

თუ ოდენმა ორი დღის წინათ გაკვრით აღნიშნა, ჩემთვის ფული მთავარი არ არის და NBA-ში გადასვლა მაინცა და მაინც, არ მხიბლავსო, დიურანტმა საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე ქუჩურ-ბავშვური ინგლისურით დაახეთქა - ჩემი ნიჭი კოლეჯის ფარგლებს უნდა გასცდეს, ხელები გაშალეთ და შემეგებეთ, წლევანდელ დრაფტზე ულაპარაკოდ გავალო!

18 წლის დიურანტი, რომელიც წინა სეზონის უძლიერეს მოყვარულ მოთამაშედ დასახელდა, დარწმუნებულია, რომ პირველივე სეზონში დაახლოებით იგივე სტატისტიკას მოუყრის თავს, რომლითაც საკოლეჯო დონეზე ინონებდა თავს. ვითომ? ეს სტატისტიკა ხომ ერთ მატჩში საშუალოდ 25.8 ქულასა და 11.1 მოხსნას უტოლდება, ანუ ეს ის ციფრებია, რომლებსაც ბოლო დეკადის მეგავარსკვლავებიდან საშუალოდ მხოლოდ **შაკილ ონილი** და **ტიმ დანკანი** აგროვებდნენ.

*"სპონსორებმა ძილი ამირიეს, არ გინდათ, ვინმეს აგენტად აგიყვანთ და დღეში 1 500 დოლარს გადაგიხდით?"* - მიმართა დიურანტმა მასმედიელებს.

ტეხასის უნივერსიტეტის გუნდმა შარშან, ისეთი ანშლაგები მოაწყო, რომლითაც თავის დროზე ვერც მაიკლ ჯორდანის ჩრდილო კაროლინა და ვერც რომელიმე სხვა საკოლეჯო სუპერგუნდი მოიწონებდა თავს - დიურანტისა და მისი თანაგუნდელების მაგიური გამოსვლის სანახავად, საშუალოდ 25 000-ზე მეტი გულშემატკივარი დადიოდა. არ გაინტერესებთ, რამდენი ესწრება "ლეიკერსის" მატჩებს? 18 890 ადამიანი!

რომელ ნომრად დააყენებენ კევინს დამდეგ დრაფტზე?

*"არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა მესიამოვნება, თუ პირველი ნომერი ვიქნები"*, - ამბობს დიურანტი და იმასაც ხაზს უსვამს, ოდენმა რომ სწავლა გააგრძელოს და ახალი კარიბჭის შენგრევაზე უარი თქვას, ძალიან დიდ შეცდომას დაუშვებსო.

*"გრეგმა იცის, რომ ადრე თუ გვიან, სწავლის დასრულება მაინც მოუწევს. მოედანზე ღმერთისგან ბოძებული ნიჭი უნდა გამოიყენო, წიგნების კითხვა კი სახლშიც შეიძლება"*, - ესეც დიურანტის სიტყვებია.

ვინ არის დღევანდელ ზელიგაში მოთამაშე, ვისაც კევინი ყველაზე მაღლა აყენებს?

*"ასეთი მოთამაშე მხოლოდ შაკია, სხვებს კი პირველივე სეზონში დავანახებ, რომ მათზე დიდი გული მაქვს. გამოცდილება ბევრს ნიშნავს, მაგრამ ლომი რომ მარტორქას ებრძვის, რამდენი მხეციც არ უნდა ჰყავდეს დაგლეჯილი, მარტორქის კანს მაინც ვერაფერს აკლებს. მე მარტორქა ვიქნები. მოდით, აბა, ინადირეთ... ბრაიანტით მაშინებთ? ძალიან მაგარია, მაგრამ ვერ ვხვდები, მასთან რატომ უნდა შევრცხვე? კობის შევარცხვენ, დანკანს კი გავანითლებ, როდესაც საჯარიმოს ხაზიდან ბურთს თავზე გადავატენი. ეს სიტყვები აუცილებლად ჩაინიშნეთ!"* - ასრულებს პრესკონფერენციას დიურანტი.

დიურანტი, რომელმაც ბოლო სეზონში სამქულიანების 42 პროცენტი გამოიყენა, ერთ კვირაში ბუენოს აირესში გადაფრინდება, სადაც "კონვერსთან" მრავალწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს, მერე კი ფლეი ოფის მატჩებს უნდა დაესწროს.

NBA-ში ახალი ეპოქა იწყება? ვნახოთ...

**ზურაბ თალაკვაძე**

## მორისონი 25 ათასით დასაჯეს

NBA-ის სადისციპლინო კომიტეტმა 25 ათასი დოლარით დასაჯა "შარლოტ ბობკეტსის" ფორვარდი **ადამ მორისონი.** ამ უკანასკნელმა, "მაიამისთან" (111:103) მატჩში გულშემატკივარს უხამსი ჟესტი უჩვენა და ეს სასჯელიც ამან განაპირობა.

*"რა თქმა უნდა, ეს გაკვეთილი იქნება ჩემთვის, მაგრამ, მაინც მიმაჩნია, რომ იმ გულშემატკივარს ზედმეტი მოუვიდა. მთელი მატჩის განმავლობაში "თეთრ ჯართს" მეძახდა. მეც თავი ვერ შევიკავე და პასუხი გავეცი, რაც დიდ შეცდომად მიმაჩნია. გუნდი და საკუთარი თავი დავალალატე. ასეთი რამ აღარ განმეორდება"*, - განაცხადა მორისონმა.

## პეიტონი ორი კვირა დაისვენებს

დაახლოებით ორი კვირით გამოეთიშა აქტიურ სპორტს "მაიამი ჰიტის" ვეტერანი მცველი **გერი პეიტონი.** მან ერთ-ერთი ვარჯიშის დროს მარცხენა ფეხი დაიზიანა.

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, პეიტონი, სავარაუდოდ, ფლეი ოფის მატჩებში დაუბრუნდება მოქმედი ჩემპიონის რიგებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრივი

ზესაშუალო წონა

# კალძაგემ ხელი მოიტეხა

ამერიკელ **პიტერ მანფრედოსთან** ბრძოლაში, რომელიც მესამე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მოიგო, ზესაშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონმა (WBO-ის ვერსიით), უელსელმა **ჯო კალძაგემ** მარცხენა ხელი მოიტეხა.

ეს მესამე რაუნდში მოხდა, როცა კალძაგემ მეტოქე კუთხეში მიიმწყვდია და მრავალდარტყმიანი კომბინაცია განახორციელა, რომლის გამოც, რეფერიმ ბრძოლა შეწყვიტა. შეგახსენებთ, რომ ეს ბრძოლა ქალაქ კარდიფში, "მილენიუმ სტედიუმზე" ჩატარდა და მას 35 018 მაყურებელი დაესწრო.

მანფრედოსთან გამარჯვებით, კალძაგემ თავისი ტიტული ზედიზედ მეოცედ დაიცვა. პროფესიულ რინგზე ის კვლავაც დაუმარცხებელია, თავად კი 43 ბრძოლა აქვს მოგებული (მათგან 32 ნოკაუტით). ტიტულის დაცვის რაოდენობის მხრივ, კალძაგემ ორი ლეგენდარული მოკრივის - **ბერნარდ ჰოპკინსისა** და **ლარი ჰოლმსის** მიღწევა გაიმეორა. ზედიზედ ყველაზე მეტჯერ (25-ჯერ) კი ტიტული ლეგენდარულ **ჯო ლუისს** აქვს დაცული. კალძაგეს კიდევ ერთი დიდი მიღწევის გამეორების შანსი აქვს. ეს მიღწევა კი **როკი მარჩიანოს** ეკუთვნის, რომელმაც პროფესიულ რინგზე ჩატარებული ყველა (49) ბრძოლა მოიგო.

რაც შეეხება ხელის მოტეხვის ისტორიას, კალძაგეს ამგვარი ტრავმით ბრძოლა ადრეც მოუგია. ეს ორი წლის წინათ, კენიელ **ევანს აშირასთან** შეხვედრაში მოხდა. მაშინაც მან მარცხენა ხელის ძვალი მოიტეხა, თუმცა ამის მიუხედავად, ბოლომდე იბრძოლა და მსაჯთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მოიგო. ტრავმა რომ მოიშუშა, კალძაგე IBF-ის ჩემპიონ **ჯეფ ლესის** შეხვდა, მოუგო და მის ტიტულსაც დაეუფლა, თუმცა მანფრედოსთან შეხვედრის წინ, ამ სარტყელზე ნებაყოფლობით უარის თქმა მოუხდა.

*"რა თქმა უნდა, ცუდია, რომ ხელი მოვიტეხე, მაგრამ რას ვიზამ, ეს კრივია და აქ მსგავსი რამეები ხდება ხოლმე. ტრავმის მოსაშუშებლად მხოლოდ ოთხი კვირა მაქვს, რის შემდეგაც საქმეს უნდა დავუბრუნდე - მსუბუქ ვარჯიშს დავიწყებ, რათა ივლისში სხვა მეტოქესთან ბრძოლისთვის მომზადება მოვასწრო"*, - განაცხადა ჩემპიონმა, ვისაც შემდეგ ჯერზე რომელიმე ძლიერ მოკრივესთან შეხვედრა სურს. ამ "ძლიერთა" შორის კი დანიელი **მიკელ კესლერის** (ზესაშუალო წონაში WBC-ს და WBA-ის ტიტულების მფლობელი), ჰოპკინსისა და საშუალო წონაში WBC-ს, WBA-ის და WBO-ის სარტყლების მფლობელ **ჯერმეინ ტეილორის** კანდიდატურები განიხილება.


ამ შეტევამ ჯოს (მარცხნივ) ხელი მოატეხინა

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ცურვა

დოპინგი

# ფელპსი ტორპს ემხრობა

ამერიკელი სუპერმოცურავე **მაიკლ ფელპსი**, ვინც მელბურნში ცოტა ხნის წინათ დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს შვიდი მედალი მოიპოვა, თანადგომას უცხადებს თავის ავსტრალიელ კოლეგა **იან ტორპს**, ვისაც ფრანგული გაზეთი "ეკიპი" დოპინგის გამოყენებაში "ამხელს". უფრო მეტიც, ფელპსი დარწმუნებულია, რომ ამ ბრალდებათა გამო, ტორპი სპორტში დაბრუნდება.

*"იანი და მე მეგობრები ვართ და მავდროულად, მეტოქეებიც ვიყავით, სანამ ის სპორტიდან წასვლას გადაწყვეტდა. მე მას ყოველივე კარგს ვუსურვებ და მჯერა, რომ პრესაში მის შესახებ გავრცელებული ხმები ტყუილია. მე მას თანადგომას ვუცხადებ. უფრო მეტიც, თუ ის პეკინში გამოსვლაზე ფიქრობს, უმჯობესი იქნება, თუ ახლავე დაიწყებს ვარჯიშს, რადგან გარწმუნებთ, ჯერაც ბევრის მიღწევა შეუძლია და ეს სპორტისთვისაც კარგი იქნება"*, - ამბობს ფელპსი.

"ეკიპში" გამოქვეყნებული პუბლიკაცია ირწმუნება, რომ ტორპისგან შარშან, მაისში აღებული სინჯის ანალიზმა მასში ორი აკრძალული სუბსტანციის კვალი აღმოაჩინა. შეგახსენებთ, რომ ტორპმა, ვინც ხუთი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელია, სპორტიდან წასვლის შესახებ შარშანვე, ნოემბერში გამოაცხადა.

რაც შეეხება ფელპსს, მელბურნშივე მან მსოფლიოს ხუთი რეკორდი (მათგან სამი ინდივიდუალურად, ორი კი ესტაფეტებში) გააუმჯობესა. თანამემამულე **მარკ სპიცთან** ერთად, ის იმ ორად ორ მოცურავეთაგანია, ვისაც დიდ ტურნირებზე (მსოფლიო ჩემპიონატები და ოლიმპიადები) ოქროს შვიდი მედალი აქვს მოპოვებული. ოღონდ, სპიცის მიღწევა იმითაა უფრო ფასეული, რომ მან ეს ოლიმპიადაზე შეძლო.

ფელპსი ფიქრობს, რომ მას პეკინში მელბურნული მიღწევის გამეორება შეუძლია. ამისთვის კი იქ იმავე პროგრამით უნდა გამოვიდეს, რომლითაც მელბურნში იასპარეზა.

*"ვიცი, ეს ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ერთხელ თუ შევძელი, მეორედაც შევძლებ. ძალიან გამიხარდება, თუ ამის შანსი იქაც მომეცემა. ყველაფერი კი ვარჯიშებზე იქნება დამოკიდებული. თუ ისევე კარგად ვივარჯიშებ, როგორც ამ სეზონის წინ, მაშინ ნურაფერს გამორიცხავთ"*, - ამბობს ფელპსი და იქვე თავს იზღვევს - პეკინში ჩინელებისგან სიურპრიზებს ელოდეთო.

ისე, მისი ეს ნათქვამი თავის დაზღვევა კი არა, უფრო საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებაა - სიდნეის ოლიმპიადაზე მისგან არავინ ელოდა ფინალში ასპარეზობას, ათენში კი მან ექვსი ოქრო აიღო. მელბურნში ჩინელებს სრულფასოვანი გუნდი ჰყავდათ ჩაყვანილი - ყველა დისციპლინასა და დისტანციაზე იასპარეზეს, მაგრამ მხოლოდ ორი მედლის მოპოვება შეძლეს, რომელთაგან ოქროსი არცერთი არ იყო.

*"სიდნეის ოლიმპიადისწინა სეზონში ვინმესთვის ჩემზე რომ გეკითხათ, ოლიმპიადაზე თუ წავაო, რა თქმა უნდა, პასუხად უარს მიიღებდით. საკუთარი გამოცდილებიდან შემიძლია გითხრათ, რომ ერთ სეზონში ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს"*, - დასძენს ფელპსი.

დაბოლოს, ამერიკელი სუპერმოცურავე არ აკრიტიკებს პეკინის ოლიმპიადის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებას, რომლის შესაბამისადაც, პეკინის ოლიმპიადაზე ცურვის ფინალები დილაობით ჩატარდება. ამისთვის ყველას ერთნაირად მოგვიწევს მომზადება და ამდენად, ყველანი თანაბარ პირობებში ვიქნებითო.

*"ეს ოლიმპიადაა და თუ არ შეგიძლიათ განსაზღვრულ დროში ასპარეზობა, მაშინ მასზე გამოსვლასაც ნუ მოინდომებთ. ცურვა, პირველ რიგში, მოწოდებაა. თუ ის ადამიანს სიამოვნებას არ ანიჭებს, მაშინ მისთვისვე უკეთესი იქნება, თუ შინ დარჩება და ტელევიზორით ნახავს ყველაფერს. ჩემთვის სულერთია, როდის მომიწევს ფინალების ცურვა. ნებისმიერ შემთხვევაში, დილითაც ისეთივე სწრაფი ვიქნები, როგორიც საღამოს ვარ"*, - ამბობს ფელპსი.


ფელპსი პეკინშიც მინიმუმ შვიდ ოქროს უმიზნებს

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## TV სპორტი

**12 აპრილი. ხუთშაბათი**

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბაიერნი-მილანი.
**14:15** ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. კუკუტა (კოლუმბია)-გრემიო (ბრაზილია).
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:15** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ეინდჰოვენი.
**18:15** არასაფეხბურთო ისტორიები.
**18:45** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:10** უიქენდის მატჩების ანონსი.
**19:20** ტოქ-შოუ - 2:1.
**20:05** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
**21:30** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**22:40** ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. კუკუტა (კოლუმბია)-გრემიო (ბრაზილია).
**00:25** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

### SPORT 1 (უკრაინა)

**07:05** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. ტაუგრესი-ოლიმპიაკოსი.
**08:55** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
**09:55** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბაიერნი-მილანი.
**11:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ეინდჰოვენი.
**13:35** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**14:05** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**15:05** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. უნიკახა-ბარსელონა.
**16:55** სპორტის ისტორია.
**17:00** სპორტის სახეობები.
**17:30** სპორტინფორმი.
**17:45** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. კუკუტა (კოლუმბია)-გრემიო (ბრაზილია).
**19:30** სპორტინფორმი.
**19:45** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**20:15** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. მე-3 მატჩი. ცსკა-მაკაბი (LIVE).
**22:40** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ტოტენჰემი-სევილია (LIVE).
**00:40** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**01:10** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი მიმოხილვა.
**02:08** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. კუკუტა (კოლუმბია)-გრემიო (ბრაზილია).
**03:52** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბაიერნი-მილანი.
**05:42** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**06:39** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.

### EUROSPORT

**09:30** ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. გენტი-ვეველგემი.
**10:45** მულტისპორტი.
**11:15** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ლევერკუზენი-ოსასუნა.
**12:45** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ესპანიოლი-ბენფიკა.
**13:45** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. სევილია-ტოტენჰემი.
**14:45** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ალკმაარი-ვერდერი.
**15:45** ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ბასკეთის ტური. III ეტაპი.
**16:45** ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ბასკეთის ტური. IV ეტაპი (LIVE).
**18:15** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. პოლონეთი.
**18:45** სუმო.
**19:45** ჩოგბურთი.
**20:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. ჩარლსტონი. აშშ (LIVE).
**21:45** პროფესიული კრივი. მ. ორალი (გერმანია)-დ. სპადა (იტალია). ჰამბურგი. გერმანია.
**23:45** სნუკერი.
**00:45** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**01:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი.

### EUROSPORT-2

**08:30** ახალი ამბები.
**11:00** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მილანი. იტალია.
**12:00** ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ნიუ იორკი.
**13:00** ახალი ამბები.
**15:00** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მაონი. ესპანეთი.
**16:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ესპანიოლი-ბენფიკა.
**17:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. სევილია-ტოტენჰემი.
**18:00** ავსტრალიური ფეხბურთი.
**19:00** ახალი ამბები.
**19:30** სნოუბორდი. მსოფლიო თასი. კანადა.
**20:00** ფრისტაილი.
**20:30** ახალი ამბები.
**20:45** მულტისპორტი.
**21:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/4 ფინალი. I მატჩი. სლაგელსე (დანია)-ლუბლიანა (სლოვენია).
**22:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ნიდეროსტერაიხი (ავსტრია)-ოლბორგი (დანია).
**23:00** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მილანი. იტალია.
**00:00** ახალი ამბები.
**00:15** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მაონი. ესპანეთი.
**01:15** ახალი ამბები.
**01:45** მულტისპორტი.
**02:00** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| ნორთვიჩი-დაგენჰემი | 2:0 |
| **იტალია** | |
| **სერია C1/A** | |
| სასუოლო-გროსეტო | 2:1 |
| **თურქეთის თასი** | |
| ტრაბზონი-ერჩიესი | 0:1 |
| ბეშიქთაში-ფენერბაჰჩე | 1:0 |
| **პოლონეთის თასი** | |
| გროცლინი-კრაკოვია | 1:0 |
| **სლოვენია** | |
| პრიმორიე-გორიცა | 1:2 |
| ბელა კრაინა-პუბლიკუმი | 0:2 |
| დრავა-დომჟალე | 1:2 |
| ფაქტორი-მარიბორი | 1:2 |
| ნაფტა-კოპერი | 1:0 |
| **სერბეთი** | |
| ბეჟანია-მლადოსტი | 1:0 |
| ჰაიდუკი-ვოივოდინა | 0:0 |
| ცრვენა ზვეზდა-პარტიზანი | 1:0 |
| **უნგრეთის თასი** | |
| ჰონვედი-მტკ | 2:1 |
| ზალაეგერსეგი-დიოშდიორი | 3:3 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **რუსეთი** | |
| მეტალურგი (მ)-აკ ბარსი | 3:4 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ჰიუსტონი** | |
| კუზნეცოვი-ბურგსმიულერი | 7:5, 7:5 |
| მელცერი-ჰანესკუ | 6:4, 6:2 |
| მონტანიესი-ვემიჩი | 6:4, 4:6, 6:4 |
| **ATP. ვალენსია** | |
| ალმაგრო-დი მაურო | 7:5, 6:2 |
| ვოლანდრი-კუბეკი | 6:4, 6:0 |
| ლოპესი-მარტინი | 2:6, 6:3, 2:6 |
| ფალა-სეპი | 6:3, 6:4 |
| **WTA. ჩარლსტონი** | |
| ბამერი-რაზანო | 6:0, 6:0 |
| ბარტოლი-დომინგეს ლინო | 3:6, 2:6 |
| გოლოვინი-კრეიბასი | 6:0, 6:1 |
| ზვონარევა-ტუ | 6:1, 6:3 |
| ივანოვიჩი-დულკო | 6:0, 6:7, 6:4 |
| პეერი-ჟენგი | 2:6, 3:6 |
| სანტანჯელო-ჰარკლროუდი | 6:2, 6:0 |
| საფინა-დანილიდუ | 6:3, 6:4 |
| სკიავონი-მედინა გარიგესი | 6:2, 4:6, 2:6 |
| ვ. უილიამსი-ბარდინა | 6:2, 6:1 |
| სრებოტნიკი-რეზაი | 7:6, 3:6, 7:5 |
| იანკოვიჩი-როდიონოვა | 6:1, 6:1 |

## ფეხბურთი

### ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

**ბაიერნი-მილანი 0:2 (2:2)**

ბაიერნი: კანი, ლელი (77. გიორლიტცი), ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, ოტლი (46. სანტა კრუსი), ვან ბომელი, ჰარგრივსი, სალიჰამიჯიჩი, მაკაი (61. პისარო), პოდოლსკი.

მილანი: დიდა, ოდო, ნესტა, მალდინი, იანკულოვსკი, გატუზო (87. კაფუ), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი (80. გურკუფი), კაკა, ინძაგი (70. სერჟინიო).

გოლები: 0:1 ზეედორფი (27), 0:2 ინძაგი (31)

მაყურებელი: 66 000

არბიტრი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: ბაიერნი**
**პირველი ჯარიმა: მილანი**
**პირველი კუთხური: ბაიერნი**
**პირველი გაფრთხილება: ბაიერნი**

| ბაიერნი | | მილანი |
|---|---|---|
| 19 (8) | **დარტყმა** | 8 (5) |
| 14 | **ჯარიმა** | 12 |
| 7 | **კუთხური** | 1 |
| 2 | **გაფრთხილება** | 0 |
| 58% | **ბურთის ფლობა** | 42% |

**ლივერპული-ეინდჰოვენი 1:0 (3:0)**

ლივერპული: რეინა, არბელოა, ჰიიპია, აგერი (79. პალეტა), რიისე, პენანტი, ჩაბი ალონსო (72. გონსალესი), სისოკო, ზენდენი, კრაუჩი, ბელამი (17. ფაულერი).

ეინდჰოვენი: გომეში, მარსელისი, ადო, სიმონსი, სალსიდო, ფეჰერი (63. სუნ ჩანგი), კოკუ, ვაირინენი, კულინა, კონე (72. ვან ეიდენი), ფარფანი (63. კლუივერტი).

გოლი: 1:0 კრაუჩი (67)

გაძევება: მარსელისი (64. ეინდჰოვენი)

მაყურებელი: 41 447

არბიტრი: რობერტო როზეტი (იტალია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: ლივერპული**
**პირველი ჯარიმა: ეინდჰოვენი**
**პირველი კუთხური: ეინდჰოვენი**
**პირველი გაფრთხილება: ეინდჰოვენი**

| ლივერპული | | ეინდჰოვენი |
|---|---|---|
| 12 (4) | **დარტყმა** | 4 (3) |
| 6 | **ჯარიმა** | 18 |
| 2 | **კუთხური** | 4 |
| 0 | **გაფრთხილება** | 1 |
| 50% | **ბურთის ფლობა** | 50% |


ლივერპული-პსვ. ინგლისელები კრაუჩის გოლს ზეიმობენ

ჰოკეი

## იაგრი მოსკოვში არ ჩავა

მომავალ-მსოფლიო ჩემპიონატზე, ჩეხეთის ნაკრების კაპიტანი "კოლამბუს ბლუ ჯეკეტსის" ლიდერი **დავიდ ვიბორნი** იქნება. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ჩეხური ჰოკეის მთავარმა ვარსკვლავმა - **იარომირ იაგრმა** უარი განაცხადა ჩემპიონატში თამაშზე.

იაგრის კლუბი - "რეინჯერსი" ფლეი ოფში გავიდა და სტენლის თასის პირველი წრიდანაც რომ გავარდეს, წინასწარი ინფორმაციით, ვეტერანი ჩეხი მოსკოვში ჩასვლას არ აპირებს.

*"ზუსტი ინფორმაცია მაქვს იმის შესახებ, რომ იაგრი რუსეთის დედაქალაქში არ ჩამოვა. უკვე მაცნობეს ჩეხეთიდან, რომ ნაკრების კაპიტანი მე ვიქნები"*, - ამბობს ვიბორნი.

## კოივუ ფინეთს ვერ დაეხმარება

სერიოზული დანაკლისი აქვს ფინეთის ნაკრებსაც. მართალია, მისი კაპიტნის - **საკუ კოივუს** გუნდი - "მონრეალ კანადიენსი" ფლეი ოფში ვერ მოხვდა, მაგრამ ვეტერანი ფორვარდი მაინც ვერ ითამაშებს მსოფლიო ჩემპიონატზე.

როგორც კანადური პრესა იუწყება, კოივუ მოსკოვში ჩასვლაზე იმის გამო ამბობს უარს, რომ მას უახლოეს პერიოდში თვალზე ოპერაციას გაუკეთებენ.

ფინელ ჰოკეისტს პრობლემები გასული წლის ფლეი ოფში შეექმნა, როცა "კაროლინას" ფორვარდმა **ჯასტინ უილიამსმა** თვალში ყვანჯი ჩაარტყა. იმ სერიის დარჩენილი ნაწილი კოივუმ საავადმყოფოში გაატარა და ოპერაციაც დასჭირდა. საბოლოოდ, მან ნაწილობრივ დაკარგა მხედველობა, ხოლო წლევანდელი სეზონის განმავლობაში, კოივუს კატარაქტა განუვითარდა.

## ბელარუსს სალეი არ ეყოლება

ცნობილი ხდება, რომ ბელარუსის ნაკრებსაც თავისი ერთ-ერთი ლიდერის გარეშე მოუწევს მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში. ეს გახლავთ "ფლორიდა პანტერზის" მცველი **რუსლან სალეი**.

ბელარუსის ნაკრების შტაბიდან იუწყებიან, რომ სალეის მეუღლეს ორ-სამ კვირაში შვილი უნდა შეეძინოს და ჰოკეისტს სურს, ეს პერიოდი ოჯახთან ერთად გაატაროს.

სამაგიეროდ, ბელარუსების შემადგენლობაში იქნება NHL-ში მოთამაშე ორი ჰოკეისტი - **გრაბოვსკი** და **კოსტიცინი**.

## დრაფტის ნომრები განაწილდა

ჰოკეის ეროვნული ლიგის წლევანდელი დრაფტი 22 ივნისს გაიმართება. ლიგის ხელმძღვანელობამ გაარკვია კლუბების მიმდევრობა, რომლის მიხედვითაც ისინი ნიჭიერ ახალგაზრდა ჰოკეისტებს აირჩევენ.

პირველი ნომერი "ჩიკაგო ბლეკ ჰოქსს" ერგო - მან ეს უფლება დრაფტის ლატარიით მიიღო. დრაფტზე მეორე ჰოკეისტს "ფილადელფია" აირჩევს. მესამე, მეოთხე და მეხუთე "ფინიქსი", "ლოს ანჯელესი" და "ვაშინგტონი" იქნებიან. შემდეგ მოდიან - "ედმონტონი", "კოლამბუსი", "ბოსტონი", "სენტ ლუისი", "ფლორიდა", "კაროლინა", "მონრეალი", "ტორონტო" და "კოლორადო".

## მონრეალმა ვუნდერკინდი გაიფორმა

"მონრეალ კანადიენსმა" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა 19 წლის მეკარე **კერი პრაისთან**, რომელიც კლუბმა 2005 წლის დრაფტზე მეხუთე ნომრად აირჩია.

შეგახსენებთ, რომ პრაისმა ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა წლევანდელ ახალგაზრდულ ჩემპიონატზე. მან პირველობის ექვსივე შეხვედრაში მოაგებინა კანადის ნაკრებს, საშუალოდ მატჩში 1.14 გოლს უშვებდა და ორ თამაშში "შათაუტი" შეასრულა.

## კანადა ჩემპიონია

კანადის ქალაქ ვინიპეგში დასრულდა ქალებს შორის მსოფლიო ჩემპიონატი. როგორც მოსალოდნელი იყო, ფინალში ერთმანეთს კანადისა და ამერიკის ნაკრებები შეხვდნენ. მასპინძლებმა გაამართლეს ფავორიტის სტატუსი და 5:1 დაამარცხეს მეტოქე.

კანადის ქალთა ნაკრები მეცხრედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

მძლეოსნობა

## ისინბაევა მილიონს უმიზნებს

ცნობილი რუსი ჭოკით მხტომელი **ელენა ისინბაევა** წლევანდელი "ოქროს ლიგის" სერიის ექვსივე ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

ამ სეზონში, "ოქროს ლიგის" სერიის არსებობის ისტორიაში პირველად შეიტანეს ქალთა შორის ჭოკით ხტომა, შესაბამისად, რუსი მძლეოსანი მილიონიანი ჯეკპოტისთვის ბრძოლას აპირებს.

*"ბედნიერი ვარ, რომ ქალთა ჭოკით ხტომა "ოქროს ლიგის" სერიაში მოხვდა. ეს ძალიან სერიოზული ტურნირია. ჯეკპოტის მოგება ძნელი იქნება, რადგან წინ მსოფლიო ჩემპიონატიც მელის, მაგრამ წარმატების იმედს მაინც არ ვკარგავ"*, - აცხადებს მსოფლიო რეკორდსმენი.

ამ სეზონში, მილიონ დოლარს მხოლოდ ის მძლეოსნები გაიყოფენ, რომლებიც "ოქრო ლიგის" ექვსივე სტარტს მოიგებენ.

ფორმულა 1

## მალაიზიაში ფორმულა უყვართ

გასულ უიქენდზე, მალაიზიის პრემიერ-მინისტრი **სერი აბდულა აჰმად ბადავი** ფორმულა 1-ის მთავარ პრომოუტერ **ბერნი ექლსტოუნს** შეხვდა. მოლაპარაკების საგანი იყო 2010 წლის შემდეგ მალაიზიის გრან-პრის გამართვა. ანუ მალაიზიელებს სურთ, ფორმულას ეტაპი მიმდინარე კონტრაქტის ამოწურვის შემდეგაც გაიმართოს. სწორედ ეს პოზიცია დააფიქსირა პრემიერ-მინისტრმა ექლსტოუნთან შეხვედრის დროს.

აღსანიშნავია, რომ გასულ კვირას, მალაიზიის გრან-პრის 115 ათასი მაყურებელი დაესწრო, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ფორმულასადმი დიდ ინტერესზე მეტყველებს.

კრივი

## 286 მოკრივე პეკინში

სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ფედერაციამ (AIBA) დაამტკიცა 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოკრივეთა შერჩევის პრინციპი. AIBA-ს ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, რომ მთლიანად ოლიმპიურ ტურნირზე 286 მოკრივე მიიღებს მონაწილეობას. ექვსი საგზური გარანტირებული აქვს მასპინძელ ქვეყანას - ჩინეთს.

ყველა წონით კატეგორიაში, ქვეყანას მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ეყოლება. სულ ოლიმპიადაზე, მედლები 11 წონით კატეგორიაში თამაშდება.

ოლიმპიური ლიცენზიები 10 სხვადასხვა ტურნირზე გათამაშდება. თავდაპირველად, ოლიმპიადაზე წამსვლელები მსოფლიო ჩემპიონატზე გამოვლინდებიან, რომელიც სექტემბერში გაიმართება. ერთი საკვალიფიკაციო ტურნირი ოკეანეთში გაიმართება, სადაც მონაწილეობას ამ რეგიონის მოკრივეები მიიღებენ. ორ-ორი საკვალიფიკაციო შეჯიბრი კი, აზიაში, ევროპაში, აფრიკასა და ამერიკაში ჩატარდება.





სერენა დაგვემშვიდობა

ტურნირების მიმოხილვა

# ვენუსი წინ, სერენა შინ

ჩოგბურთის მოყვარულები დიდი ინტერესით ელოდნენ ჩარლსტონის ტურნირის მეოთხედფინალურ ეტაპს. თუ ყველაფერი დაგეგმილი სცენარით წარიმართებოდა, ამ ეტაპზე ერთმანეთის პირისპირ **ვენუს** და **სერენა უილიამსები** უნდა წარმსდგარიყვნენ.

მაგრამ ტურნირის ორგანიზატორების იმედებს ასრულება არ ეწერა. ტაივანელ **იუნ-იან ჩანთან** შეხვედრაში სერენა უილიამსს თავიდანვე ეტყობოდა, რომ მაინცა და მაინც, ჯანზე ვერ იყო. ყველასთვის უცნობი ჩანი წარმატებით აკონტროლებდა შეხვედრის რითმს. პირველ სეტში ის 5:3 იგებდა, როცა უმცროსმა უილიამსმა სამედიცინო დახმარება ითხოვა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი გაირკვა, რომ სერენას მარჯვენა საზარდული აწუხებდა და ამის გამო თამაშის გაგრძელებას ვერ შეძლებდა.

*"ჯერ კიდევ გუშინდელ ვარჯიშზე მივხვდი, რომ რაღაც არ იყო წესრიგში, მაგრამ კორტზე გასვლა მაინც გადავწყვიტე. მეგონა ტკივილი გამივლიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და ამიტომაც, ბრძოლის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ სერენამ, რომელიც წელს ტრიუმფალურად დაუბრუნდა ქალთა ტურს. შეგახსენებთ, რომ უილიამსმა ავსტრალიის ღია პირველობაზე იმარჯვა, ორი კვირის წინათ კი, მაიამის ტურნირის ფინალში აჯობა ბელგიელ **ჟუსტინ ანენს**.

იოლად მოიპოვა შემდეგი წრის საგზური სერენას დამ. ვენუსმა მხოლოდ ოთხი გეიმი დაუთმო მე-14 ნომრად განთესილ ავსტრალიელ **სამანტა სტოსურს**. დისგან განსხვავებით, უფროსი უილიამსის ჩოგბურთში დაბრუნება, ჯერჯერობით, არც ისე წარმატებულია. გასულ კვირას, ამელია აილენდის ტურნირზე ვენუსმა ფრანგ **ტატიანა გოლოვინთან** მეოთხედფინალი წააგო, თუმცა, ამჯერად უფრო შორს გასვლა აქვს განზრახული.

*"იოლი მატჩი გამოვიდა. მე მგონი, კარგად ვითამაშე და თუ ასე გავაგრძელე, აქაც და სხვა ტურნირებშიც წარმატების იმედი მექნება"*, - თქვა ვენუს უილიამსმა, რომელიც მეორე წრეში რუს **ვასილისა ბარდინას** შეხვდება.

გუშინდელი დღის მთავარი სენსაციის ავტორი კი, ჰოლანდიელი ამომავალი ვარსკვლავი **მიხაელა კრაიჩეკი** გახდა. მან რთულ ბრძოლაში ტურნირს გამოთიშა პირველ ნომრად განთესილი სლოვაკი **ნიკოლ ვაიდიშოვა**.

*"ეს უდიდესი გამარჯვებაა. აქამდე არასოდეს მომიგია ტურნირის პირველი ჩოგანისთვის. ვაიდიშოვას ხშირად შევხვედრივარ იუნიორთა ტურნირებზე და მასთან თამაში ყოველთვის მიჭირდა. მიხარია, რომ ამჯერად ქალთა ტურის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელს მოვუგე"*, - სიხარულს ვერ მალავდა ჰოლანდიელი ჩოგბურთელი.

### ATP

**U.S. Men's Clay Court**

ჰიუსტონი (აშშ). თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 416 000 დოლარი

**I წრე**

**ჯეისონ ბლეიკი (აშშ, 2)**-დავიდე სანგინეტი (იტა) 6:3, 6:0; **მარდი ფიში (აშშ, 4)**-მარტინ ვასალო არგელო (არგ) 5:7, 6:2, 7:5; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 5)**-რაინერ შუტლერი (გერ) 6:2, 3:6, 6:1; **ვინსენტ სპეიდი (აშშ)**-რობი ჯინეპრი (აშშ, 7) 6:3, 3:6, 6:3; **მაიკლ რასელი (აშშ)**-პოლ გოლდსტეინი (აშშ) 6:2, 6:0; **ამერ დელიჩი (აშშ)**-რობერტ კედრიკი (აშშ) 6:3, 1:6, 7:5; **მარიანო საბალეტა (არგ)**-რაიან სვიტინგი (აშშ) 6:0, 7:6 (8); **დუშან ვემიჩი (სერ)**-რუბენ რამირეს იდალგო (ესპ) 6:3, 6:0; **ალბერტ მონტანიესი (ესპ)**-ალექსანდრ პეია (ავსტრია) 6:3, 6:2.

**Open de Tenis Comunidad**

ვალენსია (ესპანეთი). თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 332 800 დოლარი

**I წრე**

**ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 2)**-ერნესტს გულბისი (ლატ) 6:3, 6:1; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 3)**-იან ჰაიესი (ჩეხ) 6:2, 6:1; **სანტიაგო ვენტურა (ესპ)**-ფლორიან მაიერი (გერ, 6) 6:3, 6:3; **ფილიპო ვოლანდრი (იტა, 7)**-იგორ ანდრეევი (რუს) 6:4, 7:6 (8); **ევგენი კოროლიოვი (რუს)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ, 8) 6:3, 1:6, 6:3; **პაბლო ანდუხარი (ესპ)**-სიმონ გრეული (გერ) 6:2, 6:4; **ალესიო დი მაურო (იტა)**-მარკ ფორნელი ( ესპ) 6:4, 6:7 (5), 6:3; **აგუსტენ ჟენსი (საფ)**-ჯეიმს უორდი (ბრიტ) 6:7 (2), 6:4, 6:3; **მარსელ გრანოლერსი (ესპ)**-კრისტიან პლესი (დან) 2:6, 6:3, 6:3.

### WTA

**Family Circle Cup**

ჩარლსტონი (აშშ). თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 1 640 000 დოლარი

**I წრე**

**ტატიანა გოლოვინი (საფ, 10)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) 6:4, 6:1; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 11)**-ვირხინია რუანო პასკუალი (ესპ) 6:2, 2:0 რუანო პასკუალის უარი; **კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ, 12)**-იულია ვაკულენკო (უკრ) 1:6, 6:2, 6:4; **ვენუს უილიამსი (აშშ)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 14) 6:2, 6:2; **სიბილ ბამერი (ავსტრია, 15)**-ალისია მოლიკი (ავსტრა) 6:3, 6:1; **მარა სანტანჯელო (იტა, 16)**-ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ) 7:5, 6:1; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)**-მარტინა მიულერი (გერ) 6:3, 7:6 (4); **ვირჟინ რაზანო (საფ)**-მეგან შონესი (აშშ) 6:3, 6:4; **ხისელა დულკო (არგ)**-ჯულია შრუფი (გერ) 1:6, 6:4, 6:4; **ელენი დანილიდუ (საბ)**-რომინა ოპრანდი (იტა) 3:6, 7:6 (5), 6:4.

**1/16 ფინალი**

**მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ)**-ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 1) 4:6, 6:4, 6:3; **იუნ-იან ჩანი (ტაივ)**-სერენა უილიამსი (3, აშშ) 5:3 უილიამსის უარი; **ნა ლი (ჩინ, 8)**-ნიკოლ პრატი (ავსტრია) 6:1, 6:4.

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა